



ქართული
ზიგლიოთეკა

ქრეზული

სალიტერატურო ჟურნალი

გამოცემის

ჩუოა წლიდამ

1873

მათე ვიზნი



თფილისი

მელიქიშვილის და ამბ. სტამბა

1873

3352



საქართველოს
საქმიანობის

025 8866

Дозволено цензурою. Тифлиса, 1 Января 1874 г.

8781

0409 0208

3325



8781

მეათე წიგნის შინაარსი



გვერდ

- I.—მეფე ლირი, ხუთ-მოკმედეზიანი შექს-
პირის ტრაგედია, ინგლისურიდან გადმოღებუ-
ლი ილ. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისაგან. 1—80
- II.—სახალხო პოეზია, ძველებური მესტიე-
რული ლექსები და მდაბიური ანდაზები შეკ-
რებილი რაფ. ერისთავისაგან 1.
- III.—იოანე გუსი, დ. ჩქოტუასი 21.
- IV.—დურგალი, ლექსი გ. ჭალაღაღელისა. 47.
- V.—ყმაწვილების აღზრდა შვეიცარი-
აში, (წერილი მეორე) ი.—ისა 49.
- VI.—გლეხური სიმღერები (ილ. ჭავჭა-
ვაძის შეკრებილთაგანნი). 95.
- V.—სიმღერა, ლექსი აკ. წერეთლისა. 97.
- VIII.—ნობათი, ფელტონი მ. პეტრიძისა. 99.
- IX.—„კრებულის“ დამატება: წიგნი რე-
დაქტორთან და უკანასკნელი სიტ-
ყვა, ანტ. ფურცელაძისა. 141.



ქართული
ზიგლიოთეკა

შეცოდევი

„კრებულის“ მეათე წიგნში.

„ნობათის“ 97 გვერდზედ, მეექვსე სტრიქონში, დაბეჭდილია „მდიდარ ქუჩაში“, უნდა იყოს „მდიდარ ქუჩაში“. აგრეთვე იმავე ნობათის 102 გვერდზედ, მეცხრე სტრიქონში, უნდა წაიკითხოთ „ვირს კუდა ჩოჩორი მოუგია“.

მეფე ლირის 49 გვერდიდან 64-დის გვერდები თავ-უკუღმა არის დაბეჭდილი.

ილია ჭავჭავაძის



ქართული
ენების
აქადემია

გეგმა ლირი

ხუთ მოქმედებიანი შექსპირის ტრაგედია,

ინგლისურიდან გადმოღებული

ილია ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისაგან.

მოქმედნი პირნი



ქართული
ენციკლოპედია

ლირი, მეფე ბრიტანიისა.

მეფე საფრანგეთისა.

მთაფარი ბურგუნდიისა.

მთაფარი კორნეალისა.

მთაფარი ალბანიისა.

გრაფი კენტი.

გრაფი გლოსტერი.

ედგარი, გლოსტერის შვილი.

ედმუნდი, გლოსტერის ბუში.

ბერიკაცი, გლოსტერის მამულზედ. მდგომი ხიზანი.

ექიმი.

ქასხარა.

ოსვალდი, გონერილას მსახურთ უფროსი.

აფიცერი, ედმუნდის ხელქვეითი.

აზნაური, კორდელიას თანამხლებელი.

გზარი.

გონერილა,

რეგანა, } ლირის ასულნი.

კორდელია,

კურან, კარის კაცი.

რაინდნი, ლირის თანამხლებელნი, აფიცრები,

შკრიკები, მხედარნი და მეფის ამალა.

ასპარეზი მოქმედებათა არის ბრიტანიაში.



მოსამუშევრო პირველი ინტერვიუ
 გიორგი ბერიძე

სანახაე I.

მდობრად მორთული ოთახი მეფე ღირის სასახლეში.
 შემოდინ კენტა, გლოსტერი და ედჟუნდი.
 კენტი

მე ვგონებდი, რომ მეფეს ალბანიის მთა-
 ვარი უფრო მეტად უყვარს, ვიდრე კორნ-
 ვალი.

გლოსტერი

ყველას ვგრე გვეგონა, მაგრამ ეხლა, რო-
 ცა მათ გაუნაწილა სამეფო, გამოჩნდა, რომ
 ერთი მეორეზედ მეტად არ მიაჩნია. მათს
 შორის სამეფო ისეთის სისწორით არის გა-
 ყოფილი, რომ ერთს წილს მეორეს კაცი ვერ
 დაამჯობინებს.

კენტი

ეს ყმაწვალა კაცი თქვენი შვილი ხომ არ
 ვახლავთ?

გლოსტერი



ქართული
ლიბრერი

ღიაღ, იგი ჩემის შრომითა დაიხსნა და
გაჩენილია. მაგის ჩემს შეილაღ ხსენებაზედ
ისე ხშირად წამოგწითლებულეღარ, რომ ეხლა
სიწითლეღ აღარ მომღის.

კენტი

მე, ჩემო ბატონო, თქვენი საუბარი არ
მესმის.

გლოსტერი

ამ უმაწვილი კაცის დეღას კი ძალიან კარ-
გად ესმოღა... და დაუხსვიღღა წელი კიღეღ
ისე, რომ ჩვეულებრივი სარტყელი აღარა
ჰსწეღეღოღღა. ბოლოღ ასეთი საქმეღ დეღმართა,
რომ ჯერ ქმარი საწოლში არა ჰყოლოღღა და
შვილს კი აკვანში რწეღა დაუწყო. ეხლა
ხომ მიმიხვიღღით, რა ცოღეღაღა მღეღეს?

კენტი

თუ ცოღეღას ამისთანა მშვენიერი ნაყოფი
მოსღეღეს, მაშ კაცთა უცოღეღეღოღა აღარ
არის სანატრელი.



გლოსტარი

მე, ჩემო ბატონო კანონიერა შვილიცა მყავს, ამაზედ ცოტა უფროსია, მაგრამ ორნივე კი ერთნაირად მიყვარს. მართალია ამ ცუდლუტმა მაშინ გამოჰყო ურცხვად თავი როცა არაფერ ეპატიებოდა, მაგრამ მაინც და მაინც უნდა ვსთქვა, რომ ამისი დედა მწვენიერი რამ იყო... მაგის ჩასახვაში მე ბევრი სიამოვნება მიმიღია. ცოდვაც არის, რომ ეგ ცოდვის შვილობით დავიწუნო. — ედმუნდ! შენ ამ კეთილშობილს პირს არ იცნობ?

ედმუნდი

არა, ბატონო!

გლოსტარი

გრაფი კენტი ბძანდება. დაიხსოვო, რომ ეგ ჩემი უკეთესი მეგობარია.

ედმუნდი

მიგულეთ მე, თქვენო ბრწყინვალეზე, ყოველთვის მზად თქვენის სამსახურისათვის.

კენტი

მე ყოველთვის მეყვარებით და ვეცდები უკეთ გაგიცნოთ.

ედგუნდი



შეც ვეცდები, რომ თქვენი საქართველოს
ლირსი გაეხდე.

გლოსტერი

ვგ ცხრა წელიწადი სამზღვართ გარედ იყო
და ეხლაც იქით აპირობს წასელოს.—აგერ
ჩვენი ხელმწიფეც მობძანდება. (საყვირის ხმა ის-
მის.)

შემოდინ ლირი, კორნეალი ალბანი, გონე-
რილა, რეგანა, კორდელია და მეუის ამალა.

ლირი

იახელ, გლოსტერ, ფრანგთა მეფეს და ბურგნდთ
მთავარს,

ჰსთხოვე მობძანდნენ!

გლოსტერი.

აღვასრულებ ბძანებას თქვენსას (გადის).

ლირი

ვიდრემდე მოვლენ, ჩვენს დიდისხნის განზრახვას
ვიტყვიო;

შომეციო შე აქ სამეფოსი ჩვენი სა რუკა.—

ისმინეთ ჩემი: შე სამეფოს სანს ნაწილად ვყოფ,



რათა ყოველი მასზედ ზრუნვა, ფიქრი, ნაღველი,
 სიბერის ქამსა ჩვენსა თავსა ჩვენ მოვაგონო
 და კისრად დავსდვათ ყოფილ კაბუკს ძალსა და ღონეს.
 ჩვენ კი მოხუცნი, ტვირთ-ახსნილნი ნელ-ნელა გოგვიო
 ვივლით, ვიდრემდე ქვეყნის ქამთ-ცვლა სიყვდილს
 შეგვუჩიოდეს.

შენ, საუკარელო შეილო კორნვალ და შენც ალბანი,
 არა კორნვალზედ ნაკლებ ჩვენგან შეთვისებულო,
 გიცხადებთ მე დღეს უცვალებელს ჩემს მტკიცე ნებას
 მსზედ, რაზომსა მზითვისაცა მე ჩემთ ქალთ ვაძლევ,
 რომ მთა მოგისპობთ მომავალში შეუღლის მიზეზნი.

საფრანგეთისა ხელმწიფე და ბურგუნდთ მთავარი,
 ჩვენის უმცროსის ქალის თხოვად ჩვენად მოსულნი,
 დიდნი რაყიფნი ურთიერთის და მოცალენი
 ჩვენს სასახლეში ბედს უცდიან დიდი ხანია, —
 დღეს მიიღებენ იგინიცა ჩვენგანა პასუხს.

ასულნო ჩემნო! იცოდეთ, რომ დღეს ავიხადეთ
 სუფივეა ჩენი, გამგებლობა, ჩენა უფლება, —
 და აწ მითხარით, — რომელს თქვენგანს მეტად ვუყვარვართ,
 რომ სიყვარულის კვალობაზედ მეც გ ნგიწილოთ

დიდება ჩენი და მოგიწუთ ზომა-ზომაზედ.
შენ, განერილაფ, უფროსი ხარ და შენ



ეკრებული
დაწერილია

გონიერილა

ბატონო ჩემო! მე მიყვარხართ ესდენ ძლიერად,
რომ კაცთა ენას არა ძალუქს გამოთქმა მისი.
თქვენ ჩემთვის მეტ-ხარტ, ვიდრე თვალთა ჩემთა ნათელი,
ვიდრე სამყარო, ჟამი, სივრცე, თავისუფლება;
თქვენ ჩემთვის მეტ-ხარტ უოველს მასზედ, რაც კი კაც-
თათვის

ღირებულია, ძვირფასი და სანატრელია, —
და არა ნაკლებ ძვირფასი ხართ იმ სიცოცხლეზედ,
რომელ სასება ნეტარებით, მშვენიერებით,
დიდებაულებით, დიდებით და სიტკბოებითა!...

მე თქვენ მიყვარხართ, ჰე მაღალო ხელმწიფეე ჩემო,
ისე, რომ სხვა შეიღს მამა თვისი არ ჰყვარებია!
მოზღვაებულა სიყვარული თქვენი ჩემს გულში
ესდენ, რომ ნიჭი მეტყველების უქმადა მრჩება
და ხმაც არ მომდევს აღმოქმენად სიტყვათა ჩემთა.

კორდელია (თავის თავს ეუბნება)

მე რაღა დამშთა? მხოლოდ ის, რომ უნდა მიყვარდეს
და ბაგეთ ჩემთა ვერ აღმოსტქვან ეს სიყვარული...

ლირი



ქართული
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ამა მიჯნიდამ აქამომდე სრულ მათა დამბარებულა
 თაჟისის წყლითა, ტყით და მინდვრით და საძოვრებით
 გვიმოძებია და შენ ვხადით დღეს მათ მფლობელად.
 იუოსმცა იგი კუთვნილ შენი და ალბანისა
 საშვილი-შვილოდ. — აწ რას იტყვის ჩვენი ძვირფასი
 მეორე ქალი რეგანაი, კორნეალის ცოლი,
 რიგი შენია.

რეგანა

მე იმავე ნაკვეთისა ვარ,
 რაც დაი ჩემი; ფასი დამსდეთ მისდა კვალადა.
 მხოლოდ კი ვიტყუ გულ წრფელად. რომ ჩემსა გულშია
 მისგან გამოთქმულს სიყვარულზედ უფრო მეტსა ვგრძნობ:
 თუქვენოდ არ მრწამს სიხარულნი ამა სოფლისა,
 არ მრწამს უველა ის, რაც კი გრძნობას განატკბილებდეს
 და ცხოვრებისა ჩემის სვესა მე ვბედავ მხოლოდ
 თქვენს სიყვარულში, დიდებულო ჩემო ხელმწიფევ.

კორნელია (თავის თავს ეუბნება):

ვაი სიტყვით ღარბს კორნელიას!... მაგრამ რა ვაი!
 მე ვარ მდიდარი გულწრფელითა სიყვარულითა,
 როგელიც სიტყვით კმაზულს გრძნობას გარდემატების.

ლირი



შენა და შენთა მემკვიდრეთა ჩვენ გვეყვარებოდნენ
მესამედს ჩვენის მშვენიერის სამეფოისას.

ეს მესამედიც სიდიდით, იუ შემკულობითა
გონერლიის წილად-ხდომილს არ შთამოშთება.

ეხლა შენ, ჩემო სიხარულო, უმცროსო შეილო,
არა უმცროსო სხვათა შორის მამის გულშია,
შენ, რომლის წინაც ბურგუნდიის და საფრანგეთის
გვირგვინოსნები ტრფიალებით თავსა იხრიან,
აბა რას იტყვი ისეთს, რომე შენსა დებზედა
უკეთი წაღვი დღეს ჩემგანა დიამსახურო?

კორდელია

მე? არა-რასა.

ლირი

არა-რასა?

კორდელია

ღიად, არა-რას.

ლირი

არა-რაისგან არ იქმნების არა-რაიცა!

მსაქევი რამე მეტევი!

კორდელია

ვამე ბედკრულს?!... რა ვსაქევა? არ ძღუდით



ბაგეთა ჩემთა გული ჩემი ზე აღმოებჳდონ.

მე თქვენ მიუყარხართ ისე, როგორც მე ვგულად ვდევს,
მასზედ არც შეტად, ხელმწიფეო, და არცა ნაკლებ.

ლირი

ჩას ავბობ, ჩასა, კორდელიაე, კილოა შექსცვალე,
თუ რომ არ გინდა ბედსა შენსა გამოცხ ღმოს.

კორდელია

შეფეო ჩემო! ეს სიცოცხლე მე თქვენგანა მაქვს,
თქვენ გაგ ზღვიართ, გყვარებდითარა მამაშვილურად,—
და ვალსა ამას გიხდით ისე, როგორც რიგია,
პატივისცემით, სიყვარულით და მორჩილებით.

თუ ჩემს დებს მხოლოდ თქვენ უყვარხართ, როგორც
ამბობენ,

ჩად თხოვდებიან, ჩადად ირთვენ იგინი ქრებსა?

თუ გავთხოვები, შესაძლოა, რამ ქმარმან ჩემმან

თანა წარიღოს ნახევარი ჩემი თქვენდამი

გულის-ტკივილი, სიყვარული, მოვალეობა.

მე რომ მართო თქვენ მიუყარებოდით, მხოლოდ მართო

თქვენ,

არ ოდეს ქმარსა ჩემს დებსავეთ არ შევირთავდი.

ლირი



ქართველი

მაშ რასაც ამბობ, სწორედ ამბობ, წმინდეს გულთა?

კორდელია

სწორედ, ხელმწიფე.

ლირი

ჰმ, ასე ნორჩი და ასე გულჭეა!...

კორდელია

ასე ნორჩი და ასე გულწრფელ.

ლირი

მაშ ეგრე იყოს!

მზითვად გეყოს შენ ამას იქით ვე გულწრფელობა.

ფფიტაც მე ღვთიურს მზის შარავანდთ ხნივოსნობსა
ფფიტაც წყედადსა და ჰეკათის საიდუმლოებს,

სიკედილ-სიცოცხლის მომვლინებელს სფერათა ბრუნვას,

რომ დღეის იქით აგვიყრია შენზედა გული;

უარ-გვიყვია ჩვენთა შორის მამაშვილობა;

განგდებულ იქმნე საუყუნოდ ჩემის გულიდგან!

ბარბაროზ-სკითი, ან თვისთა შვილთა ბორცის მჭამელი

იქმნეს ჩემ მიერ უფრო მეტად შეთვისტომებულ,

დაახლოებულ, შეწყენარებულ და შეყვარებულ,

ვიდრე შენ, ჩემო უწინდელი, ყოფილო შვილო!

კენტი



ქართული
 ენციკლოპედია

მეფეო ჩემო...

ღირი

ჩემად, კენტო! სუ! ნუ ჩასდგები
 ვეშპისა და მის რისხვის შუა! — მე ეგ მიუვარდა
 უველაზედ მეტად, მსურდა ჩემნი ნაშთენნი დღენი
 მაგის შვილისა აკვანზედა მე დამელია.

(კორდელიას)

წახვედ, მომშორდი, თვალით ნულარ დამენახეები!
 საფლაგისა ქვა ნეტა ისე გამიმსუბუქდეს,
 როგორც ადვილად გულით ჩემით შენ განგარინე.

ვინა ხართ მანდა? გიბრძანებთ თქვენ აწ მოიწვიოთ
 საფრანგეთისა ხელმწიფე და ბურგუნდთ მთავარი.

კორნვალ და ალბან, თქვენთა ცოლთა უხვხა მზითევსა
 ეს წართმეული მესამედიც ზედ დაუმატეთ.

ამპარტავენობა, რომელიც მას გულწრფელობად სწამს,
 ეუოსმცა მაგას მზითვად და მით იგი გათხოვდეს.

გარდმომიციო თქვენთვის უველა უფლება ჩემი,
 უველა სიმართლე მეფეთანი, მეფეთ მთავრობა.

ხოლო ვიახლებთ ჩვენ ასს რაინდს, რომელთაც თქვენა
 მე შემინახავთ თქვენის ხარჯით ღირსებისამებრ;

საცხოვრებლად კი თვეობითა თვითოს გეწვევით.
 მე ვიშთენ მხოლოდ მეფის სახელს, მეფის ღირსებას,
 სხვა კი უოველი ქვეყნის მარაგა, შემოსავალი
 თქვენ მოგანიჭეთ, საყვარელნო სიძენო ჩემნო!
 დასამტკიცებლად უოველ ამის აჰა გვირგვინიც!..

(აძლევს გვირგვინსა).

კენტი

პაი მალალო, დიდებულო, ჩემო ხელმწიფე!
 როგორც ხელმწიფეს მე უოველთვის შენ თაყვანს გცემდი;
 როგორც მამასა დაგხაროდი, თავს გვედებოდი;
 როგორც მფლობელსა გმორჩილებდი ვით ერთგული უმა,
 გიხსენიებდი ჩემს ღოცვებში ვით ჩემს მეოხეს.....

ლისი

მოზიდულია მშვილდი, კენტო, უფთხილდი ისარს!

კენტი

მსტყორცნე ისარი, სჯობს განაპოს მან მკერდი ჩემი,
 ვიდრე მლიქვნობამ ღრღნა დაუწყოს ჩემს სინიდისსა.
 ვკადნიერდები, მაგრამ ეგე მე მომეტევოს,
 მაშინ როს მეფეს გზას უკვალავს უგუნურება.
 ნეტა რას ჩადი, ბერო კაცო? ნუ თუ გგონია,
 რომ იქ დადუმდეს ერთგულება, სადც მეფის ძალი.



ქართული
ლიბრთეკა

პირფერობ.მ და მლიქენელობ.მ დაიმორჩილა?
როდესაც მეფეს აერევა მის გზა და კვალზე
უმის ერთგულება მაშინ უნდა იქ ლაღადებდეს.
უარ-ჰყავ შენი განაჩენი და დაჰჯდარის ჭკვით
ეგ საზიზღარი გულისწრაფობა უკუირიდე.
მე ჩემს თავს დავსდებ სასიკვდილოდ, თუ ამ უმცროსს ქალს
სხვაზედა ნაკლებ შენ უყვარდე. -მეფე, მერწმუნე,
არ არის სრულად ის უცულო, ვისიც წუნარი ხმა
ვერ ხძლებს აღმოსტქვას თვისის გულის შემსჭვალულება

ლირი

სუ! ხმა გაკმინდე, თუ გინდა, რომ სიცოცხლე შეგჩრეს!

ქანტი

ჩაღად ეხადოდი ჩემს სიცოცხლეს; ოდეს შენს მტერთან
მე მიბრძოლია. არ მაღონებს მე მის დაკარგვა,
როდესაც შენი სიკეთე მე წინ მიმიძღვება.

ლირი

გა, გამეცალე! მიმეფარე თვალთა ჩემთაგან!

ქანტი

აღახვენ თვალნი!... ლირო, ლირო, მიმოიხედენ
და თვალთაგანა ნუ იშორებ შენს ერთგულს ყმასა.

ლირი

აპოლონს ვეუცავ ••


 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

კენტი

მეცა ვეუცავ იმავ აპოლონს,
 რომე ამოდ იხსენიებ შენ ღმერთთა შენთა.

ლირი (ხმალზედ ხელს იწვდენს)

ოჰ, შე ირგულო!...

ალბანი და კორნეალი.

ხელმწიფეო, გთხოვ რომ დამშვიდდეთ.

კენტი

განმგმირე აწ მე! მოჰკალ, მოჰკალ შენი მკურნალი
 და საზაროსა ხენსა შენსა მიმეცი საზრდოდ.

უკუვ-უქციე, რაც წაართვი შენს უმცროსს ქალსა,
 თუარემ ვიდრემდე მე, კენტს, პირში სული მიდგოა,
 ვიტყვი ყოველთვის, რომ დღეს შენ ჰქმენ უსამართლობა.

ლირი

ისმინე ჩემი, განდგომილო და მოღალატე!

მეუფებისა სახელითა შენ, უმას, გიბრძანებ:

მისთვის, რომ სცდილობ აღთქმა ჩვენი დაგვარდევინო,
 მით გვაქმნევინო ის, რაც ჩვენთვის უკადრისია;

მისთვის, რომ ვსურს შენ სამარცხვინო ამპარტაუნობით



ჩვენის ნების და განჩინების შუა ჩამოსდგე,
 მით შეურაცხ-პუო ხარისხი და დიდება ჩვენი,
 შენ აწ გინიშნავს სათნოება სულეუის ჩემის
 ხუთ დღეს პაემნად, რომ მომზადდე განსაცდელთათვის,
 მეექვსე დღეს კი განერიწო ჩვენის ქვეყნიდგან.
 თუ მეათე დღეს სახე შენი კვლავ აქ ვიხილოთ,
 წამსვე რისხვამან ჩვენმან შენი სიცოცხლე მოსპოს.
 ფა!... ვფიცავ ზევსსა, არ გადიდოქვას ეს სიტყვა ჩვენი!

კენტი.

მშვიდობით მეფე! დღეს გვაჩვენე, რომ შენსა ახლოს
 თავისუფლება და სიმაართლე ვერ ისადგურებს.

(კორდელიას).

მეფის ასულო, გულმართლობით აღმომეტყველო!
 იუომსცა ღმერთი ჩვენი მფარველ და მეოხ შენი.

(გონერილას და რეგანას).


მსურს, გრძელს საუბარს თქვენსას მოჰყვეს სულგრძე-
 ლებაცა და ტბილთა სიტყვათ ზედ ჩაერთვას სათნო საქმენი.

ბატონის შეიღნო, გეთხოვებთ თქვენ უველას კენტი, —
 უცხო ქვეყნადაც ის დაშთების იმავე კენტად.

(გადის).

2*

3352



შემოდინ გლოსტერი ხელმწიფე საფრანგეთისა,
 მთავარი ბურგუნდიის და ამაღაჟენული
 შინაღორთისა
 გლოსტერი.

საფრანგეთისა ხელმწიფე და ბურგუნდთ მთავარი
 მობძანდენ თქვენთან, დიდებულო ჩემო ხელმწიფე.
 ლირი.

ბურგუნდთ მთავარო! ჯერედ სიტყვას მე თქვენ
 მოგმართავთ:
 თქვენ ეცილებით ფრანგთა მეფეს ჩემს უმცროსს ქალსა,
 და აწ მიბრძანეთ, გსურსთ თუ არა თქვენ მისი შერთვა
 და რაოდენსა მზითოვსა თქვენ ჩემგან ითხოვთ.

ბურგუნდთ მთავარი.

მაღალო მეფე! მე არ ვითხოვ იმაზედ მეტსა,
 რაცა აღუთქვა თქვენს ქალს თქვენმა დიდებულებამ
 და მაზედ ნაკლებ ბოძებასა არც თვით ინებებთ.

ლირი.

კეთილშობილო, ხვე მაღალო ბურგუნდთ მთავარო!
 ოდეს ასული ვგი იყო ჩვენთვის ძვირფასი,
 ძვირფასადაცა მას ვხადოდით. წარვიდა ის დროცა.
 ეხლა მის ფასი ჩვენ თვალთა წინ შემცირებულა.
 აგერ თვით იგიც. თუ თქვენ იგი მოგეწონებათ

გარტო მისისა გარეგანის ჰაეროვნებით,
რომელსაც წყრომა ჩვენი ზედა დამატებებს
და სხვა არაა, წაიყვანეთ, იგი თქვენია.

ბურბუნდო მთავარი.

მე არ ვიცი რა გიპასუხოთ.

ლირი.

ჩემო ხელმწიფე!

თუ გსურსთ თქვენ ცოლად იგი უოველ იმა ბიწითა,
რომელიცა მას ეგრე უხვად მინიჭებია,
იგი, რომელსაც არ ჰყავს ტოლი, არც მეგობარი,
იგი, რომელსაც მზითვად ვაძლევთ ჩვენს მძულუვარებას
და რომელიცა წვევლით ჩვენგან განდევნილია,—
აგერ შეირაეთ, თუ არა და უარი-ჰყავით.

ბურბუნდო მთავარი.

მომიტევით მე, ხელმწიფეო, მაგ წყრომის შემდეგ
არ შეიძლება ქალი თქვენი ცოლად ვითხოვო.

ლირი.

მაშ უარ-ჰყავით. ვუცავ ძალთა, ჩემთა გამჩენელთ,
რომ უოველივე მის სიმდიდრე ჩამოგიტვალეთ.

(საფრანგეთის ხელმწიფეს).

თქვენ კი, მეფეო, ამას გეტყვით: მე არ მსუროდა,



რომ სიყვარული თქვენი იქა შთანერგილიყო,
 სად მძულვარებამ ჩემმა ფესვი თვისი გაიჭრა
 არ ვიციანდომებ თქვენთვის ესეთს ქორწინებასა
 და ამისთვის გთხოვთ, სიყვარული თქვენი მიმართოთ
 უფრო ღირსეულს არსებასა, ვიდრე ამ ზედკრულს,
 რომლისაც ცნობა თვით ზუნებას ეთაკილება.

საზრანგეთის ხელმწიფე.

მაოცებს მე ეგ!.. იგი, ვინცა დღეს აქამომდე
 იყო თქვენისა სიყვარულის პირველ საგანი,
 საგანი თქვენის სიკადულის და სასოების,
 ნუგეში თქვენის სიბერისა, თქვენი საუნჯე, —
 ნუ თუ იქმოდა იმისთანა საზაროს რასმეს,
 რომ ერთს წუთზედა შეეცვალა მას გული თქვენი
 და მოწყალება მრისხანებად გარდაექცია?
 ან ბრალი მისი უნდა იყოს ესდენ საშინელო,
 ესდენ დამრღვევი ზუნებისა წესის და რიგის,
 რომ ქალი თქვენი მისგან იქმნეს შემაზრზენებელ,
 ან უწინდელი სიყვარული თქვენი მისდამი
 ყოფილა მხოლოდ მართო ერთი თვალთ-მაქციობა.
 მაგრამ გონებას და გულს ჩემსას ვერ ურწმენია,
 რომ თქვენს უმცროსს ქალს ბრალი დიდი რამ მოეხდინოს.

კორღელია.



დიდებულებას თქვენსას ერთს ვსთხოვ: თუმცა ენა ჩემი არ არს გაქლესილ და გაპოხილ პირფერობითა და ვრჩევობ ჯერედ საქმე იუოს და მკრე სიტყვა, — მაგრამ მაინც ვთხოვთ აღიაროთ, ჩემო ხელმწიფე, რომე მიზეზი თქვენის წყრომის და გულის აურის არ არის არცა ბიწიერი ქცევა რამ ჩემი, არცა კაცის კვლა, აესულობა, ნამუს დამზობა, არც ქალწულების ჩემის რითმე შეურაცხ-ყოფა და არცა სხვაი სამარტბინო რამ საქციელი, — არა არც ერთი საზიზლარი უწმინდურება ვერ გაბედავს ჩემს ყოფა ქცევას მოაცხოს რამე. თუმცა რაც მაკლია, მე იმით ვარ მხოლოდ მდიდარი, მაგრამ ეგ ნაკლი მე გამიბდა წყრომის მიზეზად; მე არ მაქვს თვალნი მათხოვარნი და ენა მლიქენი და არ ქონვა ეგ მე მახარებს და მასულმდგმარებს, თუმცა მაგ არ ქონვამ მამის გული დამაკარგვინა.

ლირი.

თუ არ მაამებ, ის სჯობდა, რომ არ შობილიყავ.

საჟრანგეთის ხელმწიფე.

ეგ არის მარტო? ეგ ხომ მხოლოდ კრძალულებაა,

რომელიც ხშირად კაცს წადილსა ვერ ათქმევინებს.
 ბურგუნდთ მთავარო, თქვენ რას ეტყვით პასუხად ამ ქალს?
 ის სიყვარული სიყვარულად არ იხსენება,
 როს ანგარება, ანგარიში მას ზედ დაერთვის;
 თუ სიყვარულში სიყვარულზედ მეტს რასმეს ვეძებთ,
 მაშინ დაბლდება სიყვარული და უკუ-დგება.
 გსურსთ იგი თუ არ? თვის მზითვეი ეგ თვითონ არის.

ბურგუნდთ მთავარი.

გვირგვინოსანო, დიდებულო ხელმწიფევი ღირს!
 რაც აღუთქვით თქვენ, თუ კვლავ მიხცემთ ასულსა
 თქვენსა,
 მე ვირთავ მას და აღვიარებ ბურგუნდთ დედოფლად.

ღირსი.

არა რას მიეცენ! ფიცი მითქვამს და არ გავსტეხავ.

ბურგუნდთ მთავარი.

მე დიდად ვსწუხვარ, რომ მამაც და საქმროც დაჰკარგეთ.

კორდელია.

მშვიდობა თქვენდა! ნუ სწუხდებით, ბურგუნდთ მთავარო.
 მას, ვისაც გულში ჰქონდა მხოლოდ მზითვისა შიენა,
 თვით კორდელიაც თავის დღეში ქმრად არ ინდომებს.

საფრანგეთის ხელმწიფე.



სიტუაციით სავსე, კორდელიაგ, რა კარგად ღრმად
 შენ ხარ მდიდარი თვითონ ემაგ სიღარიბითა.
 განგდევნეს შენა და უარ-გყვეს, — მე აღვირჩიე;
 შეგიძულეს შენ და უფროსებს მე შეგიყვარე.
 შენა და შენმა სათნოებამ შემიპყრა მე დღეს, —
 და შენ სხვათაგან უარ-ყოფილს მე ცოლად გხადი.
 ოჰ, ღმერთო ჩემო! საოცარ და საკვირველია,
 რომე რაც მეტად იგი იმით აითვალწუნეს,
 მით უფრო მეტი სიყვარული ჩემს გულს ეგზნების.
 მეფე, უმზითვო ქალი შენი ბედმა მარგუნა,
 იუოსმცა იგი დღეს მფლობელად და მპრძანებელად
 ჩემი და ჩემის მშვენიერის საფრანგეთისა.
 მრავალ-წყლიანმა ბურგუნდიამ და მის მთავართა
 ესე ობოლი მარგალიტი ველარ იყიდონ,
 ეს, რომელიცა უფასოა და ვერ აფასებთ.

თუმცა სასტიკად, უღმობელად შენ აქ მოგეპყრენ,
 მაინც მათ ყველას, კორდელიაგ, გამოეთხოვე,
 დასტოვე ყველა, რომ უკეთესს ბედსა შეგყარო.

ლირი

მაშ ეგ შენ მიგყავს, ხელმწიფეო საფრანგეთისაგ!

ძალიან კარგი, წაიყვანე, იყოს ვე შენი!
ჩვენ კი მას შეილად დღეის იქით აღარა ვხადით
და მაგის სახეს აღარას დროს არ ვინახულებთ.
წარვედით ჩემგან უმოწყალოდ, უსიყვარულოდ
და დაულოცველ! — წამობრძანდით, ბურგუნდთ მთავარო.

(საყვირის ხმა. გადიან ლირი, ბურგუნდთ
მთავარი, კორნვალი, ალბანი, გლოსტერი
და ამაღა.)

საჴრანგეთის ხელგწიჴე

გამოეთხოვე, კორდელიავ, შენსა დებსაცა.

კორდელია

თვალ-ცრემლიანი კორდელია გეთხოვებათ თქვენ,
მამისა ჩემის საუნჯენო! ვიცი რაცა ხართ,
მაგრამ ვით დასა გამზილება თქვენი მე მიმძიჴს.
გემუდარებით მამაჩვენსა თქვენ უპატრონოთ;
მსურს არ გამტუნდეს სიტყვა თქვენი სიყვარულისა
და რაც სიტყვით სთქვით, იგი საქმით თქვენ აღასრუ-
ლოთ.
ვაი, რომ მე არ დამაშთინა მამამ თავისთან, —
მასთან მე ჳირსა ვირჩენიდი, ვიდრე სხვაგან ლხინს.
მშვიდობით, დანო.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

გონიერი

შენ თავს მიეც ეგ დარღვება

რეზანა

ის სჯობს ეცადო, რომ აამო შენ შენსა ქმარსა,
რომელსაც ეგრე სამადლოდა დღეს თან მიძუებხარ.
შენ მორჩილება არა გქონდა და ჩამოგერთვა
იგი უოველი, რისაც ღირსი შენ არ იყავი.

კორდელია

რა ორპირობაც, ცბიერებაც აქ თავს იმაღავს,
დრო გამოაჩენს; ბოროტება არ დადუმდება!..
და თვით სირცხვილი ფარდას ახდის მზაკეარებასა.
მშვიდობით, დანო! მსურს მე თქვენთვის ბედნიერება!

საფრანგეთის ხელმწიფე

ეხლა კი, ჩემო კორდელიავ, დროა წაეიდეთ.
(გადიან საფრანგეთის ხელმწიფე და კორდელია.)

გონიერი

მე მსურს, ჩემო დანო, მოგელაპარაკო ისეთს
საქმეზედ, რომელიც ორივეს ღიდად შეგვე-
ხება. ეგონებ, მამაჩენი ამალამ აქედგან მიდის.

რეზანა

მართალია, ჯერ შენთან მოდის და მეორე
თვეს კი მე შეწევვა.



გონიერი

ხედავ ამსიბერეში რა დაუდგრომელი ხასიათი დაიჭირა? ჩვენი უმცროსი და ხომ ჩვენზედ მომეტებულად უყვარდა, მაგრამ ნახე რა ცუდ-უბრალოზედ შემოსწყრა და აითვალწუნა? ეს ყურადღების ღირსია.

რეზანა

მაგ გვარი სენი სიბერეში აუცილებელია: ეგეც რომ არ იყოს, სწორე გითხრა, მამ.-ჩვენს თავის თავი თავის დღეში რიგიანად არა სჭერია.

გონიერი

ჯერ როცა უფრო უკეთესი დრო ჰქონდა, მაშინაც კი თავს ვერ იმაგრებდა და ეხლა, როცა წელთა სიმრავლემ განუმტკიცა მას ავზნეობა, არამც თუ ბევრი მოთმინება დაგვეჭირდება, არამედ ბევრს ტანჯვასაც მოგვაყენებს ის მოუსვენარი გულის აფეთქება, რომელიც მოსდევს ხოლმე უძლურს, დაღვრემილს და ზ. ფრა-მორეულს მოხუცებულებას.



რეზანა

მაგის ჭირვეულობისაგან რატომ წეენ კო
არ უნდა მოველოდეთ კენტის გაგდების
შზგაესს რასმეს.

გონიერილა

ან კიდევ იმას, რაც ყოფა დააწია დღეს
საფრანგეთის ხელშწიფეს გამოთხოვების დროს.
ჩვენ, ჩემო დამ, ერთს პირზედ უნდა ვიდგეთ,
თვარემ თუ მაგ სიანხლოესთან ძალაც შერ-
ჩება, რა ხელსაყრელი იქნება ჩვენთვის, რაც
დღეს მოგვცაქ

რეზანა

მაგაზედ მერეც ვიფიქრებთ.

გონიერილა

სჯობს, ვიდრე არ დაგვიანებულა მოვაგვა-
როთ რამე.

(გადიან.)

სანახაეი II.



ოთახი გრაფი გლოსტერის ციხე-დარბაზში
შემოდის ედმუნდი. ხელში ბარათი უჭირავს.
ედმუნდი

შენ, ბუნებო, მე ჩემს ღმერთად მიწამებინარ,
და ემონებ მხოლოდ კანონს შენსას და თავუფანსა ცემ.
რად მოვეუბრი თავს უსამართლოს კაცთ ჩვეულებას
და კაცთ კანონის ცთომილებას მუხლს რად მოვეუდრეკ?
ნუ თუ მად, რომე თორმეტის თუ თოთხმეტის თვითა
ჩემს ძმაზედ გვიან დავიბადე? უკანონო?
რითა ვარ აბა უკანონო? რა მაკლია მე?
ტყვის სითამამე, ძალღონე, თუ ჰაეროვნებ?
ყოველ ამითი მდიდარი და შემკული მე ვარ
ისე, ვით შეენის პატროსნის დედისგან შობილს.
მაშ რაღად გეძრახვენ და გვარქმევენ ურცხეთა სა-
ხელთა?

უკანონო! ღლაპო! ბუშო! ნაბიჭვარო!
რაში შემფერის მე ამ გვარი სახელთწოდება,
მე, ვინც ჩამსახა უტკბოესმა ვნებათ ღელვამა
და საიდუმლო ტრფიალებამ შთამბერა სული,
მე, რომლისთვისაც თვით ბუნებას კრძალვით წარსტაცეს



სულისა ღონე და სიტურფე თვალ-ტანადობის?
 ესრედ ნაყოფის გამოლება ნუ თუ არ სჯობდეს
 ჩვეულებრივის გაცვეთილის გრძნობით გაჩენას,
 რომელიც კანონთ ნებადართვით, თვლემით, მთქნარებით
 გადაეს ამ ქვეყნად ამდენ ტუტუტო და სულელთ გროვას?
 მაშ კარგი ედგარ, კაცთ კანონით კანონიერო,
 იმედია, რომ მე ბუშს დამრჩეს ქონება შენი.
 ორნივე ერთ რიგად მივაჩნივართ მამასა ჩვენსა
 მე უკანონო და შენ შეილი კანონიერი.
 კანონიერი!... ვიშ რა სიტყვა მოუგონიათ!...
 პო, კარგი ჩემო ბედნიერო კანონიერო.
 თუ ამ წერტილმა არ მიმტყუნა და გაიმარჯვა,
 თუ მოგონილი მანქანება არ გამოცუდდა,
 მაშინ ამ ბუშის უკანონოს ედმუნდის ხვედრი
 კანონიერის ედგარის ხვედრს გადააქარბებს,
 მაშინ გაეკეთდე, ავმალდე და გაებედნიერდე!
 ოპ, ღმერთონო ჩემო, იყავთ შემწედ უკანონოთა.

შემოდის გლოსტერი.

გლოსტერი

კენტი განდევნეს!... ფრანგთა მეფე გულნაკლ წაეიდა!..
 ხელმწიფე ჩვენიც წუხელისვე გზად განემგზავრა!...

თვისი უფლება სხვას გადასცა... სხვის კერძად დარჩა...
 უოველი ესე უცნაურად, უცბად არ მოხდა?
 რა, ედმუნდ, აქა ხარ, ახალი ამბავი რა იცი?

ედმუნდი (ვითომც ბარათსა მალაფს.)

მე ახალი ამბავი არა ვიცი რა, თქვენო
 ბრწყინვალეზე.

გლოსტერი

რატო აგრე ძალიანა ცდილობ მაგ წერი-
 ლის დამალვას?

ედმუნდი

მე, ბატონო ჩემო, ახალი ამბავი არა ვი-
 ცირა.

გლოსტერი

ეგ რა წერილსა კითხულობდი?

ედმუნდი

მე არაფერსა.

გლოსტერი

როგორ არაფერსა? მაშ ეგრე სწრაფად რად
 უკარ თაფი ჯიბეში, თუ არაფერსა? არაფერს
 დამალვა არა სჭირია. აქ მაჩვენე, მოიტა; თუ

მართლა არაფერია, სათვალეებიც
კირდება.



ედგუნდი

მომიტევეთ, ბატონო ჩემო, ეს წერილი ჩემის ძმისგან არის და თუმცა ჯერ ბოლომდინ არ გადამიკითხავს, მაგრამ რის წაკითხვაც მოვასწარ, იქილამ ესცან, რომ იგი თქვენი წასაკითხი არ არის.

გლოსტერი

მოწყალეო ხელმწიფე, აქ მომეც მეთქი:

ედგუნდი

მოგართვათ თუ არ მოგართვათ ორივე თქვენთვის საწყენი იქნება. რაოდენათაც მე ვგ წერილი წაეკითხე, ესცან, რომ რაც მაში სწერია, არაფრად მოსაწონი გახლავთ.

გლოსტერი

მაჩვენე. მაჩვენე მეთქი ვგ წერილი.

ედგუნდი

ჩემის ძმის გასამართლებლად ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ, ეგონებ, ეს წერილი იმას

ჩემის ერთგულების გამოსაცდელად მოუგონია.



გლოსტერი (კითხულობს წერილს.)

„ამ გვარი მორჩილება და ერთგულება მონუცებულობისადმი ჩვენს უკეთესს ცხოვრების დროს გვიმწარებს. მაგ მორჩილების და კრძალულების გამო ხელიდამ გვეცლება კონება და მხოლოდ სიბერის დროს მოგვეცემა, ესე იგი მაშინ, როდესაც ცხოვრებით დატკობა აღარ შეგვეძლება. შე ეხლა მიეხედი, რომ სულელობა და უხეირობა ყოფილა კაცმა თავი შეივიწროოს და ექვემდებაროს გამოჩერჩეტებულს სიბერის მძლავრობასა რომელიცა მეთობს არა თვისის ძლიერებითა, არამედ კაცთა ჩვეულების ძალითა. მოდი ჩემთან, რომ ამ საგანზედ უფრო დაწვრილებით მოგელაპარაკო. თუ მამა ჩენი ისეთის ძალით დაიძინებს, რომ არ გაიღვიძოს, ვიდრე შე არ გაეღვიძებდე, მაშინ შენც სამუდამოდ გერგება ნახევარი მისის შემოსაელისა და იქნები საყვარელ ძმად შენის ძმის ედგარისა.“ რაო?!

არ გაიღვიძოს, ვიდრე მე არ გაეაღვიძებდეო?
 შენ ნახევარი გერგებო? ედგარ, ჩემო სისხ-
 ლო და ხორცო? ეს შენმა ხელმა დასწერა?
 ეს ფიქრები შენმა ტვინმა და გულმა გამო-
 ზარდა? როდის მოგივიდა ეს წერილი? ეინ
 მოგიტანა?

ედიუნდი

ეს, ბატონო, არაეის მოუტანია, აქ სხვა
 ხერხი უხმარიათ. ეს ჩემის ოთახის ფანჯარა-
 რაზედ დაეგდოთ და იქ ეიპოვე.

გლოსტარი

მერე შენ იცი, რომ ეს სწორედ შენის ძმის
 ხელია?

ედიუნდი

ამ წიგნში რომ კარგი რამ ეწეროს, მე
 თავს დაესდებდი, რომ ეს სწორედ ჩემის ძმის
 ხელია, მაგრამ ეხლა კი დიდის სიამოვნებით
 დაებრძანდებოდდი, რომ იმის ხელი არ მეცნო.

გლოსტარი

მაშ სწორედ იმის ხელია?

სულს ამოვართმევ! სად არის ეხლა ის ბო-
როტი არამზადა?



ეღმუხდი

რა მოგახსენოთ, ბატონო? გაეკადნიერდე-
ბი და ვიტყვი, რომ ურიგო არ იქნებოდა
თქვენი რისხვა მცირეს ხანს შეგეკავათ, ვიდ-
რე ჩემის ძმის განზრახვას კარგად არ გამო-
იკვლევდეთ. ეინ იცის იქნება ზებრალოც იყოს
და მაშინ თქვენი ეხლავე სასტიკად მოპყრო-
ბა ცუდათ ჩამოგერთმევათ და იმის შორჩილს
გულსაც განგლეჯს და შეზარავს. მე ჩემს
თავს თავდებად გაძლევთ, რომ ჩემმა ძმამ ეს
ბარათი მომწერა ჩემის თქვენდამი ერთგულე-
ლების და სიყვარულის გამოსაცდელად და
არა სხვა რაიმე ბოროტის განზრახვითა.

ზლოსტერი.

მაშ შენ ვგრე გგონია?

ეღმუხდი

თუ ეს თქვენის ბრწყინვალეებისათვის სა-
თაკილო არ იქნება, მე დავმალავთ თქვენ
იმისთანა ადგილს, საიდანაც შეგეძლებათ მო-



ისმინოთ ჩემი და ედგარის ამაზველ საუბარი, მაშინ თქვენ თქვენის საკუთარის სურვილს ნამდვილსა სცნობთ. თუ მიბძანებთ, ამას დაუყონებლივ დღეს საღამოზედვე მოეახდენ.

გლოსტერი

არა, ის ამისთანა გველი არ იქნება.

ედმუნდი

სწორედ, რომ არ უნდა იყოს;

გლოსტერი

მე უნდა მლალატობდე? მე, რომელსაც ისე სათუთობით და ისე განუსაზღვრელად მიყვარდა.—ჰოი, ძალნო ცისა და ქვეყნისა—ედმუნდ, მონახე იგი, ერთი იმის გული გამაქექინე, ერთი იმის სულში ჩამაძვრიანე! გეხევეწები ამას. ისე მოახერხე ეს საქმე, როგორც შენის ჭკუისაგან ვიცოდე. ოღონდ კი მართალი შევიტყუო და თუნდა ხელს ავიღებ ყველაფერზედ, რაც კი მამადია.

ედმუნდი

მე ესლავ გიახლებით და მოენახე. ვეცდება შეძლებსამებრ საქმე ისე მოვაგვარო,

რომ თქვენ ყველაფერი მართალი სცნათ,
გლოსტერი



მ. კ. მ. მ. მ. მ. მ.
 შიშლიძის გამომცემი

ეს უკანასკნელი მზასა და მთოვარის დაბ-
 ნელება კარგს არას მოაწაფებდა. მართალია,
 ამ მოვლინებას ბუნების-მეტყველება ხან ასე
 ხსნის, ხან ისე, მაინცა და მაინც აშკარაა,
 რომ კანონნი ბუნებისანი ირღვევიან: სიტყვა-
 რული განკრა, მეგობრობა დაემხო, ძმა ძმა-
 ზედ აღდგა, ქალაქებში შფოთია და არეუ-
 ლობა, სოფლებში განხეთქილება, მეფეთა სა-
 ხლეში ლალატი, მამასა და შვილის შუა
 სწყდება მამაშვილური კავშირი და ჩემი უკე-
 თური შვილიც ამართლებს წინასწარმეტყვე-
 ლების სიტყვას: შვილი აღდგეს მამასა ზე-
 დაო. ხელმწიფემაც დაიეიწყა ბუნებითი მიღ-
 რეკილება და უ.რ-ჰყო საკუთარი შვილი თეი-
 სი და აჰა ესეც გამართლდა: მამა აღდგეს
 შვილსა ზედაო. აიგავა ჩვენი უკეთესი დრო
 და მოისპო; მზაკეარობა, ფლიდობა, ლალატი
 და ყოველი დამამხობელი უწესობება განუწ-
 ჩვეტლად მოგვეყვებიან ჩვენ საფლავის კარამ-

დინა. — მონახე, ედმუნდ, ის ავაზაკი, სულ-
 მოდგინედ მოეკიდე შენ ამ საქმეს და იწაფე-
 ბაში არ იქმნები! — კეთილშობილი და ერთ-
 გული კენტი განდევნეს! მისი ბრალი მხო-
 ლოდ პატიოსნება იყო! — მიკვირს, მაოცებს!
 (გადის)

ედმუნდი

სასაცილოა კაცთა სულელობა! როდესაც
 უბედურება გვეწვევა, მაშინ ჩვენს უბედურე-
 ბას, — თუნდ რომ ბრალიც იყოს, — გადავაბ-
 რალებთ ხოლმე მზეს, მთოვარეს და ვარსკ-
 ელაეებს, თითქოს ჩვენ ვიყენეთ გულ მურ-
 ტალნი მარტო იმისათვის, რომ ეგ ეგრე
 გვაქვს დანიშნული, ვიყენეთ სულელნი ზე-
 ნარის ძალდატანებით, — ფლიდნი, ქურდნი,
 ავაზაკნი სფერათა ბრუნვისა გამო ლოთნი,
 ცრუნი, მლიქენი პლანეტთა ზედ-მოქმედები-
 საგან და თითქოს ყოველივე ბოროტება ზე-
 ნარის განგებისაგან წარმოსდგებოდეს. ძალიან
 ოსტატური თავის გამართლება არ იქნება მე-
 ძავე-მრუშე კაცისაგან, რომ თვისი ძალღური

მსუნაგობა ვარსკვლავებს გადააბრალოს?! აქაო
 და ესა და ეს ვარსკვლავი იყო ცაზედ, ^{არა} არა
 ცა დედა ჩემმა მამაჩემთან შესცოდო და ამა
 და ამ ვარსკვლავზედ დავიბადეო, — ამისთვის
 უსათუოდ მხეცი და მრუში უნდა ვიყო. (*)
 მე კი ასე მგონია, რომ თუნდ თვით უქალ-
 წულესს ვარსკვლავს განებრწყინებინა ჩემი
 უკანონო ჩასახვა, მე მაინც ის ვიქნებოდი,
 რაცა ვარ. (ედგარი შემოდის), აი ედგარიც! სწო-
 რედ მოსწრებაზედ არ მოვიდა. ეს ამბავი ძველ
 კომედიას მომაგონებს. ეხლა მე თომა ბედ-
 ლემელსავით თავი ძალად უნდა მოვიწყინო,
 ოხრვას და კენესას მოყვე. — ოჰ, ეს დაბნელე-
 ბა ამ შფოთებს მოასწავებდა! ფა, სოლ, ლა,
 მი. (**)

ედგარი

რა ამბავია, ძმაო, რატომ აგრე ოცნებას
 წაუღიხარ?

(*) აქ დედანში დასახლებულია ვარსკვლავები; მრავალი და ვეშაპის ბოლო.

(**) ევროპიული სამუზიკო ხმების ნიშნებია

ელმუნდი



ქართული
ამბროსი

მე იმაზედ ეფიქრობდი, რაც ამხელეებში წაეკითხე: დაბნელება კარგს არაფერს მოასწავებსო.

ელგარი

განა შენ მაგისტანაებიცა გჯერა?

ელმუნდი

მე გარწმუნებ, რომ რაც წამიკითხავს, ჩემდა სამწუხაროდ, სულ მართლდება. მაშ რა არის ეს სიძულილი მამისა და შეილის შუაქს ჭირიანობა, ეს შიმშილი, ეს ძველი და მტკიცე მეგობრობის დარღვევა, სახელმწიფოში ამბოხი, დედებულთა და მეფეთა ავადხსენება და მუქარა, უმიზეზო მიუნდობლობა, მეგობართა განდევნა, აეკაცობის გამრავლება, ცოლქმართა შუა შფოთი და განხეთქილება და ათასი სხვა ამისთანა.

ელგარი

როდის აქეთ მიჰყავ შენ ვარსკლავთ-მრიცხველობას ხელი?



ედგუნდი

ეპ, რა ღროს ეგ არის? ერთი ეს მითხარ, უკანასკნელად როდისა ნახე მამაჩვენი?

ედგარი

მერე რაო?... წუხელისა ვნახე.

ედგუნდი

ელაპარაკე კიდეცა?

ედგარი

მთელი ორი საათი.

ედგუნდი

მერე მშვიდობიანად მოსცილდით ერთმანერთსა? ხომ უკმაყოფილობა რამ არა შეგიმცნევია რა, ან სახეზედ, ან ლაპარაკში?

ედგარი

სრულიად არაფერი.

ედგუნდი

აბა კარგად ჩათქრდი, ხომ არა გიწყენინებია რა? თუ გიყვარდე, ცოტას ხანს მოერიდდე და ნუ დაენახეები, ეიდრე გულ-აფიცუხება არ გადუფელის. ეხლა ის შენზედ ისე გა-

ჯაერებულია, რომ მოგკლას კიდევ გული
არ დაუშოშმანდება.



ელგარი

ეს რა მესმის? სწორედ ერთს უმზგავსოს
ვისმეს დაეუბნებდივარ.

ელმუნდი

მეც მაგისი ფიქრი მაქვს. გთხოვ, ძმაო
პატარა ხანს მოერიდო, ვიდრე იმას რისხვის
ცოფი გადუვლიდეს. ჩემს ოთახში წამომყევ.
მე იქ ისე მოვახერხებ, რომ შენის ყურითვე
გაიგებ, რასაც მამაჩენი ილაპარაკებს. გეთაყვა
ჩემს ოთახში შედი. აი გასაღებიც. თუ შინიღ-
გან კარში გამოხვიდე, უიარალოდ ფეხი არ
მოიცივლო.

ელგარი

უიარალოთაო?! რაო, რას ამბობ, ელმუნდი?

ელმუნდი

მე, ჩემო ძმაო, რასაც გეუბნები, შენის სი-
კეთისათვის გეუბნები. ფეხს ნუ მოიცივლი
მეთქი უიარალოდ, დამიჯერე; შერცხვენილი
ვიყო, თუ აქ ბოროტი რამ განზრახვა არ

იყოს. მე მარტო ის გითხარ, რაცა ენახე და
 გავიგონე, მაგრამ ეს იმის ჩრდილიც არ არის,
 რაც მოსალოდნელია. გთხოვ, რომ აქედგან
 წახვიდე.

ედგარი

როდისღა ამიხსნი ამ გამოცანას?

ედმუნდი

მე ერთის სიტყვით კარგად წაეყუან ამ საქ-
 მეს.

(ედგარი გადის.)

მამა ასე გულ დამჯერი, ძმა გულმართალი,
 ისეა იგი უბოროტო, გულ-წრფელი, უბრალო,
 რომ სხვის ბოროტსაც ვერ მიმხედარა, ვერ მიუგნია;
 იგი თავისის სულელურის პატიოსნებით
 მალე მოხედება ჩემს ბაღესა და თავს გაიბავს.
 ეხლა ცხადია: თუ არ მოდგმით, ჭკუით მაინცა,
 ვაოგებ ქონებას და სიმდიდრეს ხელში ჩავიგდებ.
 უველას ვიკადრებ, რაიც კი მე ხელსა შემეწყობს.

(გადის)

ს ა ნ ა ხ ა ვ ი III.



ქართული

ბიბლიოთეკა

ოთახი ალბანის სასახლეში

შემოდან გონერვილა და მის მსახურთაუმფროსი
ოსვალდი.

გონერვილა

მართლა მამაჩემმა ჩემი აზნაური გალაბა,
რადგანაც მასხარა გაულანძლა?


ოსვალდი

დიალ, ბატონო.

გონერვილა

დღე და ღამისა ერთი წუთიც ისე არ გავა,
რომ რაშე წყენა მამაჩემან არ მომაყენოს.
მან გაგვიწვრილა უველას გული, აბეზარსა ვართ.
ხან იქ მოახდენს და ხან აქა ერთს რასმეს შუოთსა,
ამდევნს ვაგლახსა, უზომობას ველარ მოვითმენტ!
მისნი მხლებელნი ურცხვად სრულსა გარყენას მიეცნენ
და თვითონც მოპყვა წურომას, სტუქსეას ცუდ-უბრა-
ლოზედ.

როს მოვა იგი ნადირობით, არ ვინახულეგ;

უთხარი, რომ მე შეუძლოდ ვარ და თვით  კარგს იხამ,
რომ სამსახური შენი იმას ცოტად მოუკლავ,
თუ გიწყინოს რამ, ნუ გეშინის, მე გავცემ პასუხს.

ოცსაღლი

აგერ თვით იგიც გაახლებათ! მგონი ხმაც ისმის.
(საყვირის ხმა).

გონიერილა

შენცა და სხვათა ჩემთა მზღებულთ მე დღეს გიბ-
დანებთ,
რომ, რაც შეგეძლოთ, უზღვლოდა მას მოეჭეცით.
ნეტა არ მინდა ამაზედა მან მითხრას რამე
და მით უოველი, რაც გულში მაქვს, სულ მათქმევეინოს,
თუ წუნი დამდვა, მიბძანდეს და ჩემს დასთან დარჩეს
მაგრამ ჩემი დაც ჩემს აზრს ადგა ამ შემთხვევაში,
არც იმას უყვარს ჩემსაგეთა სხვის ბატონობა.
ეგ ბებრუტანა და ჩერჩეტი თავს არ ანებებს
იმ დიდებასა, რომელიცა მან სხვას გადასცა.
სწორედ რომ უჭკო ბავშვსა გვანან მოხუცებულნი,
თუ გაიბუტვენ და ალერსით ვერას უშეელო,
გაწყრომა უნდა. — რაც ვითხარი არ დაივიწყო.



არა ბატონო.

გონიერილა

მის რინდთაც უფრს ნუ ათხოვებთ,

რაც უნდა იმათ დაემართოს არას ვინაღვლი;

ხბებსაც უთხარ შენ, რომ ყველანი ცუდად მოეპყრნენ;

მიზებს ვეძებ, რომ რაც ეხლა ვსთქვი, ის შეასრულო.

ჩემს დასაც მივსწერ, რომ იგიცა ჩემებრ მოიქცეს.

ეხლა კი წადი და სადილი მოგვიმზადე ჩვენ.

(გადიან.)



ქართული
ზიგლიოთიკა

ს ა ნ ა ხ ა ე ი IV

სხვა ოთახი იმავე სასახლეში.

შემოდის კენტი სხვაფერ ჩაცმული.

კენტი

თუ მოვახერხებ ხმის და კილოს ჩემისა შეცვლა,

რომ საუბარი ჩემი სხვისას ემზგავსებოდეს,

მაშინ აღსრულდეს ის კეთილი ჩემი სურვილი,

რომლისათვისაც სახე ეგრედ გამოვიცვალე.

მაშინ მიხედები მეც ჩემს წადილს. — განდევნილ კენტო!

თუ გაგივიდა სამსახური იმა ადგილსა,

სადაც დაგსაჯეს, მაშინ მეფე, რომელიც გიყვარს,

გულს დააჯერებს, რომ შენ მხოლოდ მისთვის მსტდი-

ლობდი.

(საყვირის ხმა. შემოდის: დირი, რაინდნი, და
თანამზღებელნი.)

ღირი

სადილი, ჩქარა სადილი! მე ცდა არ მიყვარს

(მზღებელი გადის.) შენ ეინლა ხარ?

კენტი.

ადამიანი, ჩემო ბატონო.

ლირი.


 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

რა ხელობის პატრონი ხარ, რას იტყვებ
 ჩვენგან?

კენტი

მე იგი ვარ, რასაცა მხედავთ, არც მეტი და
 არც ნაკლები. ვინც მომენდობა, მას ევმსა-
 ხურები, ვინც პატიოსანია, მას შევიყვარებ,
 ვინც გონიერია და ცოტას ლაპარაკობს, იმას
 მეგობრობას გაუწევ; სამსჯავროს შიში მაქვს
 ჩხუბიც ვიცი, როდესაც სხვა გზა არ არის და
 თევზს კი, სწორედ მოგახსენოთ, არ გიახლე-
 ბით.

ლირი

მაინც ვინა ხარ?

კენტი

პატიოსანი გულის კაცი და ისე ღარიბი,
 როგორც მეფე.

ლირი

თუ როგორც მეფეა ღარიბი მეფობის კვა-
 ლობაზედ, შენც ისე ხარ—გლახობის კვალო

ბაზედ, მაშინ მართლა რომ ღარიბი ყოფილ-
ხარ. სთქვი რა გინდა?

თარგმანი
ზინჯირთაჲს

კენტი

სამსახური.

ლირი

ვისთანა გსურს სამსახური?

კენტი

თქვენთან.

ლირი

მერე ვიცი მე ვინა ვარ?

კენტი

არა, მაგრამ ისეთი სახის მეტყველება გაქვთ,
რომ სასიამოვნო იქნება ჩემთვის თქვენისთანა
ბატონის ყოლა.

ლირი

მერე იმისთანა რა იპოვე ჩემს სახის მეტ-
ყველებაში?

კენტი

მეუფების ნიშანი.

ლირი

რა სამსახური შეგიძლიან?

კენტი

შემძლიან რიგიანი რჩევა მოგცემთ, ქვეითად აქეთ-იქით ვირბინო და ცხენით გაექანდე და გამოექანდე, საამური ამბავი უგემურათ გიამბოთ, წერილმანი საქმე რიგიანად შეეასრულო, ერთის სიტყვით რაც ერთს საწყალს კაცს შეუძლიან, მეც შემიძლიან. ჩემში კარგი კიდევ ის არის, რომ ყველაფერში გულმოდგინე და ხალისიანი ვარ.

ლირი

რა ხნის ხარ?

კენტი

არც ისე ვმაწვილი ვარ, რომ დედაკაცი სიმღერის გამო შეეიყვარო, არც ისე ხნიერი, რომ ყველაფერზედ სიყვარულით აეპილბილდე. მე ზურგთა მკიღია ორმოცდა რვა წელიწადი.

ლირი

მაშ კარგი, ჩემთან დარჩი და შემსახურე. თუ სადილს შემდეგაც ვგრე მომაწონებ თავს, მაშინ ჩემგან არ მოგიშორებ.— ეი, სადილი



მეტქი! არ გეყურებათ?—სად არის ჩემი მახვილაკი მასხარა? აქ დამიძახეთ (შემოდის ოსვალდი) შენ ეო, ბრიყვო, ჩემი ქალი სად არის?

ოსვალდი

ნურას უკაცრავოდ... (გაღის)

ლირი

ეგ რა მიჰქარა! ერთი აქ დამიძახეთ ეგ უზღელი!—სად არის ჩემი მასხარა? ეს რა ამბავია თითქო ყველასა სძინამსო! რაო? რა იქმნა ის გაცვეთილი?

რაინდი

იგი მოგახსენებთ, რომ თქვენი ქალი შეუძლოდ ბძანდებაო.

ლირი

თვითონ რატომ აღარ იკადრა მობრუნება, როცა მას ეუხმე?

რაინდი

ხელმწიფეო, მან პირდაპირ მითხრა, რომ ჩემი ნება იყო და არ მოებრუნდიო.



ლირი

ჩემი ნება იყოო?!

რაინდი

ხელმწიფეო, მე არ მესმის ეს რა ამბავია, მხოლოდ მე ვგონებ, რომ თქვენს დიდებულებას პატივის ცემით აღარ ეპყრობიან. არც მოსამსახურეები, არც თვითონ მთავარი და არც თქვენი ქალი უწინდელგბრ მოწიწებით აღარ იქცევიან.

ლირი

ჰმ, შენც მაგას ამბობ?

რაინდი

მომიტევეთ, ხელმწიფეო ჩემო, თუ ამაში მე ვცდებოდე. მოვალეობა ჩემი არ მაძლევს ნებას დავღუმდე მაშინ, როდესაც მე ვხადავ, რომ თქვენ უკადრისად გექცევიან.

ლირი

შენ მხოლოდ ის შეამოწმე, რაც მე თვითონ შემიწინააღმდეგებს. ამ უკანასკნელს ჭამს მეც თვითონ შევამჩნიე, რომ მე აქ ყურს აღარ მათხოვებენ, მაგრამ ეგ ცუდი მოქცევა ჩემ-

დამი მათს ბოროტს განზრახვას კი არა, ჩემს საკუთარს იქნეულობას შეეწამე; მაინც და მაინც ვნახე კიდევ რა იქნება. — ნეტა სად არის ჩემი მასხარა? ეს ორი დღეა, რაც თვალთ ალარ დამინახავს.

რაინდი

მას შემდეგ, რაც ჩვენი უმცროსი ბატონი შეილი საფრანგეთში წაბძანდა, იგი დიდად გულ ჩათუთქეილი გახლავთ.

ლირი

მაგას ნულარ მომაგონებ... ეგ მეც თერთონ შეენიშნე... წადი და უთხარი ჩემს ქალს, რომ მე მასთან ლაპარაკი მსურს. ჩემს მასხარასაც აქ დამიძახეთ. (შემოდის ოსვალდი.) ოჰ, ბატონს ჩემს გაუბარჯოს! ერთი აქეთ მობძანდი, ერთი მიბძანე, შე ვინა ვარ?

ოსვალდი

თქვენ ჩემის ქალბატონის მამა ქხართ.

ლირი

მამაო! მარტო მამა და სხვა არაფერი! აი,

შე მურტალო! შე ძუენა ძალო! შე ჯურ-
მოჭრილო მონაე! შე კოფაკო!

ოსვალდი

უკაცრაეოდ, შე არც ერთი მათგანი არა
ვარ.

ლირი

თვალსაც მისწორებ მე? როგორ ბედაე მა-
გას შე წუწკო, წუწკის შეილო!

(ცემას დაუწყებს).

ოსვალდი

უკაცრაეოდ, შე გასალახი კაცი არ გახლა-
ვართ.

კენტი

არც ფეხ-წამოსაკრაფი ხარ, შე ნაბიჭვარო!
წიხლით სათელო! შე ტაკი მასხარა!

(ფეხს წამოუდებს და წაქცევს).

ლირი

მე, ჩემო ძამიაე, მადლობელი ვარ შენიჲ
შენ მე დღეს კაი სამსახური გამიწიე და ამის
შემდეგ მიყვარები.



კენტი

აბძანდი და გაეთრიე გარეთ! მეც შენ გას-
წაელი სად როგორ უნდა შოიქცე. გაეთრიე,
გაეთრიე მეთქი, თუ არ გინდა ხელმეორედ
გაიშხლართო. ეხლავ აქედგან გაეთრიე, გა-
დი მეთქი, თუ ჭკუა გაქვს. არც ეხლა გახვალ?
(კინწის კერით გააგდებს ოსვალდს).

ლირი

მადლობელი ვარ, ჩემო მეგობარო! აი წინ
გასალები შენის ჯამაგირისა.

(აძლევს კენტს ფულსა)

(შემოდის მასხარა)

მასხარა

მეც არ ჩამოგრჩები უკან, მეც მიეცემ წინ
გასალებს და მოჯამაგირედ დავიჭერ. აჰა, ჩე-
მი ჩაჩი.

(აძლევს კენტს ჩაჩსა)

ლირი

ოჰ, შენც მოხვედი, კუდიანო! როგორა
ბძანდები?

მასხარა



ქართული
წიგლისმოყვარეობის
კავშირები

რატომ არ ინებებ ჩემი ჩაჩი?

კენტი

ჩაჩი რად გინდა?

მასხარა

როგორ თუ რად გინდა? შენ ეგ დაგჭირდება იმიტომ, რომ შენ იმას თავს ევლები, ვისაც ეხლა თავს ივლებენ და მეორე იმიტომ, რომ როცა ქარი ჰქრის, ზურგს არ მიაკცევ და პირდაპირ უდგეხარ, ხომ სურდო შეგეყრება; აი ჩემი ჩაჩი ამისათვის არის შენთვის საჭირო. დამიჯერე, წაილე მეთქი. აი, ხო ხელაფ ამ ჩერჩეტას; ეს ის ბძანდება, რომელმაც თავისი ორი ქალი გააგდო და მესამე კი დალოცა, თითონაც არ იცის როგორ. თუ ამის აყოლა და ხლება გინდა, უსათუოდ ჩემი ჩაჩი უნდა გეხუროს; აბა, შენ როგორღა ხარ ჩემო ბიძია? აი ნეტაი ორი კალი მყოლოდა და თანაც ორი ჩაჩი მქონოდა.



საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
და მხატვრობის გამომცემი

ლირი

მერე რად გინდოდა, შე კულიანო,
მასხარა

როგორ თუ რად მინდოდა? თუ ჩემს ყოველს ქონებას ჩემს ქალებს მიეცემდი, ჩემთვის ჩაჩებს მაინც დაეირჩენდი. აი, ერთი ხომ მე მაქვს, მოდი, თუ ღმერთი გრწამს, მეორე შენს ქალებს მოსთხოვე.

ლირი

შენ ეი, გამიფრთხილდი, თორემ ამ მათრახს ხო ხედავ!

მასხარა

ეგ არის და! სიმართლე ქოფაკი ძაღლია: იმას ცემა-ტყვებით კი კარში გააგდებენ ხოლმე და თავ-მოწონებულს ფინიას კი ნებას მისცემენ, რომ ბუხრის წინ გაიშხლართოს და ინებიეროს.

ლირი

მოსწრებული, მაგრამ შხამიანი სიტყვაა!

მასხარა

გინდა, ბიძია, ერთი კაი შაირი გასწავლო.



აბა.

მასხარა

ყური კარგად მათხოვე:

რაც შენა გაქვს, სჯობს, რომ იმას ფარვიდე;
 რაც რამ იცი, სჯობს, რომ იმას არ სთქვიდე;
 გაცემასა უველაფრისას არ ვქვიდე;
 ცხენზედ იჯდე და ფეხით არა ელიდე;
 რაცა იცი, მაზედ მეტს ისწავლიდე;
 არვის ენდო, ვიდრე არ გაიცენიდე;
 ლოთობას და ქალთ დევნას დაიშლიდე;
 შინიღვანა კარში აღარ გახირდე.

მაშინ იქმნე მდიდართ თანასწორია,
 როგორც სწორედ ოცი ათჯერ ორია.

ლირი

მაგ შაირში აზრი არ არის.

მასხარა

როგორც მუქთი ვეკილის სიტყვაში. რასა
 სწუხარ? ფასი ხომ არ გაგიღია? შენ ერთი ეს
 შითხარ, ნათლია ჩემო, არაფერიღამ განა არა
 გამოვა რა?



ლირი

როგორ არა; არაფრიდამ გამოვა არაფერი.
მასხარა (კენტს).

ერთი, თუ ძმა ხარ, მაგას უთხარი; რომ მაგას ეხლა სწორედ მაგოდენი შემოსაეალილა აქვს. მე ვეტყვოდი, მაგრამ მე მასხარა. ვარ, როდი დამიჯერებს.

ლირი

მწარედ მომდო ამ გესლიანმა მასხარამ.

მასხარა

მერე იცი გარჩევა გესლიანი და უგესლო მასხარისა?

ლირი

არა, შენ გელი, მასწავლე.

მასხარა

ის ბატონი, ენც გირჩია
ქანების სულ გაბოძება,
ჩემთან დადგეს, თუნდ შენ დადგე,
ეგ ორივე ერთი იქმნება.
მაშინ ორივე ის მასხარა
უგესლო და გესლიანი



მე ვაჩვენო: ერთი აგერ, (ლირზედ უჩვენებს).

მეორე კრელ ვაბიანი. (თავის თავზედ უჩვენებს).

ლირი

მასხარასაც მეძახი, შე ურცხვო?

მასხარა

მაგ სახელის გარდა, რაც დედის მუცლი-
დამ სახელი და ხარისხი დაგყვა სულ სხვას
გაუბოძე და მე რაღა დაგიძახო?

კენტი

ხელმწიფეო, ეს სულელი მთლად სულელი
არ ყოფილა.

მასხარა

შენც არ მომიკედე!... მე რომ მთლად სულელი
ყოფილიყავ, განა დიდი ვაცნი მაგას
შემარჩენდნენ? შენგან არ მიკვირს? თითონ
რაღა ეშველებოდათ, რომ მთელი სულელობა
მე დამეჩემა.. დიდკაცთა ცოლები და ქა-
ლები ხომ სულ გაიჭაჭებოდნენ, რომ სულელობას
მარტო მე არ დაეპატრონებოდნენ. აბა, ნათ-
ლი, ერთი კვერცხი მოშეცი და ორს გვირ-
გეინს მოგცემ.

ლირი

რა გვირგვინზედ უბედობ?

მასხარა

იმაზედ, ჩემო ბიძიავ, რომ როცა შენგან
 ბოძებულს კვერცხს ორად გაეყოფ და გულს
 გადაეყლაპავ, შენ იმ კვერცხის ნაქუჭები მა-
 ინც შეგრჩება და გვირგვინად მოიხმარებ,
 თორემ ამასწინად რომ შენი გვირგვინი შე-
 აზედ გაჰყავ და სულ ერთიანად შენს ქალებს
 გადააყლაპე, შენ რა გარგუნეს? ვაი, შენ ჩე-
 მო თაო! მეფეს ვირი ზურგზედ აგკიდეს და
 ტალახში გაგაყვავინეს. მაგ მოტელეპილს კე-
 ფაში ტვინი არ გქონდა, რომ ოქროს გვირ-
 გვინი გადიგდე? (*) მე მართალია მასხარა
 ვარ, მაგრამ ეინც ამ ჩემს თქმულს მართლა-
 და მასხარობაში ჩამომართმევს, აბა მათრახი

(*) ანგლიურად აქ ზეჲა ხმარებული: კროუნ (crown)
 ფულიც არის შეიდ-აბაზ უზანთუნიანი, გვირგვინიც და
 კეფადაც არის ხმარებული. მასხარა ამბობს: ერთი კვერ-
 ცხი მომეცი და ორს კროუნს მოგცემო.



ქართული
ლიბრთეკა

იმას უნდა აი! (მღერის)

წელს მასხარებს ღილახანა წაუხდათ,

მასხარობას ბრძნები გვეცილებიან,

ჰკევა რომ ძნელი მოსაფლელი გაუხდათ,

ჰამუღლად და მაიმუნად ხდებიან.

ღირი

[შენ როდის აქეთია შეეჩვიე სიმღერასა?

მასხარა

მას აქეთ, რაც შენი ქალები ბატონებად
გაიხადე, სკიპტრა და გვირგვინი ჩააბარე და
შენი მეუღლე დასთმე. (მღერის)

მაშინ იმათ ატირებდა

უცარი სიხარული

და მე კი ამამღერებდა

მწუხარება დაფარული,

რომ უწინ ბრძენს ჩვენსა მეფეს

ჰკევა-გონება აერია,

თვალ-ხუჭანის თამაშს მოჰყვა

მასხარებში გაერია.

ნათლი! შენს მასხარას ერთი ოსტატი და-
უჭირე, რომ ტყვილი ასწავლოს. მე დიდის

ხალისით ვისწავლიდი ყოველ-გვარს სიცრუ-
ესა.



ლირი

თუ ტყუილს მოჰყვები, მათრახიც მოგხვ-
დება.


მასხარა

მე ვიკვირს ერთის სისხლისა და ხორცისა
როგორა ხართ შენა და შენი ქალები. ისინი
მართლის თქმისათვისა მცემენ და შენ კიტყუ-
ილისათვის; ზოგჯერ ჩუმად ყოფნისათვისაც
კი მომხვდება ხოლმე. რო იტყვიან: „გავექცე-
ვი ქარიანი მქვიან, დავდგები ლაჯიანიო,“ აი
ეს არის აი! მასხარად ყოფნა სწორედ რომ
საძაგლობაა, მაგრამ მაინც შენს ყოფაზედ არ
გაეცვლი. შენს ჭკეპას გვერდები იმოდენად ჩა-
მოათაღე ორივე მხრით, რომ შუაში აღარა
დაინარჩუნერა. აგერ, გაიხედე, შენგან ჩამო-
ნათალი ნაფოტიც მოდის.

შემრდის გონერილა.

ლირი

ოჰ, სულო ჩემო, რატომ აგრე წარბი შე-

გიკრავს? ამ უკანასკნელ დროს მგონი შენ
 როგორღაც აე გუნებაზედა ხარ.  საქართველოს
 მწერთა კავშირი
 მასხარა

ეჭე, დაგადგა სუსხი თუ არა?... დრო იყო,
 ჩემო ძამიაე, როცა შენ ყურსაც არ იბერტ-
 ყაედი, აე-გუნებად ბძანდება ეს ქალბატონი;
 თუ კარგ გუნებადა. მაშინ შენ კაცად კაცი იყავ
 და ეხლა კი არც გუდაფშუტა ხარ. ეხლა შენ
 მეც კი გჯობიეარ, მე მასხარა მაინცა ვარ და
 შენ ეგეც არა ხარ.—ეხლა კი დროა ხმა გა-
 ვიკმინდო. (გონჭილას). თუმცა შენ არაფერს
 მეუბნები, მაგრამ სახეზედ კი გატყობ, რომ
 ჩემი დაჩუმება ძალიან გუდაიფ გინდა. დაე-
 ჩუმდები, ბატონო, დაეჩუმდები; აი მმ...მმ...
 ენც სხვას მისცა თვისი საზრდა, ქონება
 თვალში ხშირად უველახ გაეჭირება!

(უჩვენებს ლირზედ)

აი, ბატონებო, თუ გინდათ ცარიელი ცერ-
 ცვის ჩენჩო ეს არის აი,

მეორედა

არამცთუ ესე თავ გახული სულელი ღლაპი,

არამედ თქვენი გარყვნილი და ურცხვი ამალაც,
 თავსა ცილობენ, კიშობენ და კირვეულობენ,
 აურზაურად უოველს ჩვენგანს ეკიდებიან.

მათს ურცხვად ქცევას, შფოთს და ჩხუბსა ჩვენ ვეღარ
 ვუძლებთ.

მე ვგონებდი, რომ როცა ამას თქვენ შეიტყობდით,
 გაუწყრებოდით და მოსპობდით ამით უოველსა,
 მაგრამ თქვენ თვითონ თქვენის სიტყვით და თქვენის
 ქცევით

ცხადად გვაჩვენებთ, რომ ხელს ჰფარავთ მათს საძაგლობას
 და მით აქეზებთ თავალებულთ თქვენთა მხლებელთა.

თუ უოფაქცევა ესე მათი კვლავ განგრძობდება
 და რისხვა თქვენი ძირიანად მას არ აღმოკვეთს,
 მაშინ ჩვენ ვიხმართ ჩვენსა ღონეს აწ დაძინებულს.

ეს სათაკილო ქცევა მათი თქვენც შეურაცხ-გყოფთ
 ამ ჩვენს კეთილად განწყობილსა სახელმწიფოში
 და ამით უფრო საჭიროა მივიღოთ ზომა,

ისე სასტიკი, რომ შემდეგში ეგ აღარ იყოს.

მასხარა

ვერ გეჭაშნიკა განა ნათლია ჩემო?



ჩიტსა, გუგულის მზრდელსაო,

გუგული თავს მოკენეტსაო, ეროვნული

ბიბლიოთეკა

სანთელი რო გარედ გაიტანე, არ იცოდი,
რომ ბნელაში დავრჩებოდით.

ლირი

ნუ თუ შენ ჩემი შეილი ხარ?

ზონიკილა

კარგი, კმარა, ბატონო! სასურველია, რომ
კელაე იმ მაღალს მსჯელობაზედ დადგეთ, რომ
შელიც თქვენ ეგრე უხვად მონიჭებული გქონ-
დათ და თავი დაანებოთ იმისთანა უცნაურს
ქცევას, რომლისა გამო თქვენ ის აღარა ხართ,
რაც იყავით.

მასხარა

მიგიხვდა ვირი თუ არა: მუხას ეწლი არ
ასხიაო?—ყოჩალ, გოგრა! მაგისტრის მიყვარ-
ხარ აი!

ლირი

აქ შე აღარაეინა მცნობს?... არა, მე ლირი
არა ვარ! ლირი ასე დადის? ასე ლაპარაკობს?
რას აუბმია იმისათვის თვალები? გონება გაფ-

თხოზია, თუ ცნობა მიხდია? სძინავს, თუ ღვი-
დავს? არა, აქ სხვა რამ უნდა იყოს, ერთი მით-
ხარით, მე ვინა ვარ? ლირის აჩრდილი?! (*)
მე ვხედავ, რომ ყოველივე ჩემთან არის: ძლი-
ერება, ჭკევა, გონება, მაგრამ იმას კი ვერა
ვხედავ, რომ მე ქალის-შვილები ზეავს.

მასხარა

შენ ვერც იმას ხედავ, ძმობილო, რომ
იმათ მშობელი მამა ყურ მოჭრილ ყმათ გაი-
ხადეს.

ლირი

თქვენი სახელი, მშვენიერო მანდილოსანო?

გონიერილა

კმარა, ბატონო, თავსა ცილი თქვენი ამგვარი.
ჩამოჰგავს თქვენსა ახირებულს გარეწრობასა,
დროა, ბატონო, ჩემი სატყუა სწორედ ასწონოთ
და ვით თქვენს ხანსა შეპფეროდეს, ისე მოიქცეთ.
თქვენდა მხლებელად დაგიგდიათ ასი რაინდი,

(*) ზოგიერთს დაბეჭდილში სიტყვებს: „ლირი ს
აჩრდილი“ მასხარა ამბობს.



რომელთ ურცხვობამ, მეძაობამ, უწყესობამ
 პალატნი ჩვენნი შებილწა და გააბინძურა
 და გარყვნილობის ქარვასლადა გადაქცია.
 მათის მრუშობით, სალაზნობით სასახლე ჩვენი
 უფრო ემზგავსის ყავახანას და ხაროსკიპოს,
 ვიდრე კეთილად განწყობილსა სამეფო პალატს.
 რომ თვით არ შერცხვეთ მათ სასტიკად მოპყრობა უნდა.
 თუმცა უთქვენოდ მეც შემედლო, მაგრამ მაინც გთხოვთ,
 რომ ცოტაოდნად შეამციროთ ამაღა თქვენი
 და იახლოთ თქვენ იმათგანნი მარტო ისეთნი,
 რომელნიც თქვენთან წლოვანებით სწორნი არიან
 და რომელთაც ძალუძსთ თქვენი ცნობაც და თვის თა-
 ვისაც.

ლირი

ჰოი, წყევლიადო ჯოჯოხეთო და ტარტაროზნო!...
 ჩქარა ცხენები!... მიხმეთ აქა მხლებელნი ჩემნი!...
 ჩემის აქ ყოფნით არ შეგზარავე, შენ აეო სულო!
 მე მოგშორდები! ერთი ქალი კვლავ დამჩენია.

გონიერილა

თქვენ ჩემთა მხლებელთ მილახავთ მე და თქვენი
 ხროვა



უკეთესო ჩემთა მსახურთ თვისდა მონად იხდიან.

(შემოდის ალბანი.)

ლირი

ვაი მას ვინცა გვიან შევა სანანურშია! (ალბანს).
 ოჰ, თქვენც მობძანდით!... თანა უგრძობთ ამ თქვენს
 მეუღლეს?

მითხარით რაღა! — მომიშადეთ ხწრაუად ცხენები! —
 უმადურებაგ, შენ გულქვაო შავო სატანავ!
 როს შეილის გულში ჩაისახვი, შენ შეიქმნები
 გველეშაპისა სახეზედაც უფრო საზიზღარ!

ალბანი

რამ აღგაშფოთა, ხელმწიფეო, გათხოვთ, რომ მიბძანოთ.

ლირი (გონეროლას.)

სტუუი, მიჰქარავ, სულ დაბალო, სისხლ მსმელო ხეაგო!
 მე მახლავან სულ. დარჩულნი დარბაისელნი;
 მათ კარგად ესმით თვის ვალი და პატიოსნება,
 არ შეირცხვენენ კეთილშობილს სახელსა თვისსა.

მცირედი იგი შეცოდება კორდელიასი
 ვით მერვენა მე ესდენ დიდად, ესდენ საზაროდ,
 ვით დაარღვია მან სიცოცხლის ჩემისა წუობა,
 ვით ამოაფთხო თვის ბუდიდამ მიდრეკილება



ქართული
წერა-ბეჭდვის
კავშირები


მამაშვილური ბუნებრივი მეზი მისდამი.
 ვით ამოსწოვა სიყვარული ჩემის გულიდან
 და მის მაგიერ ჩამაწვეთა ზაფრა-ნადეველა. (თავში ხელს
 გაირტყამს).

ვაი ლირ! ლირ! ლირ! ურაკუნე ეხლა იმ კარსა,
 რომლიდამაც შენ გამოდევნე გონება შენი
 და უტკუობა შიგ შეუშვი!—წაყიდეო ჩემო!

ალბანი

მე უბრალო ვარ და არ ვუწყვი რამ გაწყინათ თქვენ
 ლირი

ეგ შესაძლოა!—მაშ მისმინე, პოი ბუნებაე,
 შენ კეთილ მყოფო ჩემო ღმერთაე, გამიგონე მე!
 თუ ამ აფთარსა განუჩინე შენ შეილოსნობა,
 გააუძმე ეგ განაჩენი და უარ-ჰყავი.
 გაუწყალე და გაუცოფე მუცელში თესლი,
 დასწვი, დასდაგე, დაუხრაკე საშოთა ძარღენი,
 რომ თავის დღეში ბიწიერის მის სნეულისგან
 არ იშვას ბავშვი მის ნუგეშად, სასიხარულოდ!
 მხოლოდ თუ მისთვის შეილის ეოლა ბედს განუგია,
 მიეცეს შეილი ბაღლამით და შხამით შეთბზნილი,
 დაუშაშროს მან თავის დედას გულმკერდი სახე,

ატაროს ისე, რომ ცხარე ცრემლთ მწვევმა დენამა
 წაუთხაროს და ჩაულრუტნოს სერ-სერად დაწვნი!  **წიგნის ბინა**
 მშობლიურს მისსა უოველს აღერსს, უოველს ამაგსა
 ის თაკილობდეს, ზიზლობდეს და შეურაცხ-უოფდეს!
 დეე, სცნოს მაგან შვილებისა უმაღურება,
 რაოდენათაც გველის კბილზედ უფრო ბასრია!
 შორს, შორს აქედგან! ფეხი ჩენი აქ აღარ იყოს!

(გადის)

ალგანი

ჰოი, მაღალნო, ღმერთნო ჩემნო, რას ნიშნავს ესაჲ
გონიერილა
 რაზედა სწუხხარ? თავს რად იტყენ ტუუილ-უბრალოდ?
 თავი ანებე, იშმაგოს მან ვიდრე მოსწყინდეს.

(ღირი დაბრუნდება)

ღირი

როგორ! შუაზედ გაუყვიათ ჩემთ მხლებელთ რიცხვი!
 ორმოცდაათს კაცს მაკლებენ მე ამ ორ კვირაში!

ალგანი

რა ამბავია გთხოვთ მიბძანოთ, ჩემო ბატონო.

ღირი

(რაც ამბავია ვეტყუე მე შენ.—სიკვდილ-სიცოცხლეც!—



ოჲ, შე არწივო! მრცხენის, მცხვენის, რომ შენ შესძელი
 ძალ-გულის ჩემის ესდენ რევეა, დაძაბუნებ, დაძაბუნებ,
 რომ თვალთა ჩემთა წამოღვარნეს შენს წინა ცრემლნი,
 თითქოს ღირს იყო, შე უღირსო, ჩემის ცრემლისა.
 შეგმუსროს მებმა, შეგსვას, შეგნთქას ნისლმა, ბურუსმა.
 მამისა წყევლამ დაგშალოს შენ და ყველა ძარღენი
 უკურნალისა იარითა დაგიწყლოულოს შენ!

თქვენ ჩემნო თვალნო უძლოურნო და მიბერებულნო!
 ნულრა სტირით, თვარემ ხელით ჩემით აღმოგთხრით,
 გაგსრესთ და თქვენგან ნაწურის წყლით მიწას მოვალბობ.
 ესეა საქმე!... ესეც ვნახე!... მაშ ვგრე იყოს!...

მე ერთი შვილი კიდევა მყავს! ის კეთილია,
 მამებელი, მოთაფაზე, მოსიყვარულე.

მან რომ შეიტყოს უღმობელი ეს შენი ქცევა,
 მაგ ცოფით სასვსეს მგლურსა დინგსა ბრკალით და-
 ცინოკს.

მე დავიბრუნებ ისეც იმა ჩემს შეუფებას,
 რომელ გგონია საბოლოოდ ჩემგან თმობილი.
 მე შენ გაჩვენებ, დაგიმტკიცებ ამ ჩემს შეუქარას.

(გადიან ღირი, კენტი და ამაღა.)



გონიერი

აი, ხომ შენის თვალით ნახე, რასაცა მსჯელის

ალბანი

თუმცა შენდამი, გონიერიავე, დიდს სიყვარულს ვგრძნობ,
მაგრამ არ ძალმიძს ამ საქმეში მე შენ მოგვერძო.

გონიერი

გთხოვთ დაგვეხსნათ და დაგვატალოთ. — ეი ოხვალდო!
(მასხარას).

შე მასხარავე და ვირ-ეშმაკო, გაჰყევ შენს ბატონს.

მასხარა

ბიძია, აი, ბიძია ლირო! შენს მასხარასაც აღარ
უცდი? რაო, თან აღარ მიგყევარ?

ვინც ცბიერსა მელასა

შვილს ამის მზგავსს ყველასა

ერთად შეპკრავს, შებოკავს

და გაუგლის კარგად თავს,

ჩემს ჩაჩს დავებურავე თავზედ,

მე კი წავალ ჩემს გზაზედ.

(გადის)

გონიერი

ახი რაინდი!... ლაშქარია, ხუმრობა არი!...



მას თვისი საქმე ურიგოდ არ დაუქვრიო,
 კარგს არ ვიზამდით ასის კაცის ნება მიგვეცა,
 რომ როცა თავში ფიქრი რამე მოუვიდოდა,
 ან შეგვამსენდა ვინმე ბეზლით, ცილის წაშებით,
 ან უღრში რასმეს ჩვენზედ აგსა წახურჩულეზდა,
 ან თვით მოსვლოდა უმიზეზო ეინი და ბრაზი,
 ეჭირვეულნა და მუქარით თავი წაეღო.
 ასის კაცისა იარალით გაზეიადებულს
 სიცოცხლე ჩენი სრულად ხელში ეჭირებოდა
 ოსვალდ არ გესმის?

ალგანი

მეტის მეტი შიშია ეგე.

გონიერილა

მეტს დანდობაზედ ფრთხილი შიში უმჯობესია.
 ჯერ უნდა კაცმა განსაცდელი უკუ-ირიდოს
 და მერე მხოლოდ განუტეოს გულიდგან შიში.
 რა ზნისაც არის კარგად ვიცნობ მე მამაჩემსა,
 რაც ჩაიდინა უველაფერი ჩემს დას მიეწერე.
 და ვაცნობე მე უველა იგი, რაც თავს არ მოდის.
 იმასაც ვნახავთ მას ჩემი და ვით მოექცევა,

ვით შეუწახავს ასსა რაინდს?—ოსვალდ, არ გეხმის?
 (შემოდის ოსვალდი)

წიგნი მზად არის ჩემს დასთანა?

ოსვალდი

ღიალ, ბატონო.

გონიერილა

იახელ ვინმე თან და ეხლავ გზას შეუღეძი:
 უამბე ჩემს დას ყველა იგი, რის შიშიცა მაქვს
 და შენცა შენი რამ საბუთები ზედ დაუმატე.
 მარჯვედ იარე, რომ მარჯვედვე უკან დაბრუნდე.
 (ოსვალდი გადის.)

დამიჯერე მე, ჩემო ქმარო, ეგრე არ ვარგა:
 თუმცა ეგ შენი ლმობიერი გულკეთილობა
 და უბოროტო საქციელი არ დაიძრახვის,
 მაგრა მაინც კი, მომიტყვე, მე უნდა ვითხრა,
 რომ შენ გაკლია ცოტაოდნად შორს მხედველობა.
 მაგ ნაკლისათვის შენ უფრორე საკიცხავი ხარ,
 ვიდრე საქები შენის მაგნე გულჩვილობისათვის.

ალგანი

რამოდენად შენ შორსა ხედავ, მე ეგ არ ვიცი,

ეს კია: ხშირად ბევრის ნდომით ცოტასაც ეკარგათ.
 მოწერალა



მამ შენის სიტყვით

ალბანი

კარგი, კმარა, ბოლოსაც ვნაბათ.

ს ა ნ ა ხ ა ე ი V

ალბანის სასახლის ეზო.

შეჰოჯიან ლირი, კენტი და მასხარა.

ლირი

შენ წინ წადი და ეს წერილები გლოსტერს ჩააბარე. ნურაფერს ნუ გაუხსენებ ჩემს ქალს, რაც იცი. თუ წერილის წაკითხვის შემდეგ შენ გკითხოს რამე, მხოლოდ მაშინ კი მიეცი პასუხი. ძალიან აუჩქარე, თვარემ მე წინ მიგისწრობ.

კენტი

ვიღრე ამ წერილებს არ ჩავაბარებ, თვალსაც არ მოვხუჭავ, ხელმწიფეო ჩემო!

მასხარა

კაცის ტვიანი რომ ფეხის ქუსლებში იყოს,

ნეტა ვიკოდე არ გაილახებოდა?

ლირი



ქართული
ლიბრერი

მა რა მოუვიდოდა, ჩემო კარგო?

მასხარა

მაშ მომილოცეს, შენი ტვინი გაცვეთილს
ქლაბანში აღარ მოექცევა.

ლირი

ჰა, ჰა, ჰა,

მასხარა

შენ ეგრე იცინე და მე ეს უღვაში მომ-
პარსე, თუ შენი მეორე ქალი პირველსავეით
კარგად არ მოგექცეს. თუმცა ის ამას ისე
ჰგაეს, როგორც მაქალო ვაშლსა, მაგრამ მა-
ინც სათქმელი უნდა ითქვას.

ლირი

რა სათქმელი უნდა ითქვას, შე გაქნილო?

მასხარა

ისა, რომ ორივე ერთნაირი მაქალოები
არიან...ერთი ეს მითხარ ბიძია, ცხვირი შუა
პირის სახეზედ რად არის?

ლირი

არ ვიცი.

მასხარა

მად, რომ ერთი თვალი აქედ უჯდეს და
მეორე იქით: რასაც კაცი სუნით ვერ აიღებს,
ის თვალით დაინახოს.

ლირი

მე დავჩაგრე იგი და შეურაცხ-ვეყავ...

მასხარა

არ იცი სიდაფი სადაფს როგორ აკეთებს?

ლირი

არ ვიცი.

მასხარა

არც მე ვიცი. ეს კი ვიცი ლოკოკინა რის
თვის იკეთებს ღვრიანჭელოსა.

ლირი

რისთვის?

მასხარა

მისთვის, რომ თავი შიგ შეაფაროს და არაიმის-
თვის, რომ იმისათვის რომ ის თავის ქალებს მიუ-
ბოძოსდა თითონ კი თავ შეუფარებელი დარჩეს.



ლირი

ბუნებას ჩემსას მე თვითონ ვგმობ და დავიბ
ვიწყებ!... მერე ვინა!... ასეთი კეთილი მამა...
მზად არ არიან ცხენები!

მასხარა

შენი ვირები წავიდნენ ცხენების მოსაყვანად.— ერთ იეს მითხარ, ცაზედ როცა შეიდი ვარსკვლავია, შეიდი რად არის?

ლირი

იმიტომ, რომ რვა არ არის.

მასხარა

ეგ კარგი მოგივიდა, შენ კარგ მასხარად გამოდგებოდი.

ლირი

ძალით უნდა უკან დაბრუნება, ძალით!...
ჰოი, შე საზარო უმადურებავე!...

მასხარა

ბიძია, იცი, რას გეტყვი? შენ რომ ჩემი მასხარა ყოფილიყავ, ერთ ლაზათიანად მიგტყებდი, რომ ეგრე უდრო უდროდ დაჰბერდი.

ლირი

როგორ თუ უდრო უდროდ?

მასხარა

ისე, რომ ჯერ ჭკუა უნდა გეჩვენება და
მერე დაბერებულიყავ.

ლირი

მადლო ზეცისავე, მომეც, მომეც მე მოთმინება,
ტფინს ნუ შემირყევ, დამიფარე ტყვიდამ შეშლისგან!
ტყვისა დაკარგვა მაძრწუნებს მე. (შემოდის ჩაინდი).
რაო? ცხენები

მზად არიან თუ?

ჩაინდი

მზად გაბლაყან, ჩემო ხელმწიფე.

ლირი

წამო, შეილო, წავიდეთ. (*)

(გადიან)

(*) ამის შემდეგ მასხარა ორ სტრიქონიანს შაირს ამბობს. ეგ შაირი ასეთი უაზროა, რომ სრულიად არ უხდება არც მასხარას და არც ტრაგედიის გარემოებასა. გამოჩენილი კრიტიკოსი 'შექსპირისა' (სტივენსი) ამბობს ამ შაირზედ, რომ სხვისაგან ჩამატებულიაო. ჩვენც სტივენს დავუჯერეთ და არა ვმსთარგმნეთ.



ძველებური მესტიურული ლექსები და მღერ
ბიური ანდაზემა

შეკრებილი რაფ. ერისთავისაგან.

I

ჩატი მანამ ცოცხალია, ნამუსხ მისდიოს მუდამა,
მოკვდების თანა ჩაჭყეების სუთიოდ აღლი სუდარა,
იმასაც უკან მოჭსეკენ, მეტი არ გაჭყეეს მუნდამა!..

—

სიკვდილი და სიღარიბე ორივე ერთათ მოდიოდა,
შაკსედე და შამეშინდა, სიკვდილს სიღარიბე სჯობდა!..
ამ უსამართლო სიკვდილსა ვერ შესვდა ჩემი გონება:
ვაჟკაცთა შიგ გამოაჩჩევს, რომელიც მოეწონება!..

—

სიკვდილ, სიცოცხლე ბრძოლილან, ეს წყრილნი, განა
სხვათ,
სიკვდილმა უთსრა სიცოცხლეს: «შენ სიცოცხლეკ,
ჩემო ემაო!
როცა მნებავს, ჩემი არის, შენი თავი სელთა მუაო:

თვისი ტომისულ გტაროდა, ღეღ'ც იმან ღეგონ
 სიტონხლეკ, ხიკვდილს შამეპი, რატომს სარ ჭეუ
 თსელა?

— თუთოთ ბეკრს მოჭედა, ხიკვდილო, თუ უფაღ
 თავი განება,
 რომელიც კეთილ სულია, ის უფაღს შამეპრალეპა
 ყოველი ქრისტიანობა, ღეთის ღოცვას დაქსარება!...

ბეკრი სტი დაიარე, ხიკვდილისგან არ გეფონა,
 აირში სული ამოგსადე, ჯერ ხიკვდილიც არ გეგონა,
 ჭირის-უფაღს რომ დაკსედე, მოსამძიძრეც მამეწონა,
 ტირილითაც სომ გიტირებს, მაგრამ არა შიგეტეორა,
 სული ზეტას გავისტუმრე, ღეში მიწამ დაამძორა...
 სულ-სოცრის გაურასმეტევიან, მე, მიქელ და გაბრიელი
 შენ არ იცი, შე სწყალო, სული ხად არს მისხხლეელი?
 ვაი თუ იქითყენ წავიდეს, სცა მოდის გუბრი ცხელი,
 შიგა ბეკრი სული არის, ასღანდელი, ძეკლის-ძეკელი!..

ღემურსანანთ სოხია, შიძიედ შირების მოქმედი...

წიგნო სიტუკა კარგათ გასჯის, მაგრამ მომსოხსე-
 გადევნე გულას ეური, ვინც რომ წამკითხველი
 ხარო...

 11

დორმათობით აშენდა ცისე, ქალაქი ქვასედა,
 ქვა შამოივლო გალაენათ, ცა დაისურა თაკსედა,
 სასასლე, სადარბაზუი ოქროს დგას ბომკესედაო ..
 ადამიანის შანსვა კერკინ კერ ილო თავსედა,
 ხარმა თქვა, ჰირნათლიერმა: მე დამაწყრეთ რქასედა...
 ჩამობრძანდა ჭრისტე დმერთი, აკოცა ორსავ თვალ-
 სედა,
 წევილი დანთო სასთელი, მიაკრა ორსავ რქასედა
 შვიდიც უბომა ხარტეკელი, გოგზავნა ქვეყანასედა:
 შეგებას შენმა ჰატრონმა, გამუშავებდეს ძალსედა...
 ექვსი დღე მოგცა საქმისათ, მეშვიდეს — იაღადსედა,
 კვირა-უქმეს ცამოციშეს, ცამოციშეს სამოვარსედა —
 ვინც კვირობით შეგაბან, სელამც შეასმის კლავსედა!..

— «შამაბმენ ჰირ-უბანელნი, სახრეს მალაქენ წელ-



ან კეძართლები, მეუფეკ, ავაგო რქისა წვერზედა?...
 ანუ იტყვი სახლ, ვერ იხამ, არ არას შენგან

ყანის ჰირს მოგადოებენ, სამკლთით გითიბვენ ბა
 დასხსა...»

— «თუ იმითაც ვერ დავრჩები, ჩემს მეუფეს მი-
 მადარონ, —

სარმა შესტირა ჭრი, მარგალიტისა ცრემლით

მიუწიან რკინის ტაბიკსა, მეგრისებთან უელზედა...»

შენ ხვანში გაწვალედიან, მე ზეტას შემდურებან...

მაშინ მოვკითხე იმითა, მოვლენ სამართლის კარ-
 ზედა,
 დავადებ რკინის უღელსა, გაგვზავნი ყოველსეთშია!..

ანასშირმაგ თქო მეტ ვიქები, მეცა ვარ საქებელია,

წმინდა რკინაც ჩემგნით მოდის, სახნისი, საკვე-

თელისა,
 დაუნგრეთ მიწას ძირი, ბაღსს უფავ ჭევეით წვე-

რია?...



ის რომ სარმა დაინახა, დაუარა ცხარე ცრემლია...
 ანუ სტირი სარო, ნუ სტირი, პალახს გავითიბ
 გელითა...
 შენი პალახი რას მარგებს, ხვალ შამაბამ უღელშიდა,
 ასეთსა ხასრეს გადმოძვრამ მაგ დაუბანელ სელითა,
 გინებხსაც არ მომაკლებ მაგ გაუთლელი ენითა!..

III

შასკევინი შიკა'სმა, წელთ შემაირტეავს სმალხაო,
 ჭლახში რომ ჩამოვიდა, გაშინჯამს სამართაფლო,
 ჯერ ხასამართლოს გაშინჯამს, მერმე კი ავღაბარხაო,
 თავის საომარ სოფლებსა გად'ავლებდა თვალხაო...

შასკევინი რომ საქმე ქნა, ის არ უქნია სხვასაო:
 შამოგვაწერა ურმები ქართლიდ. კასეთის თავსაო,
 ისეთიღ ურმები იყო. ქვა ვერ შაუშლის ფხასაო,
 მღაროს მაიტანევიო, — იქა მშინჯავი ჭყავსაო...
 მშინჯავი დაიწუნებდა;

კლახკები გაუმძღვარეთ, ამ რუსულ არაბასაო..
 შასკევინი დაიდევნებს ათის წლის გამოსვლასაო..

მეტათ ამ ბოხენ ძაღლსა, იმ ბანაკეთის შიშსა:
 აჭედგან შირში აღმართსა, იქიდგან — ~~რჩეულმართ-~~
 სსა...

ჩავიდენ კრეკანშია, გარსშემო აღაგებსაო.

სხვას ხომ არას უხკიან, ამ აეროდებულს წყაღ-
 ხაო..

— არ შაკარხენდე თათრებსა, ამ ესმიაწელ ვუარსაო;
 მოლა მქითის კარსედა, დაუწეებს ღორებს კვლასაო,
 ხაგმელად არ გამოუღევ, არც კი ვაკადრებ ცხვარსაო,
 დენჩიკის ხელით გაკვსავნი, თუ არა
 სჭამსაო!..

შახევეინი რსტატობით ქანქანებსა სთხრისაო.

ასი უემბარა შიავდო, გარს მოუკიდებს ტეტსლსაო,
 ხანუბიც მოეგებება, თითონ დაუკვრენ თავსაო...

— მახევეინო, შენ სუ დაგვწვამ, გაკვატან ტეტს-
 ლის აღსაო!..

გასაღებსა და კლიტესა თითოვე მოუტანსაო,

გააღებს ასი კლიტული, მიადგენ ასანსსსაო,

დაიჭირებს ასანსანი, მარდათ უკრავენ კლავსაო...

. . . . ასანსანი დღეში ის რქროს სჭამსაო,

ვერ შეეხვია რსები, ამ რუსულ კორკოტასა —
 ასე ასუქებს რუსებსა, როგორც შემსხვენი...
 სა...!

გაისტუმრეს სახსანი, თან ადევნებენ ვარსა...
 მშვიდობა და კარგათ ეოფნა, ეგრედ ერთობრივ
 სადსსა!... *

IV

ქართული მღაბიური ანდაზეები.

აგიაშვილის გამდელივით არ დაგემართოს.
 (იტყვიან დაგვიანებულზე. — აგიაშვილის მო-
 ხუცებელი გამდელი წირვაზე წასულა და ვე-
 ლარ მიუსწვრია; შინ წამოსულა, სადილისთვის
 ველარ მოუსწვრია).

*

ანაბარი მგელმა იცის.

აპრუწუწუნ მახარე, მე ველარას გახარებ.

აძუნძულდი, ღმერთს მოსძულდი.

*

აღია მოკვდა, ფლავი ნ... ჩააყარეს.

*

აქლემი ისე არ გახდება, რომ ცხენის ოდენი
მაინც არ დადგეს.

*

აე მოვალეს ნაცარი გამოა'თვი, — თვალში
ჩააყარე.

*

აეი მეზობლისაგან ცეცხლიც ნუ გინდა.

*

აზრუმში არა ეყოფილვარ, აზრით კი ვიცი.

*

არ გინდოდეს ქ'ო, მაგრა დაიეც პირიო.

*

აზამბურელი თათარი ჩემს ტომარას თავისს
ტონტორიკს ეძახდა.

*

ასეთმა ფურმა დამწიხლოსო, რომ ჩემზედ
მეტს იწველიესო.

*

ახალი ცოცხი კარგა ჰგვის, ძველი მოატანს
ქვიშასა,

ახალი ცოცხი გაცელება, ძველი მიუგებს ნი-
შანსა.

ნი-
შანსა
ნი-
შანსა

*

ბენიას უთხრეს, ფლავი გაატარესო, იმან უთხრა:

„მე რაო? — თქვენსას წაიღესო...“ უპასუხა:

„შენ რაო?..“

*

ბატონის კაცი თუ გალახო, კარგათ გალახე-

*

ბედაურის მოგებულს ეირი შესჭამს.

*

ბოდბელმა *) სთქვა: „მე თუ აღარ ეიქნები,

ქვა ქვაზედაც ნულარ იქნებაო...“

*

ბრმას ცოლი მოუკედა.. „ჯერ ნუ ეტყვითო,

— „როცა გვერდით აღარ დაუწეება, მაშინ

ხომ გაიგებსო.“

*

გიქისათვის სულყოველთვის ქორწილია.

*

*) ბოდბელი — მღვდელთ მთავარი იყო, წმინდა ნინოს
მონასტერში იღვავ ბოდბეს.

გაუგონიათ ზარსა ჰრეკავენო და ის ვი არ
იციან, რომელს ეკლესიაშია შიშაღლირთაჲა

*

განა ბებერი ცხენი ქერს არა სჭამს.

*

გაწყვეტილს, გაწოდილი სჯობია.

*

გაჭირებამ დედოფალითან დამაწვინაო.

*

განელო დღემ და ფათერაკმა არა.

დიდს სიყვარულს, დიდი სიმძულვარე მოს
დედსო.

*

დღევანდელი კვერცხი სჯობს ხვალინდელს
ქათმს.

*

დედა მიყვარს, მამა მიყვარს, ძმა ყველაყას
მირჩვენ ა, ერთი უცხო, სხვათა შვილი, სულ
ყველაყას მირჩენია!...

(პატარძალს უთქომს ასე.)

ერთი ყვავილი გაზაფხულს არ მოიყვანს.

*



ვირისაგან წიხლი რა საწყენია?

*

ვადმე ძმარ თარხანო, რა ჰკუაზე თხლათ
ხარო.

*

ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგისა კაკალიც არა.

*

ზოგს ხუცესი უყვარს, ზოგს ხუცის ცოლი.

*

თათარი იტყვის: „მანამ გურჯი ძვალს არ გა-
მოხრავს, გაზაფხული არ მოვაო.“

*

თუ თათარი წყლით ცხონდება, ბაყაყს რაღა
დააბრკოლებს?

*

თხის პატრონს, არც თხის კუდი.

*

თუ დო ჰამე, დოს ქილა რა უყავ?

*

თუ რომ კაცს მტერი არა ჰყავს, მოყვარე
გაუმტერდება.

*

თითის ტკივილს გული ჰგრძნობს, გულის
 წე ტკივილს—არა ვინა.



*

თებერვალი და მარტი რომ წინ გედოს, ზამ-
 თარს ნურც აქებ და ნურც აძაგებ.

*

იქაც მოეცდი ყოფასაო, აქაც ყოფილებასაო#

*

იმერელმა ნემსი აიფარა, დამათბობსო.

*

ისე არა წვიმს, როგორცა ქუხს.

*

კაცს გაცრილს ფქვილს ნუ აჩვენებო და
 გაწეწილს მატყლსა, ბევრი ეგონებო.

*

კაცმა კაცს ვენახი აჩუქა და იმან ყურძენიც
 აღარ აქაშა.

*

კაცის თვალს ევრა გააძლობს რა, შავი მიწის
 მეტი.

*

კარგს დამალამენ, აეს მალე იტყვიან.

*

კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა სა-
კვირველია.

*



მძღვარი მ'შიერს წვრილათ უფხენიდა, თან
დასძახოდა: „ბევრს ნუ სჭამო!..“

*

მუნჯის ენა დედამ იცის.

*

მაჩაბელმა დააშავა, ურიას წვერები დაკრეს.

*

მუზმუზელას ნ . . . (გულშიაო), ცხრა მაშ-
ხალა ანთიაო.

*

მტერთან ხშირათ მიდი, მოყვარესთან გვიან.

*

ნ მოკერით შეილი არ იშობება.

*

ნიორი თუ არ გიჭამია, პირი რათ გეწვის?

*

ოარმოს სუნი — ბადიმს ეცა.

*

ოქროს სამოსლიანს მოწყალება მიე და ნუ
დაინანებ.

*

პურსა პურით გაჭმევო, იმთენს რომ დამჭლ-
დოა.

*

თარგანული
ბიბლიოთეკა

პური და ღვინო ძველი სჯობს, ტანისამოსი
ახალი:

*

რძისგან შეშინებული წყალს უბერაედოა:

*

რა ახალი კიტრივით თავს იწონებ?

სხვათა გაკეთებულმა საქმემ-თვალს აამო, გულს
არა.

*

სოფლის ბოლოს რომ მიხეიდე, აშბავი ყმა-
წვილსა ჰკითხე, უფრო მართლა გეტყვის.

*

სიკედილო, ბაგა, ბაგაო.

*

ტერტერ ცოლსა გრთვენო და «ჰიმი პიტია»
(დროც ეს არიო).

*

უნახავმა ნახო, ცხრა მთა გადალაბოა.

*

უშვილო და პურა ძვირი.

*

უქონლობამ სტაფრა-დიბა მაცვეთა



ქართული
ზიზღირთქა

*
ქათამი კვერცხს კაკანით დასდებს

*
ქრისტე ღმერთი რომ ჩემკენ იყო, ანზელო-
ზებს რას შეეპოვები.

*
ქრისტე ღმერთი რომ გუთნის დედათა გყვან-
დეს, გუთანს არ გაუჭირდება.

*
ქაშის შეშინებული დოს უბერამდა

*
ღმერთი რატო არ გაიცინებს.

*
ღმერთსაც კარგი უნდა

*
ყინულზე დაწერე

*
ყვავს კაკალი გააგდებინე, ისიც კარგია.

*
ყვავს შეილი მოუკვდა და ბუს მიუგდო; •დი-
დი თაეი გაქვს, იტირეო.“

ყვავს რა აქვს, ყორანს რა მისცეს?

*

შვიდ-ჯერ გაზომე, ერთხელ გახიე

*

შენი მეზობელი, შენი სარკვა

*

შენი მეზობელი, შენი მიტერაიჩანაა

*

შენს იქით რომ სხვას ტყვია მოჰხედეს, ვი-
თომც კუნძს მოჰხედრია.

*

შენ სხვას ეჩხუბებოდე, მტერი გაშველებდეთ,
რა კარგი გამოვა?

*

ჩემი მოტყედილი ბატის ამბავი, მე უფრო არ
ვიცა?

*

ჩემმა გაკეთებულმა საქმემ წელი მატკინა,
სხვათა გაკეთებულმა — გული

*

ცხრა ძმათ ერთი თბილის გული გაიყვეს

*

ცდა — ბედის მონახევრეა.

*

ცუდა კაცი ფეხებში მახათს იყრიდა.

*

ძალსაც ნამუსი უნდა ჰქონდეს

*



ძალუა ცა ენახე, კეციტ გავხედნე

*

ძაღლის კუდს რა გაასწორებს?

*

წავიდა დღე და ფათერაკი—არა

*

წყალში თევზი ვის დაუფასებია?

*

წყალში თევზი ვის დაუთვლია?

*

წინ მარტი უჩანს, უკან აპრილი

(დაკონკვილ ტანისამოსიანზედ იტყვიან)

*

ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან
ზნეს

*

როცა იქუხებს; ჭინჭრაქა გულ-აღმა დაწე-
ბა: „თუ ცა ჩამოიქცა, მე ფეხით დავიჭერო.“

*

რაო?—ჯიბეს ვეელიო? (ქურდი, თვითონვე
იძახდა.)

*

სიბერემდის სწავლა კაცს არ მოსჭარბდება.

*

ჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკედილი სა-
ხელოვანი.

*



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულ არაჩაობასა ცხრა უღელი
ბიაო.



*

ხელი ხელსა ჰბანს, ორივე—პირსა

*

ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა, ისიც
იქ მიუმატეს

*

ჯერ არ დაბადებულყო, აბრამს არქმევდნენ

ზოგიერთნი ამ ანდაზებთაგანი, როგორც
ერთ აზროვანნი, არიან ჩუბინოვის ხრისტო-
მატრამიაც, მაგრამ, რადგან ესენი განესხვა-
ვებიან მათ გამოხატულებით, ამისათვის შემო-
ვიყვანე იგინი აქა, მით უმეტეს, რომ ამნაი-
რათ მსგავსნი აზრითა, ძრიელ ცოტანი არიან
და არ მოაძულებენ თავსა. ენის მოყვარეთა
ქართველთა.

თ. რაფიელ ერისთავი.

26 აგვისტო 1873 წელსა.



ქართული
ნიგლიოთეკა

იოსანი გუსნი.

მუდამ მიყრუებული კონსტანცის ქალაქი უცბათ გაცოცხლდა, გაიმსო დიდებულებით ყოველ ევროპის კუთხიდან; აღიძრა სიცოცხლე და მიიქცია ქვეყნის ყურადღება 1414 (ათას ოთხას თოთხმეტსა) წელსა. ამ პატარა გერმანიის ქალაქში ამდროს იბადებოდა ისეთი დიდი და ღრმა აზროვანი საქმე, რომელიც სიზმარშიაც არ მოჩვენებია აქ შეყრილ დიდებულებას.

ამ დროს აქ შეყრილა ორი მოსისხლე მტერი, ორი პრინციპი, რომელთა შორის ეხლაც სდულს გამწარებული ბრძოლა.

ერთის მხრით იყო მრთელი ქვეყნიერა ძალა: გერმანიის იმპერატორი, პაპა, ოთხი პატრიარხი, ოცდა ორი კარდინალი, ას ორმოცდა ათი ეპი-

სკოპსი, ათას რეაასი მღვდელი, ორას სამონა-
და თორმეტი დოქტორი; ურიცხვი კრებულთა-
ვადთა, კურფირსთთა, ბარონთა, მარკგრაფებ-
თა, ხალხისა და ათასიმორჩილი მონა გამხე-
ცებულ სალდათთა, — ეს მხარე იყო ავტორი-
ტეტის ანუ ბატონობის წარმომადგენელი.

მეორე მხრი აღდგა ღარიბი ვიფლევების
მღვდელი იოანე გუსი, ამდროს დატყვევებული,
რომელიც უნდა წარმომდგარი იყო ამ დიდე-
ბული კრების წინ; ის იყო ძმობის და ქრის-
ტეს მოძღვრების წარმომადგენელი.

რომის (დასავლეთის) ეკკლესიამ გამოჰფინა
მთელი თივის სიუხვე გაკვირვებულ ხალხის თვა-
ლის წინ. არს დროს ამდენი საკმეველი არ
კმეულა, არას ოდეს უმეტესის სასოების ზმით
არ შეწირულა გალობა, „Yeni sancte spiritus.“

ჯვარი სუფევდა ყოველგან, ის ჯვარი, რო-
მელიც იყო მუდამ სიმბოლო (ნიშანი) ქრის-
ტეს ცხოვრების, ტანჯვის და მოძღვრების.
აქ ცოტა შევიცადოთ და გადავხედოთ იმ ის-

ტორიის ღელვას, რომელიც ამდროს შევუბუ-
ლა და აპირებს ქვეყნის დარღვევას.

აუცილებელი ისტორიული კანონების ძალით
რომელიმე დროში იბადებიან მრავალ გეარო
პრინციპები, ან უ მოძღვრებები, რომელთა აქვსთ
უზომი მნიშვნელობა ცხოვრებაში, რომ-
ელიც არიან გამოწვეულნი ქმისთვის, რომ
განსწმინდონ კაცობრიობის და ხალხის ცხოვ-
რება საუკუნებით შეზდილი ხორცმეტეზას და
აბედებისაგან, რომელნიც ამძალებენ მის ცხოვ-
რებას,

ამის გამო ამ ახალმა მოძღვრებამ, ანუ უკეთ
ვსთქვათ, ახალმა ცხოვრების წყობილებამ უნ-
და მოსპოს, დაამხო და აღმოხოცოს ის, რაც
მანე და ურგებია ხალხის ცხოვრებისთვის.

ცხადი საქმეა, რომ ამ მოსისხლე მტრებს
შუა (ძველ და ახალ წესებთა შორის) გაიმარ-
თება სასტიკი ბძრძოლა, სადაც ერთი მათგანი
უნდა დამარცხდეს, მოკვდეს და განქრეს ცხოვ-
რებიდამ. ამ ბრძოლაში გვიან თუ ადრე იმარ-
ჯვებს და იღვამს ფეხს ის აზრი, ანუ პრი-



ნციპი, რომელსაც უფრო სინათლე და სვე-
მარიტება შემოაქვს ცხოვრებაში, ^{შეგრძნობის}
რომელსაც უფრო მაცხოვრებელი ელემენტები
აქვს თავის არსებაში, ხოლო ძველი დაფუტუ-
რებული ჩვეულება დამბობის შემდეგ ჰქრება
ცხოვრებიდამ, როგორც ყოველ-გეარო ხან-
დალეული არსება.

როგორც იყო ნათქვამი, ასეთი ახალი მოძღ-
ვრება არის გამოწვეული თვით ცხოვრებია-
საგან ე. ი. მაში არის გამოხატული ცხოვრე-
ბის მოთხოვნილება, მისი საჭიროება და მისი
ტკივილი, როგორც სახალხო სიმღერაში გა-
მოხატულია ხალხის გრძნობა, მისი გულის
ლტოლვილება და აზრი. მაგრამ ისეთი ლექსის
გამომთქმელი არის ერთი პირი ხალხისაგანვე
გამოსულნი, რომელსაც შეუკრებია ერთ სრულ
ქმნილებაში მრთელი ხალხის გრძნობა, მისი
სულის კენესა, და სულ ყველაფერი, რასაც ხალ-
ხის გული აძლევდა ხმას და ყურს, — ერთის სი-
ტყვიით, რაც კი ღრმად უგრძნია ხალხს თავის
სიცოცხლეში.

ასეთავე მნიშვნელობა აქვს ამ ახალ წესების შემოღებაში, ანუ რეფორმატორებს, რომელნიც ახორციელებენ ამ ხალხის ცხოვრებას მოთხოვნილებას ანუ იღვას და აძლევენ მას შესაბამ სახეს, რომ ყოველს კაცს მისი დანახვა და გაგება შეეძლოს ადვილად. ამ უკანასკნელ პირებს უწოდებენ ისტორიაში რეფორმატორებს და პირველს კი სახალხო პოეტებს.

ასეთს მოძღვრებას განხორციელებისა თანავე უჩნდებიან ადებტები, მოწაფეები, ემხრებიან თან და თან დიდი ხნის განმავლობაში ისინი, ვისაც ეს მოძღვრება უქადის ბნელ ცხოვრებიდან გამოსვლას, სინათლეს და შეებას.

ამასთანავე ჩნდებიან მტრებიც, ისინი, ვისაც მთელი ქვეყნის და კაცობრიობის სიკეთისათვის ეს ახალი მოძღვრება უპირებს და მხოვას ე. ი. ძველი წესები და მათი წარმომადგენელი. უჩნდებიან მოწინააღმდეგეები, უმართვენ სასტოკ ბრძოლას, ბრძოლა თავდება და გამარჯვებული ე. ი. ახალი მოძღვრება

შედის ცხოვრებაში, იდგამს თებს და ვრცელდება საქვეყნოდ.



გადის დრო, ძველი ჩვეულება და წესი ჰკრებიან; ხალხი ეჩვევა ახალს წესის წყობილებას; აეიწყდება წარსული ვაი-ვაგლახი, — სისხლის და ცრემლის ღვრა; ცხოვრება ჯდება თავის კალაპოტში და მიდის იმედოვანი ნაჩვევი გზით.

მაგრამ ხალხის იმედი არ სრულდება; გამათბობელი სხივები ახალ მოძღვრებას თანდათან აკლდებიან. მატულობს სიცივე და სიბნელე ცხოვრებაში; ბოლოს ამ სისხლით და ცრემლით დაარსებულს ჭეშმარიტებას ეფარება რაღაც ბნელი ფარდა, რომელიც სრულიადაც ფარავს მას ხალხის თვალიდამ.

როგორ ანუ საიღამ ჩამოეთარა ეს ფარდა ამ ნათელ ჭეშმარიტებას? აი კითხვა, რომელიც ჩვენ მოგვდის თავში ამ დროს.

ახალს მოძღვრებას დაწესებისათანავე ყავს თავისი მოსამსახურე, ანუ წარმომადგენელი რომელიც მუდამ მისი ხსნის და ცხოვრებაში

გაერცელების საქმეში არიან, რასაკვირველია, წინაპირველ ხალხიც ღებულობს ამ საქმეში მონაწილეობას.

მაგრამ ხალხი, მუდამ შეცუული თავის დარღვებით, ჯაფით, და უმეცრებით შორდება ამ მონაწილეობას და დროს განმავლობაში უფლება და ზრუნვა ამ საქმეზე რჩება მხოლოდ ერთს წოდებას, რომლისთვის ეს საქმე შეიქნება ცხოვრების წყაროთ. ამ რიგათ ხალხში ჩნდება ახალი წოდება, სულ განსაზღვრული საქმით და უფლებით, რომელიც ცხოვრებს ხალხის ხარჯით; ცხადი საქმეა, რომ ასეთი წოდებისათვის სასარგებლოა, რომ ხალხი არ ერეოდეს მის საქმეში და არ თხოვდეს მას ანგარიშს ე. ი. მუდამ იყოს სიბნელებში და უმეცრებაში, რომ უფრო მარჯვეთ გამოიყენოს ის თავის სასარგებლოდ, როგორც პირუტყვი.

ამ რიგად ეს ახალი წოდება ხდება ბატონად, შემოაქვს ცხოვრებაში უკანონობა; ჰყარავს სინათლეს და კეშმარტებას ხალხის

თვალიდამ, რადგანაც მათი გამოჩენა და ცხოვრებაში შეტანა (ამ ახალ წოდებას) მოუხსობდა სარჩო წყაროს იმ მუქთ მკამლებს, რომელნიც ამ სიბნელის დროს სარგებლობდნ.

ასეთი ხალხის და ქვეყნის დაბრწყეობის დროს იბადებიან რეფორმატორები, რომელნიც წინ უდგებიან ამ გვარ უკანონობას, უწესოებას და ჭეშმარიტების დამახინჯებას; გამოდიან ბრძოლის მინდორზე თაფიანთ მომხრეებით, მსწირავენ თაფიანთ სიცოცხლეს და ქონებას საქვეყნო საქმეს და მრავალ საუკუნეების შემდეგ მათი საქმე, მათი სიტყვა და სისხლი ათავისუფლებს კაცობრიობას სიბნელისა და მონებისაგან.

თუმცა ასეთი რეფორმატორები კედებიან ამ ბრძოლაში, მაგრამ მათთან არ იღუბება მათი მოძღვრება; რჩებიან მას მოწაფეები რომელნიც ავრცელებენ და შეაქვთ ცხოვრებაში თაფიანთი მოძღვრების სიტყვები. ეს სწავლა და სიტყვები, ჯერ მასხარობით და დაცინვით შეხთომილნი, თან და თან უხელს

ხალხს თვალსა და ყურს, — ანახევებს მას იმ ძველ წყობილების სიბნელეს, სიფუჭეს, მაცნობლობას და სიცრუეებს, რომელშიაც ხალხი მუდამ მტკიცედ დამყარებული იყო, თაყვანს სცემდა და სთვლიდა ურყევ ბოძად. ერევა ეჭვი ამ საგანზე საზოგადოებას. ამის შემდეგ თითონაც უყურებს კრიტიკულის თვალით მის ქცევას და სიტყვებს. აგრე მიღის საქმე რამოდენიმე მოდგმის განმავლობაში, — ბოლოს მთელი ხალხი პირველიდამ უკანასკნელამდი ნათლათ ხედავს ამ წესების სისუსტეს და უფარვისობას.

ამის შემდეგ ეს ძველი წესები და ჩვეულებები ხდებიან ქვეყნის სასაცილოდ და სამასხაროთ, — მაშინ ის მკედარია, ან კბილში უჭირავს სული და ბოლოს თვით კაცობრიობა და ცხოვრებაც იფიწყებს მას.

ამრიგად ათავისუფლებენ კაცობრიობას სიბნელისაგან ასეთი ნათელნი პირნი, როგორც იოანე გუსი, ცეცხლში დამწვარი პეტრე ბრუ-

ესი, ლიონელი ვალდო და ინგლისელი ეკ-
ლეფი.

ზემო აღწერილ სურათებს ვხედავთ ჩვენ სრულად რომის (კათოლიკეს) ეკლესიის ისტორიაში; ის წარმოგვიდგენს ჩვენ საშინელს და საოცარს საქმეებს თავისი უზურპაციით, ინკვიზიციებით და უსამართლობით.

ეკლესიებთ მოშორებისთანავე რომის ეკლესიამ გაიძლოლია დევიზად შემდეგი ფრაზა: „კურთხევა სულის და ანაფემა ხორცს.“ ამ დევიზით ზომავდა ის კაცის სულს, ხორცს და ღირსებას; მან განიზრახა ამ დევიზის ცხოვრებაში შეტანა და მითი ქვეყნის და კაცობრიობის დამონება, — ამისთვის მან მოსპო სასულიერო წოდებაში კორწინება, ამითი მან მოაშორა მღვდელი ხალხს, ცხოვრებას, ოჯახს და სამშობლოს, რომ ეკლესიას მღვდელი უფრო ღირსეულ ეყო ქრისტესადმი ერის კაცზე.

ამ რიგათ რომის ეკლესიამ მოახდინა განხეთქილება ქრისტიანებთ შუა, რომელნიც

ღეთის წინაშე ქრისტესგან იყენენ ნაცნობნი ძმებათ და თანასწორებათ, — ^{მეუფისადაც} რომის ეკლესიამ დაარღვია პირველი მუხლი ქრისტეს მოძღვრების.

ამ პირველ ნაბიჯის შემდეგ ბნელი და ბრყვი ხალხი დააჯერეს, რომ სასულიერო წოდება უწმინდესია ერზე, მაშასადამე ის უღირსესიც არის ქრისტეს ზიარების; ამ რიგად მხოლოდ სასულიერო წოდება იცნო რომის ეკლესიამ ღირსეულად ორივე სახით (ორცით და სისხლით) წმინდა საიდუმლოს მიღებისა, ხოლო ხალხი უნდა ზიარებულიყო მარტოკა ერთის სახით (ქრისტეს ხორცით) ამ მეორე ნაბიჯმა მოახდინა სრული და შეუმსებელი განხეთქილება ერთა და სასულიერო წოდებას შუა; მაგრამ ეკლესია მოშორდა ქვეყნის ცხოვრებას მისთვის კი არა, რომ იყოს თავისთვის, არამედ მისთვის, რომ დაიმონოს ერი და იცხოვროს მეფურად ხალხის შრომით და ქონებით.

ასეთი აზრის ასასრულებლად მას ხელში

ჰქონდა მრავალი ბეჯითი საშუალება; მთელი
 კაცის არსება იყო მღვდლის ხელშეწყობილ-
 და ახალს დაბადებულს, უწყობდა მას ოჯახს
 და ცხოვრებას, ე. ი. აძლევდა ცხოვრებაში
 შესვლის ნებას: ის იყო მოწამე მომაკვდავის
 უკანასკნელის აზრის და ნატურის, ის ილოცვიდა
 მის სულზე, ერთის სიტყვით ეკლესია იყო
 ხალხისთვის ბოძი ამ ქვეყნის და იმედი საი-
 კიოს. ცხადი საქმეა, რომ ასეთი უფლების
 მექონის წოდებას ბევრი არ გაუჭირდებოდა
 იმ აზრის გავრცელება მთელ ხალხში, რომ
 სასულიერო წოდება უფრო მაღლა დგას
 ღვთის წინაშე, ის არის ცით არჩეული, მაშა-
 სადამე მხოლოდ მას აქვს სუფლება ქვეყანა-
 ზედაც და მას უნდა მორჩილებდეს და მსა-
 ხურებდეს ერი. ამ რიგად სასულიერო წო-
 დება გამოეფა ქვეყანაზე, შეიკრიბა მის ხელ-
 ში ყოველი გვარი ძალა: სიმდიდრე, მამულე-
 ბი, სამეფოები და ურიცხვი ჯარი. ამის შემ-
 დგ მას ადვილად შეეძლო ცეცხლის და ინ-
 კვიზიციის შემწეობით დაემორჩილებია ყოვე-

ლი წინააღმდეგი და დაეფარა მტრებისგან^{ის}ის წესები, რომელნიც ერთს ღროს მაცხოვრება-
 ბით და ეშმაკობით დაუარსებია და გამეფე-
 ბულია. ამრიგათ, რომმა ჩაჩრდილა ეეროპაში
 სამეფოები; მისი შიში ქონდა მეფეებს და
 კოროლებს; პაპამ ამაყად გამოუცხადა ქვეყანას:
 „პაპის სახელი არის უმეტესი ქვეყანაზე“ და
 ამაში კიდევაც დააჯერა განცეიფრებული ქვე-
 ყანა.

ამრიგათ ქრისტიანობამ დაკარგა წინაპირ-
 ელი თანასწორობა, ხალხს ჩამოერთვა თა-
 ეიანთ მოძღვრების ამოჩჩევის ნება და იქცა
 მონად; ეკკლესიამ მიიღო კერპთ ჩეეულება;
 ეპისკოპოსები დაესახლნენ პალატებში; პაპა
 დაჯდა ტახტზე, როგორც კეირი და გამოა-
 ცხადა თაეის თაეი უცოდველად; მაგრამ გა-
 მოაჩნდა გარყენილობა და მძიმე ცოდვები.
 აი საიღამ და ეისგან ჩამოეფარა ქრისტეს მოძ-
 ღვრებას ბნელი ფარდა.

აი რაში მდგომარეობს აეტორიტეტი, რომ-
 ლის საბრძოლველად გამოუწვევია ცხოვრე-

ბას იოანე გუსი. მთელ საშეალო საუკუნეების განმავლობაში იყო გაუწყვეტელი და გამწარებული ბრძოლა ევროპაში ავტორიტეტის დასამხობლად. მთელი გერმანია იყო ცეცხლმოძებული, — ჯარი ასი ათასობით წყდებოდა ყოველ დღე ბრძოლის მინდერებზე, ქალაქები და სოფლები დაცარიელდნენ, დაიარაღებული ხალხი ტოვებდა სახლკარს და მირბოდა საზარებით ბრძოლის ველზე.

ბრძოლა იყო სასტიკი და უწყალო, — სისხლი დიოდა ყოველგან; სოფლები, ქალაქები და მინდერები კაცის ძელებით იყვნენ გადათეთრებული; ქვეყანა გაველურდა; სოფლებში ხროთ დაზუოდა მგლები კაცის მძოვრს.

აი რა საშინელი განსაცდელი გამოიარა ევროპის ხალხმა, სანამდის ის ამ ასთავიან გველეშაპს, ავტორიტეტს დაამხობდა! თუკი მოვიგონებთ ყოველ გვარ დამკირებას, რაც კაცობრიობას და ხალხებს დადგომია ამ ავტორიტეტისაგან, მაშინ ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს ეს საზარელი და გამწარებული ბრძო-

ლის ვაი-უშველებლობა, მისი უწყალობა და კაცთა უფლების შეგინება! კაცის არსება იყო შეპყრობილი როგორც სულით აგრეთვე ხორცითაც და ქონებით,—მას გამოღლიტეს და გამოსტყუეს ის ღვთის წინაშე თანასწორობა, რომელიც დამტკიცდა ქრისტეს სისხლით და შეიმოწმებოდა სრული წმინდა საიდუმლოის ზიარებით.

ამრიგათ კაცობრიობას უნდა ამოეგო ეს დაკარგული უფლება, ის უნდა განთავისუფლებულიყო, უნდა გათანასწორობოდა ღვთის წინაშე სასულიერო წოდებას, თუმცა მას უნდოდა თავის ცხოვრებაში განათლების, პროგრესის და სოციალური (საზოგადოებრივი) თანასწორობის შემოტანა.

ეს ცხადიც არის: ხელ-ფეხ შეკრულმა კაცმა ჯერ აშეებაზე უნდა იფიქროს და მერმე სეირნობაზე და შეებაზე.

მაშასადამე აქ ბრძოლა იყო სიცოხლის დაფარვისათვის; დამარცხებული უნდა მომკვდა-



გამქრალიყო
 ქართველი
 ლიტერატორები

რყო და მისი სახელი უნდა გამქრალიყო
 ქვეყნიდამ.

ამის შემდეგ კაცთ-მოყვარებას რა აღგილი
 უნდა ჰქონოდა ამ საშინელ ბრძოლაში?

აი რასაკმეს აცხოველებდა ის შესანიშნავი
 კოსტანცის კრება.

დანიშნულ დღეს გუსი წარმოსდგა კრების
 წინ, მისი სახე იყო მშვიდობიანი, ამაყი და
 გონიერი; საშინელი განსაცდელის ლოდინმა
 უფრო განამტკიცა ის თავის აზრში; მან მა-
 შინვე იგრძნო თავისი საქმის დიდი მნიშე-
 ნელობა, ამან მოუმატა ალი მის სულის და
 დაათრგუნვია სიკედილის შიში.

ის ამბობდა: „გუსი შინაური მფრინველია,
 ის არ ფრინავს მაღლა, მაგრამ გამოჩნდება
 სხვა მფრინველი, რომელიც ერთის ფრთის
 დაქნევით აცილდება მტრების მახეს**“).

გუსის მოძღვრება იყო თითქმის იგივე, რაც
 ინგლისელი ვიკლეფის, წმინდა საიდუმ-
 ლოს გარდა:

*) გუსი ბატს ჰქვია სლოვენიურად.

აი რას ამბობდა ჯერ ვიკლფედი და შერე გუსი:

ა) ქრისტე მართლა არ არის თავის ნამდვილ სისხლით და ხორციით წმინდა საიდუმლოში, გარნა ეს არის მხოლოდ ემბლემა (ნიშანი)

ბ) საღმრთო წერილის წინააღმდეგია, სასულიერო წოდებას სიმდიდრე და მამული ჰქონდეს.

გ) საჭირო არ არის მღვდელ-მონაზვნობა (нищенствующие монахи).

დ) კათოლიკე ეკლესია არის სატანის სინაგოგა და პაპა მისი მოადგილე და არა ქრისტესი.

ე) სიბრყვეა ინდულგენციის დაჯერება.

ვ) ხალხს შეუძლია გამოსცვალოს თავისი მოძღვარი, თუმც მას არა აქვს ქველის მოქმედება.

ამრიგათ როგორც ვიკლფედი, აგრეთვე გუსი ებრძოდნ უპირატესობას, რომელიც სასულიერო წოდებას მიუთვებისებია უღირსად

და იმ ზარმაცი და მუქთ მკამლების შეფობას, რომელიც აბნელებდა ქვეყანას და ცხოვრებას; ერთის სიტყვით ისინი ქადაგებდნენ ხალხის უფლებას.

შვიდ იენისსიყო დანიშნული მეორე სხდომა ჩვენების ჩამოსართმევად.

ამ დღეს მზის დაბნელება იყო და კოსტანცი დაბნელდა ცოტა ხანს.

მეორე სხდომაზე გუსი ბრალდებული ჰყვეს ზემო მოყვანილ ეიკლფის მუხლების მიღებისათვის. მრავალ გზით ურჩევდნენ მას უარი-ყყო ამ მუხლებზე, მაგრამ ის უკანასკნელ წამამდის მტკიცეთ იდგა თავის აზრზე.

მაშინ გუსს ჰკითხეს: „ნუ თუ პაპა, ეპისკოპოსი და პრელატი კარგევენ თავიანთ ღირსებას, როცა ისინი ვარდებიან მძიმე ცოდვაში?“

მან მიუგო ამაზე დამტკიცებით და მოაგონა კრებას სამუილის სიტყვები საულისადმი: „ვინაიდან შენ უარ-ჰყოფ ჩემს სიტ-

ყვეს, მეც უარ-გყოფ; შენ ღღეის იქით არ
იქნები მეფედ“

ბარონული
ბიბლიოთეკა

ამ სიტყვებზე კამბერიის კარდინალმა მიაქ-
ცია იმპერატორის ყურადღება და შებღავლა
გუსს: „შენ არ გყოფნის სასულიერო წოდე-
ბის დამცირება და მეფეებსაც ამცირებ?“ ამ
შემთხვევაში ეს სიტყვები კარდინალის მხრით
უსინიღისო და უწყალო იყო.

გუსმა თავის საქმე შეასრულა. მას დარჩა
მხოლოდ მამაცურად სიკვდილის მიღება.

თუმცა ავანტიურებამ და სასტიკმა ტყვე-
ობამ ძალიან მიხრწნა, მაგრამ თავის სიტყვებ-
ზე მაინც დარჩა შეურყეველი,—ისე მამაცუ-
რად შეხვდა სიკვდილს, როგორც კაცმა,
რომელმაც იცის, რომ მისი სიცოცხლე ეკუთ-
ვნის მის საქმეს. მოაწია უკანასკნელი გან-
საცდელის ქამმა,—მაშინ გუსმა მიუბრუნდა
იმპერატორს და მოაგონა თავისი სამფარველო
ღრამატაზედ, რომლის იმედით გუსი გამოც-
ხადდა კრებაში; ეგონა შეუხებელი იყო, მაგ-
რამ იმპერატორის პატიოსანი სიტყვა უსინი-

დისოთ იყო გატეხილი. ამ მოგონებებზე იმპერატორის პირზე იელვა სირცხვილის ფერმა, ვერ აიტანა გუსის თვალები და პირი სხვისკენ მიიბრუნა.

გუსმა მოიწოდა ქრისტე თავის სიმართლეზე, რაზედაც კრებამ სიცილი დააყარა; ბოლოს დაახურეს თავზე ქალაღის მიტრა ზედ წაწერით: „ერესიარახი“. მაშინ გუსმა სთქვა: „მე ბედნიერი ვარ, რომ მადგია ეს სასირცხვილო გვირგვინი ქრისტესთვის, რომელსაც ედგა ეკლის გვირგვინი.“

ბოლოს სამღვდელოებამ გადასცა გუსი სამოქალაქო მმართველობას და წაიყვანეს დასაწველად. მასი მგზავრობის დროს კრების ბრძანებით წვიდენ მისი თვალის წინ გზებზე მის წიგნებს, რომ დაენახა მას თავის აზრის შევინება სიკედელიამდის.

მოიყვანეს თუ არა დანიშნულს ადგილს. გუსმა მაშინვე მოიკეცა მუხლები და შეეცდრა ღმერთს მალლის ხმით: „ღერთო შეიეც-“

დრე სული ჩემი.“ ამ დროს ხალხი დამ მოიხმა მწუხარების ხმით: „რა დააშავა ამ კაცმა ჩვენი“

გუსს აქნევიწეს პირი აღმოსაელეთით და ისე მიაკრეს ხეს, მაგრამ ეილამაც შენიშნა, რომ ის ღირსი არ არის აღმოსაელეთით მზერის, როგორც ერეტიკა, ამისთვის მოაბრუნეს დასაელეთით და ისე მოუკიდეს ცეცხლი შემოყრილ შეშას.

ღიდ ხანს გამოისმოდა გალობის ხმა წამებულისა აღიღამ; ბოლოს შეკრიბეს მისი დანაცრებული ძელები და გაატანეს რეინის ტალღებს.

გუსი მოკვდა, მაგრამ დარჩნენ მისა სისხლის შეძიებელნი, მისგან დატევებულნი ერეტიკები. გუსის წინასწარ-მეტყველება უნდა ამხდარიყო: „მაგრამ მოვა მფრინველი, რომელიც აცილდება თქვენს მახეებს.“

ეს საქმე, რომელზედაც შეჰსწირა თავისი თავი გუსმა და მისმა მოწაფემ იოანე პრაგელმა იყო მთელი ქვეყნის და კაცობრიობის საქმე.

მთელი ბოლემია (გუსის სამშობლო) რაცხ-
და თავის თავს შეგინებულად იმ დროს
როცა გერმანიის იმპერატორს მიყავდა სადა-
ვით თეთრი ცხენი, რომელზედაც იჯდა აბ-
ლად ამორჩეული პაპა ანტონი კალონა; რო-
ცა ამრიგათ იმპერატორმა უჩვენა მთელ ქვე-
ყანას სასულიერო წოდების უმეტესობა ქვეყ-
ნის ხელმწიფეებზე და ერზე, მაშინ დაიარაღე-
ბულმა და აღტაცებულმა ხალხმა ბოლემიაში
გამოაცხადა თავისუფლება და თანასწორობა
სასულიერო წოდებასთან შემდეგი სიტყვის
ძახილით: „სრული ზიარება ხალხს.“

მაშინ ოცდა ათი ათასმა ამორჩეულ-
მა ვაჟკაცებმა მოიყარეს თავი ჟიჟკის დრო-
შას ქვეშ, დასტოვეს ქალაქი და დაბანაკდნენ
თაბორის მთაზე.

ატყდა გამწარებული და უწყალო ბრძოლა
გამარჯვება მუდამ წინ მიუძღოდა ჟიჟკის
დროშას; ურიცხვი გერმანიის ჯარი ამოქლი-
ტა ზედიზედ ჟიჟკამ.

ბრძოლა გაგძელდა 16 წელს; ამ ბრძოლა-

ში ჟიჟკამ გამოიჩინა საოცარი სარდლობის ნიჭი და ენერგია; ის იყო ბრძოლაში თვალით; ბრძოლაში მეორეც დაკარგა, მაგრამ ამ საუკუნო სიბნელებს უფრო აუნთო მას სული და ენერგია.

მის შემდეგ მის ღირს მოადგილეთ იყო პროკოპი...

ჩვენებში იყენენ ამ დროს ისეთნი, რომელნიც თხოულობდნენ მარტო თავისუფლებას და არა თავისუფლებას და ძმობას, როგორც გუსის მდმხრეები. ეს კალიესტინელები ამბობდნენ: „ეიყოს მარტო თავისუფალი.“ 1434 წ. კალიესტინელებმა უღალატეს გუსისტებს, დაეცნენ მალეით გერმანიის ჯარით და ამოწყვეტეს თითქმის დანარჩენი ამოწყდა შემდეგ ბრძოლაში.

ამ გვართ გუსის მომხრეები გაწყდნენ, მაგრამ მათი მოძღვრება და მიზანი არ დაღუპულა მათთან, გაქრნენ მხოლოდ ალტაცებული და გაბრაზებული მოწაფეები, მაგიერთ დარჩნენ უფრო მშვიდობიან-

ნი და დაწყნარებულნი, რომელთაც გაჰყავდათ ცხოვრებაში თავის ნათელ მოძღვრების სწავლა და აზრები; დარჩნენ აგრეთვე ბოლემიის ძმობა და მათი მიზანი.

ვერც სისხლმა და ვერც ზნეობითმა ძალამ ვერ მიანიჭა გამარჯვება მათ, ვინც იდგნენ ძმობის და თავისუფლების პრინციპზე. ყველა ამ საშინელ ბრძოლისა და ტანჯვისაგან დაიბადა ინდივიდუალიზმი, ანუ ის პიროვანი თავისუფლება, რომელიც გვერდით უფლის და თვალს აცილებს სიღარიბეს, უმეცრებას და მოწობას.

მაგრამ ეს კიდევაც ასრე უნდა ყოფილიყო ისტორიული კანონების ძალით: ჯერ პიროვანი კაცი უნდა განთავისუფლებულიყო და შემდეგ სოციალური.

გაჩნდა წიგნის ბეჭედა და ბოსიუეტის სიტყვით დაგესლიანებულმა ქვეყანამ დაბადა ლიუტერი.



საზოგადო შენიშვნა.

ამ კონსტანტის კრებას ქონდა ერთი ძა-

ლიანი გასაკვირველი შემდეგი. ამ კრებამ სულ უნებურად და წინ დაუხედველად წაეხმარა გუსის საქმეს თავის ქცევით და ამით შეამოწმა გუსის მოძმეების ჭეშმარიტება. აი საქმე რაში იყო: ასეთს საქმეებს (როგორც გუსის საქმე იყო) უწინდელ დროში ერთი პაპის სიტყვა ათაებდა ხოლმე. ხოლო ამ შემთხვევაში მოიწოდეს კრება; ამ რიგად ეკლესიამ სენა კრების მნიშვნელობა პაპის სიტყვებზე უმეტესად, მაშა სადამე პაპის უწინდელი ძალა და მნიშვნელობა ამ საქმით დამცირდა.

ასეთი პაპის ღირსების დამცირების მაგალითს ჩვენ ვხედავთ კონსტანცის კრების შემდეგ. ბაზელის კრებამ მთელი ქვეყნის თვალის წინ ჩამოაგდო ტახტიდამ პაპა იოანე XXIII ნათესაობის გატენისათვის. აგრეთვე იქნა ის გაგდებული ეკლესიიდან შემდეგი სახარების სიტყვებით „Нынѣ судъ міру, нынѣ князь изгнанъ будетъ воиъ.“

ამ რიგათ ბაზელის კრებამ მოჰკათა ძირს

პაპის უცოდველობის პრინციპი.  გასაკვირველი არ არის, რომ კონსტანტინის  დასწვა გუსი ცეცხლში იმ აზრისთვის, რაც თერთონ რაოდენიმე ხნის შემდეგ სცნა კეშმარიტად!

დ. ჩქოტუა.

21 სექტ. 1873 წ.

დურგალი



ქართული
ზნობრივობა

დაბეთ, ჩენი შალაშინი
ამ ხეს როგორ აპრიალებს!
ეიცი ეს ხმა ნაკლებ მოსწონთ
და ბევრს ტანშიც აპრიალებს.

მაგრამ ჩენსა შალაშინსა
თაეიდან დაჰყვა ეს ჯინი, —
მოგწონდესთ და არ მოგწონდესთ,
მაინც გაუღის კრიჭინი.

ან კი თაეი რათ იზოგოს,
ძვალი შეხეთეს, თუ გინდ რბილი,
ბრუნდსა თუ კი გაასწორებს
მამა-ცხონებული შეილი.

ამ ცხოვრების ცა და მიწა
ბრუნდეთ არის გაკაფილი.
მაშ გეითხარით, რათ დარბოდეს
იქ ჩენი ცოლი და შეილი.



ქართული
ლიბრთეკა

მაშ, ღურგლებო, შალაშინი,
გაუქნიათ, ეყოთ ერთხილი!
თუ გატყდება, სისწორისთვის
მაინც იყოს გატეხილი!

ასე უნდა და ასე ვჰქნათ,
გულიც ნუ გაგვჩერებია,
ნეტავი მას, ეისაც ბრუნდი
ერთხელ გაუსწორებია.

გ. ქალაღიდელო.

11 თქტ. 1873 წ.



ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში

წერილი მეორე.

ვინ იცის რამდელჯენ გაგვიგინია, განსაკუთრებით უკანასკნელ დროში რომ შვეიცარიაში ამისთანა და ამისთანა დაბალი შკოლებია, რომ ამ შკოლებში ისე მშეენიერად ზრდიან და ეპყრობიან ნორჩს ყმაწვილებს და სხე. რამდენი ამისთანა საზოგადოთ შვეიცარიის ქება და მისი შკოლების უკეთესობა დანარჩენი ევროპის სახელმწიფოების სასწაელეზელზედ და მათში ყმაწვილების აღზრდაზე გასხვაება გაგვიგონია. მაგრამ შვეიცარია მისი მშეენიერი შკოლებით და მასწაელეზლებით მართლა პირველი ხომ არ გაჩენილა დედა-მიწაზე ან ციღამ ჩამოვარდნილი ხომ არ არის? შკოლების გამართვა და მათში სწაელის პროგრამმა შვეიცარიელებს ეგების სხვა რომელიმე ქვეყნიღამ გაღმოუღლიათ, და მათ

მასწავლებლებს — უმეტეს ნაწილათ — ან აქვე მიუღიათ სწავლა ან სხვა სახელმწიფოებში. მაგრამ საქმე ხომ მარტო იმაში არ არის მკითხველო, რომ თავი, როგორც რომელიმე ბიბლიოთეკა ან მეცნიერების საუნჯე, სხვა და სხვა სწავლით გვექონდეს გატენილი! — შენი სწავლა რა გამოსადევია, ან რათ ღირს, თუ იმ სწავლის გარდაცემა სხვისთვის, რომელსაც სურს ისწავლოს, არ შეგიძლია? რათ ვარგა მარტო თავი გვექონდეს „განათლებული“, თუ კი ამასთან გულიც არ გინათებს და როგორც „კაცი“ არ ვარგინხარ?... თუ კი არ შეგიძლია ყმაწვილების აღზრდა ისე წაიყვანო, როგორც ნამდვილი პეტაგოგის დანიშნულება, მიზანი და მიმართულება მოითხოვს? რა „ყმაწვილის აღმზრდელი“ გეთქმის, თუ კი ყმაწვილს — თუ არ წყრომით ან ხელის და ჯოხის შემწეობით არა, ერაფერს ასწავლი ან კეთილს რამეს ვერ ჩააგონებ? რა მასწავლებელი უნდა იყო, თუ კანონს, რომელიც გეუბნება — ყმაწვილმა თუ ვერა ფერი გაიგოს (?) და: ჩოქე, შინ ნუ გაუშვებ, უსა-

დილო დააყენე და სხვ.—ამ გვარ ეთომც
 შემსუბუქებულ დისციპლინარულ<sup>საშელოც-
 ნიგლიჩისაჲ</sup>ებებს ვერ გადახვალ ან თავს ვერ მოაუვლი,
 იმიტომ რომ «კანონში გვიწერიაო?» შენი
 სწავლა იმისთანა შემთხვევებში ფუჭია, უსარ
 გებლოა იმ საბრალო ნორჩი ახალგაზრდებისა-
 თვის, რომელნიც განგებას შენს ხელში ჩაუ
 გდია— „სასწავლებელად“ კი არა „საწამებლად“
 აი ყველა ეს მოვალეობა და დანიშნულება
 მასწავლებლებისა რომ მივიღოთ მხედველო-
 ბაში და თან შვეიცარიის შეიღების ორგანი-
 ზაცია და მათში სწავლის მსვლელობაც რომ
 ვიგულისხმოთ, მაშინ დავრწმუნდებით, რომ
 შვეიცარიაში ყმაწვილების აღზრდა მართლა
 დაწინაურებულია, ვიდრე სხვა სახელმწი-
 ფოებში, რომ შვეიცარია კი არ სარ-
 გებლობს სხვა სახელმწიფოების ყმაწვილების
 აღზრდის პროგრამით ან რომელიმე იმათ-
 გ.ნს ბაძვას—განსაკუთებით ამჟამათ—არამედ
 ბევრნი იმათგან, რომელთაც კი დაუნახავთ საჭი-
 როთ ყმაწვილების სწავლის საქმის გაუბჯობესო-
 ბადა თან ამ პატარა მუჭა ხალხის წაბაძვა არ ეთა-

კილებათ, სარგებლობენ იმ სახალხო განათ-
 ლების საქმის მსვლელობით და მისი მსვლე-
 ბის ორგანიზაციით. ამ უმჯობესობის მიზეზე-
 ბი ბევრია, მკითხველო, მაგრამ მე მარტო
 ორ მიზეზედ მივაქცევ თქვენს ყურადღებას.—
 იქიდან ნათლათ შევიძლიათ დაინახოთ, თუ
 შევიცარაა, ხალხის განათლების მხრით, რამ-
 დენათ დაწინაურებულია სხვა სახელმწიფო-
 ებზე.—ერთი მიზეზი იქნება — შევიცარიის
 მართებლობის გარევა დაბალი ხალხის განა-
 თლების საქმეში და მეორეც—თუ ამ საქმე-
 შივე მის სამღედელოებას ან სასულიერო
 წოდებას რა ადგილი უჭირავს.

თვით-მმართველობას ანუ თვით-მოქმე-
 დებას არამც თუ რომელიმე ხალხისთვის, სა-
 ზოგადოებისათვის და ოჯახისათვის, არამედ
 ყოველი ცალკე ანუ კერძო კაცისათვის აქუს
 საუკეთესო შედეგი და მოაქეს დიდი სარგებ-
 ლობა.—ეს შედეგი აქეს, ან ექნება მაინც,
 თვით მოქმედებას ყოველ იმისთანა საქმეში,
 რომელიც პირდაპირ შენ შეგეხება ან და
 შენს პიროვნულ მონაწილეობას და მოქმე-

დებას თხოულობს. — თვით-მოქმედება ყოველ
 საქმეში, ყოველთვის და ყოველისათვის არსამც
 თუ სასარგებლოა, საჭიროა კიდევ. მაგრამ
 ეს თვით-მმართველობა, ან უკეთ—თვით-
 მოქმედება ისე არსად, არას შემთხვევაში
 არ არის საჭირო და მას არსად არ მოაქვს
 ის სანატრელი შედეგი, როგორც საზოგადო
 განათლებაში ან ხალხის აღზრდაში. ყოველ
 მმართველობას, როგორც თვით მპყრობელს
 შეუძლია, რასაკვირველია, გაერცელება ხალ-
 ხის განათლებისა სხვა და სხვა გვარი
 დაწესებებებით, მაგრამ მის მოქმედებას მა-
 შინ ექნება ჯეროვანი ან სანატრელი შედეგი
 ხალხისათვის, მართველობას მაშინ შე-
 უძლია იმედი ჰქონდეს ამ დაწესებებების დღე-
 გრძელობაში და მათგან ხალხისთვის სარგებ-
 ლობის მოტანაში, როდესაც ის ყველა ამას
 თავათ მართო ის კი არ მოქმედობს, არამედ
 ამ საქმეში ისინიც მონაწილეობას იღებენ,
 რომლებისათვისაც ყველა ეს კეთდება—ე. ი.
 ხალხი. უმჯობესი მათი შედეგი მაშინ მოხერ-
 ხდება, როდესაც ამ საქმეში თავათ ხალხის

თვით-მოქმედება და თავისივე საქმისათვის მისგან უპირატესი მონაწილეობა ჩანს, რომლის-თანა სახელმწიფოებში, სადაც მართებლობას განუსაზღვრელი უფლებები აქვს და სადაც ყველაფერს ამ მართებლობისაგან გამოვლიან, ამისთანა სახელმწიფოში რომელიმე წარჩინებულ პირს — და ამ შემთხვევაში ხალხის განათლების მინისტრს — შეუძლია, რასაკვირველია, ხალხის განათლების საქმისთვის ბევრი სასარგებლო მოქმედებები ჩაიდინოს, მაგრამ ამაში ხომ ხალხი, ან ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც ეს საქმე პირდაპირ შეეხება, არ რეულა? იმიტომაც ამ გვარი მართებლობის პირის მოქმედებას ვერ აქვს ვერასოდეს ის შედეგი, რაც სანატრელია; ეს მოქმედებები უმეტეს ნაწილად ან სულ ჰქრებიან დაბადებისათანავე, ან და მოაქვთ სარგებლობა მხოლოდ საზოგადოების ერთი ნაწილისათვის. — საფრანგეთში უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, როდესაც ნაპოლეონ პირველმა საზოგადო განათლების საქ-

მე—ვითომც ხალხის სასარგებლოთ—რამდენიმე არჩეულს პირს ჩაუგდო ხელში, ამ უპირატესი საქმის მსვლელობა მხოლოდ ერთი წრისგან გამოდრიოდა, იმას ის შედეგი ჰქონდა, რომ დიდხანს საფრანგეთში, როდესაც ერთი ნაწილი საზოგადოებისა განათლებული და დაწინაურებული იყო იმავე დროს მეორე ნაწილი სრულებით გაუნათლებელი და უბრალო წერა კითხვასაც კი მოკლებული. — მართებლობას შეუძლია საშუალო ან მაღალი სასწავლებლების გახსნა (და ესენი ვისთვისაც ინიშნება ბევრ სახელმწიფოებში ხომ ვიცით), მაგრამ საზოგადო განათლებაში უიმისოდ რომ ამ საქმეში ხალხი ან მათგან სხვა და სხვა ურთიერთ დახმარებითი საზოგადოებები არ გაერთოს, ამისთანა მართებლობას არასოდეს არ შეუძლია თავის მოქმედებიდამ იმ შედეგს გამოელოდეს, რომელიც იმას ეგებს სურს. — როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ რომელიმე სახელმწიფოს დაბალი ხალხი განათლებულია, როგორც მაგ. შვეიცარიაში, გერმანიაში, რამდენიმე ბელგი-

აში, გოლლანდიაში და ინგლისში, ამას ჩვენ არასოდეს არ უნდა უმადლოდეთ და ამ სახელმწიფოების მართებლობას, რომ იმათ ან თავის მოქმედებით ან ერთი ერთმანერთის წაბადებით ხალხი ამ გვარ მდგომარეობამდი მიუყვანიათ, არამედ თვით იმ ხალხის და იმათგანვე შემდგარ სხვა და სხვა „ურთიერთ დამხმარებელი“ საზოგადოებებს და მათ თვით-მოქმედებას თავიანთვე შესახებ საქმეებში.

შვეიცარიაში ასეთი უპირატესი მოვალეობა მართებლობისა არის თავისი ხალხის წარმატება და კეთილ-დღეობა აღზრდით და განათლების მიცემით. მაგრამ ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ იმას აქვს მიჩენილი შკოლების გახსნა და მათი შენახვა? — შვეიცარიის მართებლობას კავშირის კანონები თავდაპირველად იმას აუწყებს, რომ, თუ შენ შენი ხალხი და ქვეყნის კეთილდღეობა და წარმატება გსურს, შენს მოქმედებაში პირველი ადგილი ხალხის განათლების საქმეს უნდა ეჭიროსო. — ამას გულწრფელათავე ასრულებს შვეიცარიის კავშირის

მართებლობა იმით, რომ ის ყოველ კანტონის მართებლობას აფხიზლებს, რომ იმათ ხალხის განათლების საქმეში კავშირის კანონს თავი არ მოუარონ და თავის მხრით, რამდენათაც საჭიროა და შემწეობა ნებას აძლევს, მატერიალურის მხრით შემწეობას ან დახმარებას არ უურავს ურთიერთ დახმარებელი და სხვა და სხვა შკოლების დამფუძნებელი საზოგადოებებისთვის. — ამით ისაზღვრება და თავდება მთელი კავშირის მართებლობის უფლება და ძალა ხალხის განათლების საქმეში; — შემდეგ ყოველი კანტონის მართებლობა თვითონ არის მოთავე და თავის კანტონისათვის სახალხო განათლების კანონის გამომცემელი. — კანტონის მართებლობა, რასაკვირველია, ხალხის ნება დართვით სცემს ხალხის განათლების კანონებს, აწესებს სხვა და სხვა საშუალო სასწავლებლებს, როგორც გიმნაზიებს, სემინარიებს და სხვ., და თუ შეძლება ნებას აძლევს, უნივერსიტეტსაც. ეს არის მისი ვალდებულება. — დაბალი შკოლების გამართვამ და დამფუძნებამ გარდა იმისა, რომ თავის კანტონის მცხოვ-

რებლებს აფხიზლებს კავშირის სახალხო განათლების კანონების წინ, ის არ ვრცელდება ისე, როგორც წინეთ ეამბობ მისი მოვალეობაა, რომ მისმა კანტონმა სახალხო განათლების საქმე ცუდათ არ წაიყვანოს და თუ შეუძლია მატერიალური შემწევობით ამ საქმეს ხელი მოუშართოს. სახალხო შკოლები სრულებით ხალხის და სხვა და სხვა საზოგადოების გამგეობაში გარდადიან.

პირველ გაგონებაზე გააკვირვებს მართლაცა, რომ შვეიცარიაში 22 კანტონია და სათითაოთ ყოველი კანტონი თავის ხალხის განათლების კანონებს ცალკე. სტემს. მაგ. ციურიხის სახალხო განათლების კანონებში პირველი ადგილი უჭირავს შემდეგს: „სახალხო შკოლებმა უნდა გამოზარდონ კეთილ გონიერნი, ღეთის მოყვარე, კარგი ზნის და სასარგებლო მამულის შეიღები“. — ეადის კანტონის სახალხო განათლების კანონები ამბობენ, რომ „სწავლა საზოგადო შკოლაში უნდა იყოს შეთანხმებული ქრისტიანულ და დემოკრატიულ პრინციპებთან.“ — ასეა დანარჩენი კანტონების სა-

ხალხო განათლების კანონების საფუძვლებზეც გამოთქმული — ზოგი დამატებით და ზოგი შემოკლებით, მაგრამ უმთავრესად კი ყოველს ერთი და იგივე დედა მიზანი უძვეთ ბოძათ: კეთილგონიერი ღვთის მოყვარე და საბეჯითო მამულის შვილების გამოზრდა.

მეორე მიზეზი შვეიცარიის ხალხის განათლების გზაზე წინ-წაწევისა მდგომარეობს იმაში, თუ სამღვდლოებას ან საზოგადოთ სასულიერო წოდებას ამ საქმეში რა ადგილი უჭირავს აქა.

როგორც ყოველგან, ისე შვეიცარიაშიაც კათოლიკებს და მათ პასტორებს დიდი განვლენა ჰქონდათ ახალ მოზარდ შთამომავლობაზე; რამდენიმე ხნის წინეთ შვეიცარიის სახალხო შკოლებში ისინი იყვნენ მასწავლებლებიც და ინსპექტორებიც; მათ ხელში იყო როგორც სასულიერო, ისე სამოქალაქო აღზრდა ყმაწვილებისა. ასე იყო საზოგადოთ მთელ შვეიცარიაში, და ზოგიერთ მის კანტონებში ეხლაც ამ კათოლიკების პასტორების სიტყვებს, ლოცვებს და ქადაგებებს ხალხზე

იმდენი განელენა აქვთ, რომ ისინი ვერას
 გზით ვერ მოუშორებიან. „კანტონი ცუტვი, რუც-
 და ათს ვერსტზე არ არის ციურიხზე განშორე-
 ბული—ანბობს დიკსონი თავის თხზულებაში
 Die Schweizern)— მაგრამ რათავე კანტონ-
 ნის ხალხის განათლებას კანონები რომ კცმა
 გადაათვარიელოს და მათში შკოლების სწაე-
 ლას თვალ-ყური ადევნოს, ადვილათ დაინახავს
 ერთი მეორესაგან ერთსა და იმავე საკმეში გან-
 სხვაებას“. მაშინ როდესაც პირველში ყმაწვი-
 ლების აღზრდა პატრების ხელშია, რომელნიც
 თავიანთი „შეთხზული ლოცვებით“ და ვითომც
 სამღეთო წერილის სიტყვების ზეპირობით ნორჩს
 ხელ-უხლებელ ტეინს და აზრს უმახინჯებენ,
 მეორეში, ე. ი. ციურიხის კანტონში, იმავე
 დროს, სახალხო შკოლების სასწაელებლებში
 ან სრულებით არა და ან იშვიათად შეხედე-
 ბით მღვდლებს — მასწაელებლებს, მაშასადა-
 მე არც სამღეთო წერილის ისე უშვერად და
 დამახინჯებულათ სწაელას.— არც ერთს შეეი-
 ცარიის კანტონს არ უჩხუბნია და იმდენი სას-
 ჯელი არ გაუწევია, რამდენიც ციურიხის კან-



ტონს, რომ საზოგადოთ სახალხო განათლებ-
 ბის საქმეში სასულიერო პირის ან ეკკლესიის
 განვლენა ამოხოცილიყო* — პედაგოგი პესტა-
 ლოცცი, ეგ შვეიცარიის საქები შეილი *)
 და ყმაწვილების აღზრდისათვის მშრომე-
 ლი და მომკმედი კაცი, რაკი ყმაწვილე-
 ბის აღზრდას მან ხელი მოჰკიდა ციურიხის
 კანტონში, მუდამ იმას სცდილობდა, რომ
 ბავშვების შკოლები ეკკლესიის განვლეთისაგან
 გაეთავისუფლებია* იმ დროს პესტალოცის
 ერთობ მცირე პარტია ყავდა, მაგრამ მან ამ
 მცირე პარტიით და ლიტერატურული ომით
 საქმე იქამდის მიიყვანა, რომ 1832 წელში
 თავის სახალხო განათლების კანონების და
 შკოლების ორგანიზაციის პროექტი გაიყვანა.
 ეს პროექტი სრულებით აცილებდა შკოლას
 და ყმაწვილების აღზრდისათვის ეკკლე-
 სიის მზრუნველობას და ამ უფლებებებს ანიჭებდა
 სამოქალაქო გამგეობას* (ამ დროსვე პესტა-

*) პედაგოგი პესტალოცცი დაიბადა 1746 წ.
 ციურიხში.

ლოცვის ცდით) გამოიკა კანონი ვალდებულე-
 ბითი სწავლისა, რომელიც ამჟამათ არსებობს
 შვეიცარიაში. — მაგრამ ამ სანატრელმა ცელი-
 ლებამ დიდ ხანს ვერ მოიღვა ფეხი ციურიხის
 კანტონში; 1839 წ. კლერიკალებმა მაინც თა-
 ვისი მოიტანეს — შკოლებში ეკლესიას უფ-
 ლება მიანიჭეს. დიდხანს არც ამათ გაუხარიათ;
 არც ერთ ათს წელიწადს არ გაუფლია, კლერ-
 რიკალების ადგილი ისევ ლიბერალებმა დაი-
 კავეს; შემდეგ 1859 წელს გამოხსცეს ისეთი
 ახალი კანონი, პირველი კანონების პრინციპებ-
 ზედ დამყარებული, რომელიც აქამდისინ წარ-
 მოებს ციურიხის კანტონში და რომელის გა-
 მოცელოც ან ხელ ახლავ კათოლიკების გამარ-
 ჯვებას დიდი ცდა და სასჯელი უნდა, რადგანაც
 ეს კანონები დემოკრატიულს — და მაშასადამე
 ხალხისგან პატივცემულს საფუძვლებზე არის
 დამყარებული.

ახლა ხანად, როდესაც ბისმარკმა პრუსიი დამ-
 იეზუიტები გამოარეკა, შვეიცარიის კავშირი
 შეშინდა, ჩვენს სამშობლოში არ გადმოვიდ-
 ნენო, და სასტიკი კანონი გამოხსცა, რომლი-



თაც შვეიცარიის ტერიტორიაზე არამც თუ
 ესპობოდა იეზუიტებს ცხოვრებას, არამც
 ფენის შემოდგმაც. — თუმცა ამისთანა სიძუ-
 ლეილი და ამგვარი გაუწყნარებელი ბრძოლა
 სუფევდა და სუფევს თუ მართებლობას და
 კათოლიკებს შუა და თუ ორს პარტიას დე-
 მაკრატებსა და კლერიკალებს შუა შვეიცარიაში,
 მაგრამ იეზუიტები და კათოლიკები კიდევ
 თავს იმაღვენ შვეიცარიის დაბალ ხალხში
 და როდესაც საქმე ხალხის განათლების კან-
 ნონების გრდათვალთქრებაზე მივარდება,
 ისინი, როფორც სოკოები ნაწვიმარზე, აქა-
 იქ თავს ყოფენ და თავის სიტყვებით და
 ქადაგებაებით კიდევ პოულობენ ხალხზე განე-
 ლენას. — აი მე რას ვიწერებოდი "მარშან
 დროებაში" ციურიხიდან, როდესაც ამ მოხ-
 სენებულ კანტონში ხალხს კენჭი უნდა ეყა-
 რა ახლად შეცვლილ სახალხო განათლების
 კანონებზე; ხალხი მეტადრეა აღელვია იმ ცელი-
 ლების მოხდენამ ძველ კანონებში, რომლის
 ძალითაც ელემენტალურ სასწალებლებში სამ-

ღეთო წერილის სწავლა უნდა მოხდეს მოსპობილი-
 ყო. მეხუთე კლასამდის სამღვთოა და წერილობრივ
 ემაწვილს სიტყვაც არ უნდა ჩასწვეთებოდეს
 ყურში; მხოლოდ მეხუთე კლასიდან უნდა
 დაწყებულიყო ამის სწავლა და მაშინაც მღვ-
 დლებს, ან როგორც აქ ამათ ეძახიან, „შეარ-
 ცებს“ (შაეებს), მხოლოდ განსაკუთრებით
 შემთხვევაში მიეცემოდათ მასწავლებლის
 ადგილი. ახალი კანონის ძალით, „კანტონის
 რჩევაზე“ იყო მიხედობილი, რომელი წოდების
 იქნებოდა მასწავლებელი და ის ძლიერ სარ-
 წმუნოა, რომ სასულიერო წოდების კაცს
 ძნელათ მისცემდა მასწავლებლის ადგილს,
 რადგანაც იმათზე, როგორც ბევრს აქაურებს,
 ძრიელ ცუდი აზრი აქვთ შედგენილი
 ბავშვების აღზრდის საქმეში. — სასულიერო წო-
 დების განვლენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა
 ხალხზე ეხლანდელ კენჭის ყრაშიაც, მაგ.
 მთელმა ერთმა ციურიხის კანტონის მაზრამ,
 „ერთ ხმათ“ რამდენიმე ათასმა კაცმა თქვა
 უარი ახალს კანონებზე. ესენი აი რითი ამარ-
 თლებდნენ თავის მოქმედებას: „ჩვენ არ გვი-

და, ანობდნენ ისინი — შივილოთ იმისთანა ახალი კანონი, სადაც აღკრძალულია, როგორც შეილებს პირველ დაწყებითს სასწავლებლებში სამღვთო წერილი ასწავლონ! ჩვენ არ გვინდა იმისთანა კანონები, რომლის ძალითაც ჩვენს შეილებს ესპობათ გაიგონონ სწავლა რომელიც არის თავიცი და ბოლოც ყოველ გვარი სწავლისა“. არ ეგონოს მკითხველს, რომ ახალი კანონის შემადგენელი და იმისი მომხრენი მართლა ამ აზრით სპობდნენ პირველ დაწყებითს სასწავლებლებში სამღვთო წერილის სწავლას. ამათ ის ქონდათ მხედველობაში, რომ ყმაწვილების მცირე-წლოვანობით მღვდლები — მასწავლებლები — სარგებლობდნენ და ისეთს რამეებზე კადაგობდნენ, რომელთაც სრულებით არაფერი დამოკიდებულება არ ჰქონდათ ნამდილო კრიტიკეს და საზოგადოათ სამღვთო წერილის სწავლასთან.“ — შემდეგ იმავე წერილში ვახზობ: „აი რითი ხელმძღვანელობდნენ ახალი კანონის შემადგენელი, როდესაც მეხუთე კლასიდან ნიშნავდნენ სამღვთო წერილის სწავლას, იმ დროდ-

გან, როდესაც ყმაწვილები მომზადდებულნი და
 გონება-გახსნილნი იქნებოდნენ, რომ ^{ამ} ^{საკ-}
^{მისათვის}, შექლებისა დაგვარად, კრიტიკულის
 თვალით შეეხედნათ და ამ გვარად მოტყუე-
 ბულნი არ დარჩენილიყვნენ, როგორც ეს
 ადვილათ შეიძლებოდა მომხდარიყო უფრო
 დაბალ კლასებში. — მაგრამ ხალხმა ამ საფუძ-
 ელიან საბუთებს ყური არ ათხოვა და ეს კანონი
 ხმის უმეტესობით (40,208 — 16231) უარჰყო.*)

აქვე მოვიყვან ქენევის სახელმწიფო რჩე-
 ვის ერთი დეპუტატის სიტყვას, წარ-
 მოთქმულს 1872 წ. იმდროს, როდესაც ამ
 კანტონისათვის ახალი სახალხო განათლების
 კანონს სცემდნენ: „იმ აღზრდას, რომელიც
 ჩვენს ყმაწვილებს ეძლევა, სხვა და სხვა „სა-
 სულიერო საზოგადოებისაგან“ არ შეუძლია,
 ჩვენ დაგვიზარდოს სანატრელი მამულის შეი-
 ლები და რესპუბლიკანელები. ამ „საზოგადო-
 ების“ მიზანი ის არის, რომ მგრძნობიარე;

*) „დროება“ № 17 1872 წ. ციურხილამ კორ-
 რესპონდენტია.

ყოველი მხატვ შთაბეჭდილებისათვის მზა გონებიანი და იმ რწმუნების მქონე მამულის შეილები გამოგვიზარდონ, რომლებიც შემდეგ იქადაგებენ, რომ ყოველი სამოქალაქო საქმე და მოქმედება ეკლესიას უნდა ექვემდებარებოდეს. ვაი იმ ხალხის ბრალი, რომელშიაც უმეტესი ნაწილი მისი წევრებისა ამნაირი რწმუნებისანი არიან!.. მხოლოდ ერთილა საშუალება გერჩება: ჩამოვართვათ უფლება ყმაწვილების აღზრდისა ამ „სასულიერო საზოგადოებებს!“...

ამ „დროებიდამ“ მოყვანილი სიტყვებით, და ჟენევის „სახელმწიფო ჩრევაში“ ერთი დეპუტატის წარმოთქმული სიტყვით, მის მინდა ეთქვა, რომ თუმცა საზოგადოთ შვეიცარიის კაეშირმა და ცალ-ცალკე მისმა ზოგიერთმა კანტონებმა კი იხმარეს საშუალება კათოლიკების და იეზუიტებისაგან თავის დახსნისა და მათი განვლენის მოსპობისთვის ხალხში, მაგრამ ამ გვარ საშუალებებს ბევრი სარგებლობა, როგორც ხედავთ, არ მოუტანია, განსაკუთრებით იმისთანა კანტონებში, რომლებ-

შიაც უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა კათოლიკები არიან, როგორც მაგარაფრაფრაში, ცუგში, შვიცში და კიდევ ერთ-ორში. ის დევიზები, ერთი რომ: „მიზანის მიღწევა ყოველ საშუალებებს ამართლებს“ და მეორე „როდესაც ხატზე ჰფიცავე, რაც გიბრძანონ ის შეჰფიცე, ოღონდ გულში კი სხვა თქვი და იქონიე“ — ამ დევიზებით, ეანბობ, მეტადრე იმისთანა ხალხში, როგორც დაბალი ხალხია, თავის მომხრეებს და განვლენასაც ყოველთვის პოულობენ...

შედგვი ამისა კი ის არის, რომ ახალთ-ახალი შთამომავლობა ფუჭდება და ირყენება. — ამისთანა შედეგი აქვს მათ არსებობას რამდენიმედ ბელგიაში, ჰოლლანდიაში, ესპანიაში და საფრანგეთშიაც. — განა ბისმარკის სასტიკმა კანონმა კი განათავისუფლა გერმანია იესუიტებისაგან!!...

წერილი მესამე.



შეუდგეთ თვითონ დაბალი შკოლების ორგანიზაციას და მათში სწავლის პროგრამის აწერას.—მკითხველისათვის რომ ეს ნაწილ[?] ჩემი წერილისა ადვილი გასაგები იქმნეს, ვილაპარაკებ მხოლოდ ცოურიხის კანტონის დაბალ ან ელემენტალურ შკოლებზედ. იქი-
დამ შეიძლება, როგორც თითქმის მთელი შვეიცარიის, ისე განსაკუთრებით ნემეცური კანტონების შკოლების ვითარებაზე კაცმა სრული აზრი შეადგინოს; რაც შეეხება კი იმ განსხვავებას, რომელიც პროტესტანტულ და კათოლიკების კანტონებს შუა სუფევს შკოლების მხრით, იმაზე ზევით ვამბობ. *)

დაბალი ანუ სახალხო შკოლები ციურიხის კანტონში განიყოფება ორ ნაწილად:

- 1) პირველი ნაწილი იქნება პირველ დაწყები-

*) ამ წერილისათვის მასალას ნაწილად ვიღებ ჟ. Al., Molnar-ის თხზულებადამ „Pädagogische studien in der Schweiz und in Bayern 1871.“

თი სასწავლებლები (Primarschule) 2) შეო-
რე წყები საანუ სახალხო მაღალი შკოლები
(Secundar od. höhere volksschule).

პირველ დაწყებითი სასწავლებლებში სწავ-
ლა გრძელდება ექვსი წელიწადი. ყოველი მა-
მა ვალდებულია თავისი შვილი, ვაჟი, თუ
ქალი, რაკი მას ექვსი წლის შეიქნება,
ამ სასწავლებელში შეიყვანოს, რომელშიაც
ის ექვსა წელიწადი რჩება.—ექვსი წლის შემ-
დეგ თუ ყმაწვილს ან მის მამას არ სურს,
რომ ყმაწვილმა სწავლა სახალხო დაბალ სას-
წავლებელში (შეორე წყებისა) განაგრძოს, ის
ვალდებულია სამი წლის განმავლობაში და-
მატებითს შკოლაში (Ergänzungscurs) სიარუ-
ლის გარდა, კვირაში ერთხელ მაინც საგალო-
ბო შკოლაში იაროს, რომ საეკლესიო და
ნაციონალური გალობა და სიმღერები ნო-
ტების შემწეობით შეისწავლოს.

ეს ექვსი წელიწადი პირველ დაწყებითს
სასწავლებელში კიდევ ისეა განაწილებული,
რომ პირველი სამი წელიწადი შეიცავს ელე-
მენტალურ სწავლას, როგორც წერას, კითხვას,

თვლას, და სხვ. და მეორე სამი წლის განმავლობაში კი ყმაწვილს აძლევენ, თუშტუცხვევ ელემენტალურად, მაგრამ მაინც უფრო მკვდრათ გამოკვლეულ რეალურ სწავლას. — სულ კი ამ ექვსი წლის კურსს შემდეგი საგნები შეადგენენ: სამღვთო წერილი — პატარა ღოცების ზეპირობით და მათი გალობით (იშისთანა ღოცებისა კი, რომელნიც სამასწავლებლო რჩევისაგან ნებადართულნი არიან) შვეიცარიული, ნემეცური ენა, რომელიც აქ დედა ენათ ითვლება, არითმეტიკა და გეომეტრია, ბუნებითი მეცნიერება, ისტორია, გეოგრაფია (მიწის აღწერა) ციურიხის კანტონისა, გალობა, სიმღერა, წერა-კითხვა, ხატვა და გიმნასტიკა ანუ ტანის სხვა და სხვა გვარი წერთნა, — ქალებისათვის ამ საგნებს გარდა — კიდევ ხელ-საქმარი — ყველა ამ საგნებისთვის არის შედგენილი, (ერთს წიგნში) სახელმძღვანელო, რომელშიაც მცირე-წლოვანი ყმაწვილებისთვის ადვილ გასაგებათ, თითქმის ყოველი საგნები კითხვით და მიგვებით არის გამოთქმული.

პირველი წელაწადი ყმაწვილები ხელთნაწერის კითხვით და წერტილსა სმენას და ენას იწრთენიან; აჩევეენ მათ ხშირად და ხმამაღლა ხმოვანთ და უხმო ასოების გამოთქმას და უბრალოდ, მაგრამ გასაგებათ უხსნიან სხვა და სხვა გვარ მდებარეობაში მყოფთ ხაზების ვითარებას, როგორც—სწორის, ბრუნდის, პირდაპირის, დაწოლილს და სხვ.—ამის შემდეგ ყმაწვილი, მეორე წელიწადს, პირველად ხედავს დაბეჭდილ ასოებს და იმათ შემწეობით იმეორებს, თუმცა ცოტა დამატებით, იმას, რაც იმას პირველწელიწადს უსწავლია.—მესამე კლასში ანუ მესამე წელიწადს ყმაწვილებს თვალის წინ მდებარე უბრალო კლასის ნივთების ანუ საგნების აწერას აჩევეენ და პატარ-პატარა წინადადების გამოთქმას. ამითი თავდება პირველი სამიწლის განმავლობაში სწავლა და ამის შემდეგ ყმაწვილი პირველ დაწყებითი სასწავლებელის რეალურ განყოფილებაში ითვლება. ამ განყოფილებაში უპირატესი ყურადღება დედა ენაზეა მიქცეული, რომლის

სწავლა კითხვაში წაკითხულის დასწავლა და
 თავის სიტყვებით თქვაში მდგომარეობაში
 მიზნისათვის მასწავლებელი ვალდებულია,
 რომ მასალა დედა ენის შესასწავლებლად
 უმთავრესად ბუნებითი მეცნიერებებში, გეო-
 გრაფიიდან და ისტორიიდან ამოჰკრიფოს. —
 ამასთანავე ყმაწვილებს უხსნიან დედა ენის
 გრამმატიკის ელემენტალურ კანონებს და
 თავის სიტყვით პატარ-პატარა წინადადების
 შედგენას* გარდა დედა-ენისა ამ განყოფილე-
 ბაში შემდეგ საგნებს გადიან.

1) ა რ ი თ მ ე ტ ი კ ი დ ა მ. — რიცხვების
 ოთხს პირველ წარმოებას: შეკრებას, გამოკ-
 ლებას, გამრავლებას და გაყოფას ანუ განა-
 წილებას; ნაწილაეების ანგარიშს, როგორც
 მთელის ნაწილისას მაგ. რა არის ნახევარი ($\frac{1}{2}$)
 მესამედი [$\frac{1}{3}$] მეოთხედი [$\frac{1}{4}$] ორი მესამედი
 $[\frac{2}{3}]$ და სხვ. და მათ ისევე არითმეტიკულად
 პირველი ოთხი წესით წარმოებას.

2) გ ე ო მ ე ტ რ ი ი დ ა მ. ელემენტალურად
 სამკუთხიანი და ოთხ-კუთხიანი სხეულე-
 ბის აწერას და ანგარიშს ხის ფიგურებზე. —

3) გეოგრაფიი დამ (მეორე წელიწადს, ანუ რეალურ განყოფილებების პირველ კლასში) იმეორებენ იმას, რაც პირველ სამ წელიწადს უსწავლიათ. პირველ, გაცნობა გეოგრაფიული კარტებისა; აწერა თავის სამშობლო ადგილისა, რომელ სოფელში ან ქალაქში დაბადებულა და იმ კანტონისა, რომელსაც მისი სამშობლო ადგილი ეკუთვნის.—მეორე კლასში პირველ დაწყებითი ცოდნა ფიზიკური და მატემატიკური გეოგრაფიი დამ, სადაც განსაკუთრებითი ყურადღება ხალხის შესწავლაზე და მათ სტატისტიკაზეა მიქცეული. მხოლოდ მესამე კლასში ან მეექვსე წელიწადს, როდესაც უმაწვილი თორმეტი წლისაა, ესმის უფრო მეტი მატემატიკური გეოგრაფიი დამ და ევროპის ხმელეთის საზოგადო აღწერა.

4) ისტორიი დამ სწავლა იწყება სკოლის ცხოვრები დამ ამოღებული სხვა და სხვა ცნობებით, და შემდეგ თითქოს შეუტყობლათ და უნებლიეთ უმაწვილი გარდადის თავის სამშობლოს-შვეიცარიის ისტორიაზე.—

აქედამ პირველ კლასში ყმაწვილს უამბობენ შემოკლებითი ხრონოლოგიური წესით შვეიცარიის ძველ დროის ისტორიას. სოფ. ნეფელთან *) ომამდისინ. — მეორე კლასში შვეიცარიის ძველს და საშუალო საუკუნეების ისტორიას ცალ-ცალკე ისტორიული პერიოდების ახსნით.

5) ბუნებითი მეცნიერებები და პირველ კლასში — ცხოველთ სწავლა, მეორეში — მცენარეთ და მესამეში — მანქანულ ებზედ.

ამ საგნებს გარდა პირველ დაწვებითი სასწავლებელის ელემენტალური განყოფილების მესამე კლასში ყმაწვილებს კიდევ ხატეას აწყებინებენ, რომელზედაც შემდეგ ამავე სასწავლებელის რეალურ განყოფილებაში განსაკუთრებით ყურადღებაა მიქცეული.

ზევით ვამბობ, რომ ამ ექვსი წლის შემ-

*) სოფ. ნეფელთან (Näfel) რომელიც გლარუსის კანტონშია, იყო შვეიცარიელების ომი (550 კაცი) ავსტრიელებთან (12,000 კაცთან) 1388 წელში.

დევ ყმაწვილს თუ არ სურს განაგრძოს სწავ-
ლა სახალხო მალალ ან მეორე წყობის
შკოლაში, მაშინ იმას სამი წელიწადი
კიდევ აქვს შემთხვევა დამატებითს შკო-
ლაში ისწავლოს. ამ დამატებითს შკოლაში
სწავლას ის მიზანი აქვს, რომ ელემენტალური
სწავლა, რომელიც ყმაწვილს პირველ დაწყე-
ბითს სასწავლებელში შეუძენია, რამდენიმეთ
შეავსოს და მათში შთაბეჭდიტოს. — იმეორე-
ბენ ყველა წინეთ გავლილ საგნებს და გარ-
და ამისა, რადგანაც ძრიელ შესაძლებელია,
რომ რომელიმე შეგირდმა, ამით შეასრულოს
თავის სწავლა, მასწავლებლის ყურადღება
იმისთანა საგნების სწავლაზე მიქცეული, რომ-
ელიც ყმაწვილს შეუძლია პრაქტიკულ ცხოვ-
რებაში გამოიყენოს. სხვა საგნებთ შორის
მაგ. ამ დამატებითს შკოლაში ერთეება კიდევ
ვაჭრული ანგარიშის სწავლა და სხვ.

ამ ექვსი წლის შემდეგ თორმეტი წლია
ყმაწვილი გადადის მაღალს ანუ მეორე
წყობის სახალხო შკოლაში -- Die

höhere volksschule od. secundarschule). ამ განყოფილებაში შესაწავლებელი საგნების ჩამოთვლით დაეინახეთ, რომ ამაში ისევე იმ საგნებს გადიან, რასაც პირველ დაწყებითს სასწავლებელში, მაგრამ უფრო ვრცლათ და შევსებულად; მაშასადამე ამ განყოფილების მიზანი, როგორც სახალხო განათლების კანონშიაც ნათლათ არის გამოთქმული, ის უნდა იყოს, რომ ყმაწვილებს, ამ სკოლის შესრულების შემდეგ, უფრო მაღალს ან საშუალო სასწავლებელში სწავლის განგრძობა შეეძლოთ.

ამ სახალხო მაღალ სასწავლებელში სწავლის კურსი გრძელდება სამი (3) წელიწადი; ვალდებულებითი საგნებს შეადგენენ შემდეგი: საზღვითი წერილი და ზნეობაზე სწავლა, ნემეცური და ფრანკუზული ენები, ანგარიში, (Rechnen) გეომეტრია პრაქტიკული მუშაობით, გეოგრაფია და ისტორია და სამშობლო მართებლობის წყობილები, ბუნებითი მეცნიერება, რომლის სწავლის დროს განსაკუთრებით ყურადღება მიქცეუ-

ლია ოჯახობაზე და მის სხვა და სხვა ხელო-
ბაზე; გალობა, ხატვა და ლამაზი წერა; გიმ-
ნასტიკა, რომელთანაც ერთად იარაღის
ხმარების სწავლა შეიძლება იყოს ზოგი-
ერთ ამგვარ სასწავლებელში. — როგორც ხე-
დაეთ ამ ჩამოთვლილ საგნებში მარტო ფრან-
კუზული ენა და ზოგიერთ შკოლებში გიმ-
ნასტიკასთან ერთად იარაღის ხმარების სწავ-
ლაც შეგვხვთა მეტი. დანარჩენი ისევ ის საგ-
ნებია, რაც უწინ ექვსი წლის განმავლობაში
გაუვლიათ ყმაწვილებს. უფრო დაახლოებით
გაეცნოთ ამ ჩამოთვლილი საგნების პრო-
გრამა.

1) ნ ე მ ე ც უ რ ი ე ნ ი დ ა მ: კითხვა და
წერა ამ ენაზე; წაკითხულიდამ პროტური და
პროზული ადგილების ახსნა და ამ უკანასკნე-
ლი ფორმების უმთავრესი კანონებისა, რომ-
ლის შემდეგ ყმაწვილს უკანასკნელ წელი-
წაღში — ე. ი. როცა ის 15 ან 16 წლისაა, აცნო-
ბებენ საუკეთესო მწერლებს და პოეტებს. —
გრამმატიკული კანონები ენისა და მათი პრაქტი-
კულათ მიფარდება წერის და კითხვის დროს;

თავის სიტყვებით გარდაცემა და თან უბრა-
 ლო თხზულებების წერა რომელიმე წესით-
 ხული ან შესწავლილი საგნიდამ. — თხზულებების წერის დროს მასწავლებლის ყურად-
 ლება მიქცეულია იმისთანა შრომაზე ან სა-
 განზე, რომლებიც ყმაწვილებს შეიძლება
 პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოადგეთ, მაგ. სხვა
 და სხვა პირობების შეთხზვა, ანგარიშების
 და ობლიგატების შედგენა, სასამსახურო თხოვე-
 ნების წერა და სხვა. ამ გეარ შრომას ის და-
 ნიშნულება აქვს, რომ, როგორც მკითხველმა
 იცის, ამ სახალხო მაღალი სასწავლებელით
 თავდება შვეიცარიაში ვალდებულებითი სწავ-
 ლა (12წელიწადი) და ძრიელ შესაძლებელია,
 რომ დედ-მამამ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო
 თავის შვილი სხვა მაღალ სასწავლებელში
 აღარ შეიყვანოს და ამ თორმეტი წლით დაა-
 სრულებინოს იმას სწავლა, მაშინ ეს სახალხო
 შკოლებიდან გამოყოლილი პრაქტიკული
 ცოდნა საშუალებას აძლევს იმას, რომ მან
 ან ეპრობას მოჭკიდოს ხელი, ან ოჯახობას,

ან სადმე სამსახურში შევიდეს და ან რომელიმე კანტორა გახსნას.



2) ფ რ ა ნ ც უ ზ უ ლ ი ენიღამ: კითხვა და წერა ამ ენაზე: ამორჩეული პოეტური და პროზული თხზულებების ენის ფორმები, ფრაზების ეტიმოლოგიური და სინტაქსური გარჩევა..

3) ა ნ გ ა რ ი შ ი: პირველ წელიწადს განმეორება იმის, რაც ყმაწვილებს პირველ დაწყებითს სასწავლებელში გაუვლიათ; შემდეგ პირველი ოთხი უმთავრესი წესით წარმოება ასოებით ანგარიშისა ან ალგებრისა (შეკრება, გამოკლება, განმრავლება და გაყოფა.)

4) გ ე ო მ ე ტ რ ი ი დ ა მ — შესწავლილის გამეორების შემდეგ გადიან პლანიმეტრიას და სტერეომეტრიას, პრაქტიკული მუშაობით — (მინდვრების ან „მაღლობის“ ზომვა ჯაჭვებითა).

5) გ ე ო გ რ ა ფ ი ი დ ა მ — სპეციალური გეოგრაფია შევიცსრიისა და უმთავრესი საფუძვლები მათემატიკური გეოგრაფიიდან.

6) ი ს ტ ო რ ი ი დ ა მ — პირველ ორს წელი-

წადს საერთო ან საზოგადო ისტორიიდან უმთავრესი ადგილები და უკანასკნელად — წელიწადი შეეცარიისა —, რომელიც შეეცავს რეფორმაციის შემდეგ ეპოქას.

7) ბუნებითი მეცნიერებები და მპირველი წელიწადში გადიან საზოგადოთ მცენარეთ და ცხოველთ სწავლას; მეორე და უკანასკნელ წელიწადებში კი უბრალო ფიზიკურ კანონებს; შემდეგ ორგანოვანი და უორგანო სხეულების (Stuff) ხიმიკურ თვისებებს, ისე რომ ერთის მხრით როგორც ცხოველეების ცხოვრების წარმოებას და მათ სხეულის შემადგენელ ნაწილებს, ისე მეორეს მხრით — აქედამ წარმომდგარ უმთავრეს ცოდნას ოჯახობისას და სხვა და სხვა ხელობების ვითარებას და სარგებლობას ეცნობიან.

ერთი კვირის განმავლობაში ყველა საგნების საათების ჩამოთვლის მაგიერ მოვიხსენიებ მარტო სამის საგნისას — სამღვთოწერილისას, რომლისთვის ორი საათია კვირაში დანიშნული, სამშობლო ენისათვის 5 -- 7 ს-მდის და

გამნასტიკისათვის ს—მ საათამდის კერა-
ში.—ეთხოვ მკითხველებს, რომ მათ ში-
კციონ უურადლება პირველი და უკანას-
კნელი საგნების საათის განაწილებობზე ან
სწავლის დროზე.

ყოველ კლასს, რომელშიაც 35 შეგირდზე
გადამეტებული რიცხვი არ არის, უნდა თაღის
საკუთარი მასწავლებელი; თუ ამ რიცხვზე
მეტია, მაშინ ამ მეორე წყების შკოლის, მზრუ-
ნველი საზოგადოება, რომელიც ამისთანა
შკოლასთან არსებობს, ეალდებულება მასწავ-
ლებელს თანაშემწე მიუჩინოს; თუმცა შეგირ-
დების რიცხვი 50-ამდის აღის ერთს კლასში,
მაშინ შკოლის მთაფრობა ეალდებულება პა-
რალელური კლასი გახსნას მასთან.

1859 წ. ხალხის განათლების კანონის და-
ლით, ყოველი კანტონი დაყოფილია ამ მეო-
რე წყების შკოლების მზრებათ და მათი
რიცხვი, რომელიც კანტონიც უნდა იყოს, 60-ს
ვერ გადაამეტებს; ნაკლები კი კანტონის სი-
ლარიბეზე ჰკიდია.—თუ ამისთანა მაზრაში 15
კმაწვილი მოიძებნება, რომელთაც პირველ-



დაწყებითი სწავლის შესრულების შემდეგ სურათ კიდევ სამი წელიწადი სახალხო საწავლებელში სწავლა განაგრძონ, მაშინ ყველა ამისთანა შკოლების მზრუნველ საზოგადოებას შეუძლია, თავის მაზრაში შკოლისათვის სახლი გამართოს და მისი ყოველ გვარი მატერიალური და ზნეობითი შემწეობისათვის იზრუნოს. თუ რომელიმე მაზრაში შკოლის გახსნის შემდეგ მოსწავლეთა შეგირდების რიცხვი თან და თან კლებულობს ესთქვათ ბ-მდი ჩამოდის, მაშინ ამისთანა მაზრა და მისი შკოლის მზრუნველი საზოგადოება ცდილობენ, თავისი შკოლა მეორე მეზობელს მგზავს საზოგადოების შკოლას შეაერთონ. უკანასკნელი წლების სტატისტიკური ცნობების უკონლობის გამო იძულებული ვარ მოვიყვანო 1868 წ. ცნობები ციურიხის მაღალ სახალხო შკოლებზე. აქედამ სჩანს, რომ იმ წელში ციურიხის კანტონს 60 მაღალი სახალხო შკოლა ჰქონია, რომლებშიაც 88 მასწავლებელი და 2313 მოსწავლენი ყოფილან.

როგორც სპეციალურად ამ შკოლებისათვის დანიშნულ საზოგადოებას, ისე თავად ბოსტონის მართებლობას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ამ შკოლების გამართვაზე, ეს უკანასკნელი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ შკოლა ყოველის მხრით აკმაყოფილებდეს გონიერს ყმაწვილების აღზრდას და პედაგოგის და გიგიენის მოთხოვნილებას. მართებლობა სცემს პლანს შკოლის შენობისას, არჩევს იმისთანა ადგილს, სადაც შენობის გარდა იმასთანავე თავისუფალი ადგილი იქმნეს, რომ ყმაწვილებმა ბოსტანი ან პატარა ბაღი თავათ გააწყონ და ამ რიგათ პრაქტიკულად მიწის მუშაობას აქედამვე შეეჩვიონ; არჩევს მასალას, რითაც შენობა უნდა აშენდეს, საზღვრავს ოთახების სიმაღლეს, სიგანეს მათ რიცხვს, ფორმას და სხვ. არამცთუ შკოლის შიგნითი მოწყობილება იზიდავს პატარა ყმაწვილის გონებას და სწავლაში ახალისებს მას, არამედ გარეგანს შეხედულობასაც კი ამშვენებენ და რთავენ სხვა და სხვა მცენარეებით და ყვავილებით. შვეიცარიის ყმა-

წვილები, როგორც ქალაქში, ისე სოფლებშიც, ერთობ შეჩვეულნი არიან შკოლისთვის. მუდამ ლამაზს და დიდს შენობის ყურებას და შიგ სწავლას. როდესაც ისინი სხვა სახელმწიფოების ქალაქში შედიან, იქ ყველა ლამაზი შენობა შკოლები ჰგონიათ. — დიკსონი თავის თხზულებაში „Die Schweizern“ ამბობს, რომ ერთს შვეიცარიაში გაზდილ ყმაწვილს სწორეთ ისე დამართია, როდესაც ის პარიჟში შესულა და ტაულერის სასახლე დაუნახაე, მამას ეძახის თურმე: „აი, მამა, რა მშვენიერი შკოლა ყოფილა აქ!..“ *) შკოლაში ყოველთვის არის რამდენიმე ოთახი შკოლის ინსპექტორის ან რომელიმე მასწავლებელის სადგომათ მიმატებული.

ხშირათ მოხთება ხოლმე იმისთანა მაზრა გამოინახოს, რომელსაც შეძლება ნებას არ აძლევს, რომ გამართოს იმისთანა შკოლა როგორსაც მისგან სახალხო განათლების კანონი თხოულობს. ამისთანა მაზრისათვის, თუკი ის ითხოვს, მართებლობა ყოველთვის

*) ეს ამბავი 1870 წინა წლებს ეკუთვნის.

სასტიკათ ეპყრობა მართებლობა და სამასწავ-
ლებლო რჩევა ამკერძო პირებს შკოლისგანსწ-
ში, მაგრამ შემდეგ ნება დართვისა, ისინივე მათ
ყოველის მხრით ხელს უწყობენ და ეხმარე-
ბიან, მაგიერს უხთიან „საზოგადო საქმეში“
დახმარებისათვის.

იმავე 1868 წ. შეკრებილი სტატისტიკური
ცნობებიდამსჩანს, რომ ამ წელში ციურიხის
კანტონში ყოფილა 19 კერძო შკოლა, 64
მასწავლებელი და 520 შეგირდები. უმეტესი
ნაწილი იმათგანი საქალბო და ობლებისა-
თვის შკოლები ყოფილან. გარდა ამისა 43
სხვა და სხვა სახელესნო, სახატაუი და „დამა-
ტებითი“ შკოლები იმ ყმაწვილებისათვის,
რომელთაც რომელიმე მიხეზით შკოლა მიუ-
ტოვებიათ.

ის კერძო შკოლა, რომელისაც უფრო
დაახლოებით მინდა აწერა, არის უფ. ფრ.
ბეისტის შკოლა ციურიხში. ამის გაცნობას
შკითხველისათვის უფრო მეტი ინტერესი
იქმნის აქვს, რომ, როგორც ვთქვი, დღეს
ამ შკოლაში სამი ჩვენებური ახალგაზდა სწავ-

ლობს: ნაცელის შვილი (12 წლისა), ნიკოლაძე (12 წლისა) და ნიკიტინი (11 სა). თუ როგორ სწავლობენ ეს ყმაწვილები, ან რამდენათ სწავლაში წინ არიან, ყველა ამაზე ჩვენ ბევრი არა გვეთქმის რა გარდა რასაკვირველია კარგისა და სანუგეშებელისა. რასაკვირველია აზროვანი და საფუძვლიანი სწავლის შედეგია ის, რომ ერთი წლის განმავლობაში ორი ამ ყმაწვილებთაგანი (ნიკიტინი და ნიკოლაძე) მეორე კლასში ირიცხებიან და ერთიც (ნაცელის შვილი) მესამეში, მაშინ როდესაც დაწყებისას არც ერთმა იმათგანმა ჩემეცური ენა, როგორც ჩვენში იტყვიან, საყველ-პუროთაც არ იცოდა. მაშ წარმოიდგინე, მკითხველო, როგორი სწავლა უნდა იყოს ამ შკოლაში, როდესაც უნო ყმაწვილები ენასაც და თან ამ უცხო ენაზე სხვა საგნების შესწავლასაც ასწრებენ. ღმერთმანი, მადლობის და წაბაძვის ღირსნი არიან ამ ყმაწვილების პატივცემულნი მშობლები,

რომელთაც ამისთანა გზა უჩინეს თაერთ
 შვილებს და ყველაზე უფრო საქონლში ბრვე-
 ლი დაწყებითი სწავლის შეძენის საშუალება
 აქ მისცესთ მათ.

უფ. ბეიტის შკოლა ოთხ კლასიანია, რომ
 მელშიაც ყმაწვილები 14 ან 15 წლამდის ჩე-
 ბიან და შემდეგ გადადიან «კანტონის სასწავ-
 ლებელში» ან გიმნაზიაში. — ეს კანტონის
 სასწავლებელი ჩეენებურს, ან უკეთ რუსულ
 ორს სასწავლებელს უდრის კლასიკურს და
 რეალურსაც, რადგანაც იმაში ორივეს გან-
 ყოფილებაა. თავათ ბეისტა თავის პროგრამ-
 მაში ამბობს, რომ მის შკოლაში კურს-და-
 სრულებული ყმაწვილი, თუ მან რომელიმე
 საშუალო სასწავლებელში (გიმნაზიაში ან ქა-
 ლებისათვის ინსტიტუტში) სწავლა არ განაგ-

რძო, შეძენილ სწავლას ცხოვრებაში ვერ გამოაყენებსო, ამისთვის თავის შკოლებს მიზანს ასე ხატავს ის: „ჩემი შკოლის მიზანი არის, ვაჟები 14 ან 15 წლისანი მოამზადოს გიმნაზიებში სწავლის გასაგრძობათ და ქალები, ამ წლოვნობისეე, მაღალი ქალების შკოლისათვის, როგორც ინსტიტუტებისთვის და სხვ. საგნების პროგრამას არ ჩამოეთვლი, რადგანაც ის ბევრათ არ განსხვავდება ზემო მოყვანილი სახალხო შკოლების პროგრამიდან.

ამ შკოლასთან ერთად პანსიონიცაა გამართული, რომელიც ბეიტის მეუღლის მხედველობის ხელ-ქეით არის. წელიწადში სრული პანსიონერის შენახვა და სწავლის ფასიც არის 1600 ფრ. გარდა სრული პანსიონისა, იქ არის ნახევარი პანსიონიც, ე. ი. ყმაწვილები დილას მოდიან, სადილს აქ სჭამენ და საღამოს სწავლის შემდეგ ისეე შანბრუნდებიან. ეს ღირს მეოთხედს წელიწადში 100 ფრ. ეს უფრო შკოლაზე მოშორებით მდგური შევირდებისათვის არის დანიშნული.

შკოლაში სწავლის გარდასახადი კლასებზე არის განაწილებული, მაგ. პირველი კლასის მეგირდი არის სამს თვეში 25 ფრ., მეორე კლასისა — 30-ს, მესამეში — 40 და მეოთხეში — 50-ს ფრან. თუ ერთი ოჯახიდან ორი ან მეტი ყმაწვილია შკოლაში, მაშინ ამ სწავლის ფასს რამდენიმე პროცენტი აკლდება. მაგრამ ამასთან იმისთანა ყმაწვილებისათვის, რომელთაც ენა არ იციან, სწავლის ფასს ემატება ენის შესწავლამდის.

ერთი ახირებული გარდასახადია კიდევ შეგირდებზე ბეისტის შკოლაში. ეს გარდასახადი, 2 ფრ. წელიწადში, შემოაქვს ყოველ ყმაწვილს მეორე კლასში გადასვლისათანავე „სამგზავრო კასისათვის“ (Reise kasse). რა არის ეს „სამგზავრო კასა“ ან რა დანიშნულება აქვს მას?

მკითხველმა იცის რომ ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში, მარტო ოთახებში ან შკოლის შენობაში სწავლით კი არ განისაზღვრება, არამედ ყმაწვილები რამდენსაც თავათ შკოლაში სწავლობენ, იმდენს, თუ მეტს არა,

მინდორში ან რომელიმე გაშლილ ადგილზე იძენენ. — ყოველ შკოლას ორი ან ტრეტო დღე კვირაში ამორჩეული აქვს, როდესაც, თუ დარი იქნა, რომელიმე საგნის მასწავლებელი, განსაკუთრებით ბუნებითი საგნებისა, ისტორიისა ან გეოგრაფიისა, თავის შეგირდებს უყრის თავს და გადის ქალაქს გარეთ სოფლებში და აქ გაშლილ ადგილზე და წმინდა ჰაერზე შეგირდებთან ერთად ბურთაობით და თამაშობით უხსნის მათ იმ ბუნებითს მოვლენებს, რაც მათ თვალწინ ხთება. ყოველ გვარი ბუნების სიმდიდრე მათ თვალის წინ არის: არც მცენარეებისათვის და არც სხვა და სხვა ბუნებრივებისათვის მათ შორს სირბილი არ სჭირიათ. ყველაფერი იმათ თვალწინ ყვავის და მოძრაობს. ყოველ შეგირდს ამ ექსკურსიებისათვის აქვს თავის საკუთარი ქვების მწვანე ბოხჩა, რომელსაც სამგზავრო პურით, ყველით და ხორციით გატენის და შინ დაბრუნებისას კი მათ მაგიერ იმავე ბოხჩით თუ მცენარეები და თუ სხვა და სხვა ბუნებრივები და მანდნეულობა მოაქვს შინ და მათზე მინ-

ორში მასწავლებლისაგან შექმნილ
 ნას იმეორებს. ხშირად მასწავლებელი
 ლიდამ სალამომდი მიდის თავის შეგირდებ-
 ბით ექსკურსიების გასაკეთებლათ პარახო-
 დით ან რკინის გზით მახლობელ ქალაქებში.
 ამგვარ ექსკურსიებს, როგორც სამასწავლებ-
 ლო რჩევა, ი'ე ბეისტის, უყურებენ ყმაწვი-
 ლების სწავლაში წასახალისებელ, განმაცხო-
 ვებებელ და გასართველ საშუალებათ, აი ამი-
 სათვის აქვს ბეისტს დანიშნული ეს ახირე-
 ბული გარდასახადი, რადგანაც იმის შკოლა
 კერძო შკოლაა და სხვა და სხვა პარახოდის
 და რკინის გზის კომპანიებისაგან პრაქტიკული
 არ აქვს ამ გვარ ექსკურსიებისათვის დანიშ-
 ნული.

ი. — ი.



ქართული
საქმიანობა

გლახური სიმღერები

(ილ. ჭავჭავაძის შეკრებილთაგანნი)

I

დავბერდი, მშვილდი ძირს დაედე, მალლა მთაშია ძევს
სადმე,
დაღებება, ალუა აჰსძერება, არ მიადგება მზე სადმე.

II

როსტომ მსთქვა, სიბერეცაცითა სიტყვა სათქმელად გაქირდა,
ჯაქვის პერანგი გავცვიოთ, ეხლა აღებაც გაჭრდა.

III

პატრონ თქვა: ხმალო, გაგყიდი, ვაჭარი ამიჩენია!
მალმა თქვა: პატრონ, რათ მყიდი? რა წუნი შაგინნევი ა?
მამიკლავს შენი მამკვლეული, სხვა რა დამიშავებია?!

IV

ლაშარის ჯვარს, კიღია ლაღის ჯურზაის ფარია,
მოუვლის ომის სურვილი, ხანდისხან შეჰსძრავს ქარიო.



ქართული
 ენციკლოპედია

V

თუმი ვარ, მაგრამ კარგი ვარ, ნუ მყურობ ტალავარზედა;
 დავჭკრავ ფეხს, გადავეარდები ბახტრიონ-გალაფანზედა,
 ხუთიც ვერ მოგვლა ხმალი და ხმალი, გამცვალეთ კახის
 ქალზედა.

VI

რასაც კაცსა ღმერთი მსწყალობს, ერთიც არ დაუკენესია
 მოსავალი მით მოხელია, თუნდ კლდეზედ დაუთესია,
 ხმალიც გაუჭრის დალაბრა *), თუმცა არ გაუღესია.

*) ჩლუნგი.

სიმღერა.



დაგვიზამთრდა, სუსხმა დაგვჭკრა,
ტყბილ-ტაროსი შეგვეცვალა
და უწყალო ქარიშხალმაც
აორკეცა თვისი ძალა!...

ვინც თვისტომის ტყავისგან
შეიკერა ქურჭი თფილი,
მას სიცივე ვერას ავნებს
და ცხოვრებაც ელის ტყბილი.

მაგრამ რა ქნას, ვისაც ამ გზით
არ უკერავს სამოსელი,
სიცივე რომ შიადგება
და შიმშილი კუჭის მწველი.

ჰსჯობს მიჭბადოს იმან მერცხალს:
სიცივეს თუ შეუშინდეს,
გაეშუროს დასაელეთით,
ფრთა გაშალოს, გადაფრინდეს.



ქვემოთაა
საქართველოს
ხალხური მემკვიდრეობის
სამართავი

საზრდო მისცეს სულსა და გულს
 მით სურვილი დაიმწიფოს;
 და როს ზამთრის შეუპოვრათ
 თვისი ღონე მოიკრიფოს,

მაშინ ისეც გადმოფრინდეს,
 აქიკვიკდეს ვით მერცხალი,
 რომ სხეებშაც სთქვან: „გაზაფხული
 ახლო არი მომავალი!“

დე, დაზამთრდეს, სუსხმა დაგვეკრას,
 ქარიშხალმაც გვბეროს ევლით,
 ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
 თუ გაზაფხულს კი მოველით.

აკ. წერეთელი.



ისე არა შეჯავრებარა, როგორც დაღვრე-
მილი სახის ადამიანი. როგორღაც გულიდამ
სიხარულის საბწყინვალეს გადამიყრის ხოლ-
მე და მწუხარების ღრუბელს მომახვევს. მე
სიკოცხლე მინდა, შეება, ღზინი, მხიარულე-
ბა და მდიდარ ქუჩაში კარგ გუნებათა. ერ-
თიე ვნახოთ, დაღვრემილმა კაცმა გამოიარა
და თვალწინ გეჩხირება, თითქოს განგებ
უნდოდეს თავისი ვაების ნისლი შენე გად-
მოგათაროს. შენ მიისწრაფი მეგობრისას,
კარგა შეექცე, იხუმრო, იცინო. ღამაზი სა-
დილი მიიჩთვა და ეს კი მოდის და სიამოე-
ნების გრძნობას წინათეე გიხდენს, მოდი და
ნუ გაჯავრდები. მე, როდესაც მხიარულ გუ-
ნებაზედა ვარ, მინდა, რომ ყველა მხიარულობ-
დეს. არ მინდა მოვიგონო, რომ ქვეყანაზედ
უსიამოენება არის სადმე. დაღვრემილი კაცი მო-

დის და იმის ერთი შემოხედვა სულსა და გულს
 გიშფოთებს: გაგონდება და ფიქრობს: ვინ
 იცის, რამდენი დღე ამის პირს ლუკმა პური
 არ უნახავს, ვინ იცის, ცოლშვილი რა ყოფა-
 ში ჰყავს სიმშლითა და მწყურვალობითა;
 ვინ იცის, სათბილვებელი არა აქვთ ყინვა-სი-
 ცივეში? ვინ იცის, ის კაცი როგორ გაუცარ-
 ცვაეთ, როგორს სამართალში ჩაუგდიათ? ვინ
 იცის... ვინ იცის... აბა რა სასიამოვნოა, სა-
 დილს უკან შეხედვ ამისთანა მშიერ კაცსა,
 რომელსაც კუჭ-მაძლარი უცქერი. შენ მუცელ-
 ში ქორწილია, აბა რაში გაამება, სხვის მუ-
 ცელში გლოვა ნახო. რასაკვირველია, ყველა
 ესეები ფიქრებს გირეცს, გულის სიხარულს
 გიმღვრეცს, ძარღვები დასვენებისაგან გამოჰ-
 ყავს, სული გიწუხს: ეს ხომ ასეა, ჩემო სულის
 გამახარებლო მკითხველო, განცხრომის მოყა-
 რეო, ტკბილის ძილის მსურველო, მაძლარი
 სადილის მუშტარო, დარბაისლოურის მორ-
 თვის მცოდნეო:

მაგრამ წარმოიდგინე ქვეყნის უბედურება.
 ისეთი კაცები გამოდიან, რომ გეუბნებიან:

თუ აღამიანი ხარ, შენისთანა კაცის მწუხარება მუდამ საზრუნველია და საფიქრებელია უნდა იყოს შენთვისაო. დღე და ღამე უნდა იმას ფიქრობდეთ, როგორ გამოიყვანო ჩემისთანა კაცი გაჭირვებისაგანაო, ძილი უნდა დაიფრთხოვო, სადილი არმათ უნდა შეირგოვო, თვალი და მუხლი უნდა გაიწყალოვო, გონება და მცნება ამაზე უნდა დალიოვო! ამიტომ, რომ ნათქვამია: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო.

ახა ღმერთო ჩემო, ამისთანა ხათაბალა გინახამს! ახლა რაო; რა მინდაო? მოლა მასრადინი ხომ არა ვარ? ქვეყანაზე ერთი მოლა მასრადინი იყო, რომ ყველასთვისა ზრუნავდა. გინდათ შეილო, რომ მეც ისე დამცინონ: ცოლს უთხრა, აბა დედაკაცო, დღეს მე არხინათ ვარ, ცუდი ამბავი არ გამიგონია, მოდი ფლავი გააკეთე; გულიანათ მინდა შევექცეო. მოუშადა ცოლმა ფლავი, დასხდენ ღაზათიანათ სუფრაზე. გადაიწია მოლა მასრანმა მაჯები და ის იყო ოშხიერიანს ფლავს მადიანათ

ხელი აწვდინა და... დახე იმის ბედსა! / კარი არ დააკაკუნეს. ჰარიქა წავედო, რა ამბავიაო.

ყოლი ეხვეწება, ერთი ორიოდ მუქა მაინც შეირგე და ისე გადიო. იცოდა, რომ ერთს რასმეს აიმიზებებდა და წაეიდოდა უკმელი. არ გაუგონა ქმარმა, წაეიდა, კარი გაუღო და შეიტყო ამბავი, რომ მეზობლის კუდა ეირს ჩოჩორი მოუგია:

— აიღე, დედა-კაცო, ეს ფლავი; სადილი უხამათ შემერგება.

დედა კაცი ეუბნება, თვალი მეზობელსაც გასძერა და იმის ჩოჩორსაცაო. რას ტუტუცობო, შეირგე სადილიო, შენ რა გენადღებობაო?

— ჰაი დედა-კაცო, როგორ სანადღელო და საფიქრებელი არ არის, ტალახში რომ ჩაწეეს ის ეირი, როგორ უნდა წამოაყენონო? აი ბრძენი კაცი, თუ გნებავთ, ეს ყოფილა! და სწორეთ ამას მისდევენ ზოგიერთი ჩვენი ბატონებიცა. სხვისთვის იფიქრეთ! ესე

იგი მოლა მასრადინი გახლიო. მოდი და წუ
 გაიციანებ და წუ იტირებ! არა, თუ ღმერთი
 გწამთ, საშველი მაქვს, ჩემ თავს უშველო,
 სხვის შველა მე რას მარგებს? ნათქვამია
 ბრძნული სიტყვა: ჯერ თავო და თავოო, მე-
 რე ცოლო და შვილოო. მე რომ ჩემი ყოფა-
 ცხოვრება სხვას გადავაგო, რა სარგებლობა
 მექნება. მე რომ ცუდი ვქამო, ჩაეიცვა და
 დაეიხურო, უძილობა და მოუსვენრობა გამოვი-
 არო, მე რას მარგებს. სხვებს არგებსო, იძახიან.

ახა ღმერთო დიდებულო, ბიჭო, მე რას მარ-
 გებს. ყველა თავისთვის თავის კანში იყო, ს,
 ის არა სჯობია? ჩვენმა სულელმა მამამა და
 პაპამ იყოდა ერთი ეგა, აიჩემებდნენ, ჩვენს
 დროშიაო, შენ-ჩემობა არ იყოვო, ჭი-
 რი და ლხინი სერთო იყოვო, ჩე-
 მი შენა იყოვო და შენი — ჩემიო; ერთმანერთი-
 სათვის თავ-გადადებულნი ვიყავითო. — მო-
 დი და ამათ ელაპარაკე. ის დრო ძველი დრო
 იყო, არაფრის გაგება არა ჰქონდათ. ეხლა
 დრო გამოიცვალა, დრო წინ წავიდა, ყველამ

თავისი სარგებლობა იცნო, ყველას სჭირო-
 ება დაადგა, ყველას უნდა ამ^{სარგებლობის} სჭირებების
 დაკმაყოფილება. აბა ადრე რა იყო? ერთი
 მუცელი ჰქონდათ, როგორც იყო ამოიქო-
 ლებდნენ, ერთ დანჯღრეულ ხმალს იშოვნიდ-
 ნენ და ერთ ცხენსა და მორჩა და გათაედა.
 არც სახლის ფიქრი, არც ცოლ-შვილისა, არც
 სწაელისა და არცა რა სხვა რამ. ჩვენ დრო შკა
 გეინდა, ჩაცმა, დახურვა, სახლი გაწყობილი,
 ცოლ-შვილი მადლარი და ჩაცმული. ადრე ლო-
 ბიოზედაც გადაივლიდნენ. ლაინებში გაეხვე-
 ვოდნენ და ის იყო. გვირგვინ ქვეშ ჩასაცმელათ
 პატარძლის კაბა რომ სდომოდათ, ორმოცი
 პატარძლის ნაცვამი ფარჩის კაბა უნდა მოე-
 ძებნათ და ის ჩაეცვათ. შინ მაშხალებს ან-
 თებდნენ, ძროხის ქონი რომ არ ემეტებოდათ,
 ღორის ქონსა სწვამდნენ. აბა ესეები იფიქ-
 რეთ და ისე განსაჯეთ. ან რა ცხოვრება ჰქო-
 ნიათ, ან რა ჰკუთა, ან რა კაცობა? ყველანი
 ერთათ იყვნენ, ამიტომ რომ ღორული ცხოვ-
 რება ჰქონდათ, ეხლა ჩვენს განათლებულ კა-

ცებათა ეცხოვრებთ, როგორც ჩვენს დროს
და ჩვენებურ საზოგადოებას შეშვენიერება,
თუ ღმერთი გწამთ, რა სულელობაა, რომ
მამაპატურს ცხოვრებას დაუბრუნდეთ!

მაგრამ აქ მართლა ის კადაგვაფიწყდა, რომ
ჩვენი ბატონები სულ სხვა კილოთი ლაპა-
რაკობენ, ისინი, რასაკვირველია ნასწავლნი
არიან, მაგრამ გონება რაღაც ნაირათა აქეთ
გადაბრუნებული.

ერთი ნაცნობი მყავს, ამას წინათ ერთ დარ-
ბაისლურ საზოგადოებაში, შევესწარი, ლაპა-
რაკობდნენ მთისა და ბარის ამბავს, ბოლოს
გლახობის სიზარმაცეზე და გაუგებრობაზედ
რაღაც სატყუა ჩამოეარდა. წამოდგა, შენ ჩე-
მი ბატონი ხარ, ერთი და მოჰყუა, ეს ეჭარე-
ბა, ესაო და ჩვენ უნდა გზ, უჩვენოთ გლე-
ხებსაო.

ჩემი ჭკუას კაცი ბევრი იყო და ამაზე უთ-
ხრეს: ჩემო რაო? შეგვეძლოს, ჩვენ თავს უშ-
ველოთო.

ახლა როგორა გგონიათ, რა უპასუხა ჩვენ

მა ბრძენმა? იმათი შეელა ჩვენი შეელა იქნე-
 ბაო. მოდი და ნუ გაიკვირვებთ.

პარკანაშვილი
 გიგულიძისა

როგორ თუ ჩვენი შეელა იქნებაო? ჰკითხეს. ასეო, რომაო! ისინი რომ კარგ მდგომარეობაში იქნებიან, ჩვენც კარგ მდგომარეობაში შევალთო. აიო მაგალითი, უთხრა: ვთქვათ ხოლერის ავთმყოფობაო. საცა ხოლერის ავთმყოფობა ჩნდება დიდ კაცებს რა ხელი უნდა ჰქონდეთო, რომ გლვხ ხალხისათვის ზრუნავენო, ცდილობენ ამ სენის დროს საავთმყოფოები გაამრავლონ, ხორავს აშინჯეინებენ ბაზრებში ექიმებსო, რომ წამხდარი საჭმელი არ გაიყიდებოდეს და გლვხნი ავთ არ გახადოსო, ექიმებს იჭერენ და ამრავლებენ მალე შემწეობის მისაცემათ, იაფ ფასის საჭმელების გაყიდვისათვის მეხაშის დუქნებს აღებენ, საზოგადოებას აღგენენ და ამ საზოგადოების წევრები ეხმარებიან გლვხ ავთ-მყოფებს ყველა ამ გვარის საჭიროებისათვის. რათაო? და იმიტომაო, რომ ხოლერა ხალხში რომ იკლებს, დიდკაცებსაც შიში

აღარ იქნებათო. აი სხვის შეელა, თავის შეელა გამოდისო.



ამით ხომ არ გაათავა ჩვენმა ბრძენმა, სხვა მაგალითი მოიყვანა, აი ჩვენში გვალვა და ზამთრის უთოვლო ყინვებია! რისგან წარმოსდგაო? იმისგანაო, რომ ჩვენში ტყეები გაჩეხესო და გააშიშელეს ადგილებია, ჰაერში სინოტივე აღარ არის, წყლები ზაფხულში შრებაო და ზამთარში ჰაერის უნოტიობისაგან თოვლი არა დგებაო, ყველა კი ვჩივითო, რომ წაბდა ჩვენი ჭირნახულიო. კაცმა რომ ღონის ძიება გაჩვენოთ, არ დაიჯერებთო. აი ღონისძიებაო: პიოიპირს მივცეთო ტყე გააშენოთო და არხები გაიყვანეთო, გლეხები მოიმზრეთო, თქვენთვისაც კარგი იქნება და გლეხებისთვისაცაო. აბა ახლა მითხარითო, ეს სწევებისთვის ზრუნვა და შეელა თქვენი თავის შეელა იქნება თუ არაო?

ჰერი-ჰა მეთქი, გულში ვიფიქრე. დაგწყველა ღმერთმა, რა სახით მოატრიალა ეს ლაპარაკი მეთქი. ვერაფრათ მექაშნიკა ეს მა-

ლალ თარღების ლაპარაკი. ამა რა ქვეყანაში დასაჯდომია? სხვისთვის იზრუნეო, მაცხოვრებელი მეცა მეთქი, რაღა ფალოსოფოსი შენ გამოხედი მეთქი, რომ ამ დარბაისელ საზოგადოებაში შენს მეტმა აღარაფერ არ იფიქრა. მეთქი. ბიჭო, ღვეგდე შენს ქერქშია მეთქი, ნებიერ ცხოვრებაში და სამსახურში შედი, ოჯახს მოუარე, ცოლშვილი კარგა შეინახე, და ვალებს მოერიდე და კარგი რიგიანი კაცი გამოხვალ მეთქი. სხვების მაგალითი შეიქნები და თუ კარგი გინდა ქვეყნისათვის, კარგი საქმეც ეს იქნება. მორჩა და გათავდა. შენი ჭირიმე სწორე სიტყვა არ არის და!

მაგრამ დახე ქვეყნის ოხრობას. ახლა და ახლა ამისთანა კაცები უფრო მრავლდებიან. დასწყევლა ღმერთმა! დღეს რომ ერთი ნახო, ხვალ, დარწმუნებული იყავი, ათსს ნახავ. ბატონო, ამ ყმაწვილ-კაცობას ვილა ჩივის, ქალებიც რომ დაგვიგაჟეს. აუბლენიათ გასათხოვარ ქალებს თავი და ზოგი სამზღვარ გარეთ მიეხირობა, ზოგი პეტერბურღს, მე უნ-

და ექიმობა ეისწაელოეო, მე უნდა აკუშერ-
კობაო, მე უჩიტლობაო, მე ისე ^{ეისწაელოეო} ~~ეისწაელოეო~~
უნდა გამოვიდეო! ზოგი კიდევ მითომ ლი-
ტერატორობს, წიგნებსა ბეჭდავს.

რა გინდათ, შეილო, ოქროს რქები ხომ არ
გამოგივათ, იყაეით თქვენს ქერქში. ოჯახს
მოუარეთ, კარგი დარბაისელი შეილები გაზარ-
დეთ, ასწაელეთ, რატომ, სწაელა საქიროა
მაგრამ ძალიან მალლა ნუ იწევთ, თორემ
ფრთები მოგტყდებათ და მშიერი მუცლით
თქვენ ვერას გაარიგებთ.

რა გეჭირს, აბა შემოგეხედეთ, გარს მიი-
ხედ-მოიხედეთ. ვინც თავის ოჯახს და სახლ-
ქარს რიგიანათ ყურს უგდებს, ფილოსოფობა-
ზე თავს არა სდებს; რა უჭირს? მშვიდობიან,
ლაზათიან ცხოვრებაშია; ნაღველი ვის არა
აქვს, მაგრამ იოლათ მიდის, შუაზე არ იჩაჩ-
ხება, მე ეს ფილოსოფოსური საქმეები უნდა
ვიზრუნოეო. ყველა კმაყოფილია თავისი
ცხოვრებისა და ნამდვილი ბედნიერებაც; თუ
გინდა, ეს არის; ძველთაგან ერთი ნამდვილი ბრძ-

ნული სიტყვა: ნამდვილი ბედნიერება ის არის, რომ კაცი თავის ბედს დასჯერდეს თავისუფლად და გულას მშვიდობა ამაზე და მყარებული და ეს ხომ ყველამ ვიცით, რომ ქვეყანაზედ მშვიდობიანობისთანაა არის რა.

ყველგან მშვიდობიანობაა, ოჯახშიაც და კარშიაც. როგორც სხვანი სცხოვრობენ, ისე იცხოვრე და მოიპოვე სულის და ხორცის ბედნიერებასა. სულ რომ არა იყოს რა იმითი შეგვიძლიან დავათასოთ მშვიდობიანობა, რომ ნემეცები იმიტომ შეებრძოლნენ ფრანკუზებსა, რომ იმათთვის ომიანობის სურვილი მოეშლევინებიათ: ასე ჩაეცხოთ თავშიაო, ომი სიზმარშიაც ეზიზღებოდესთო. ჩვენს დროში ამისთანა ფასი ძევს მშვიდობას. ახლა კიდევ ევროპაში ფიქრობენ ასეთი სამსჯავრო გაემართოთ, რომ მშვიდობიანობისათვის ომიც საჭირო არ იყოსო (ჩვენებურ მომრიგებელ სამსჯავროსავეთ); ყველა მორიგებით გაათაონ. ჩვენშიაც დააკვირდით, როგორ მშვიდობით თავდება ყველა დავიღარაბა. ადრე რომ ერთი

კვერცხის გულისთვის ერთმანერთს უბეზს დაამტერევენენ, სადღაა ეხლა. აი ასე, თუ კი ყველგან მშვიდობაა, ნეტა მითხრა, ეს ჩვენი ახალი ბრძნები რას იჩაჩხებიან:

მაგრამ ჩვენ იქნება არ დაგვიჯერონ ამ ახალმა ბრძნებმა და ამათ ჩასაგონებლათ ერთი დარბაისელის ნაწერს მოვიტანთ. ამ თხზულებასა ჰქვია: „დაკვირებანი მშვიდობიანობასა ზედა“, გაყოფილია რამდენსამე ნაწილად ამ შინაარსით: მშვიდობიანობა წვერთა შორის, ოჯახისათა, მშვიდობიანობა წოდებათა შორის, მშვიდობიანობა ხალხთა შორის და სხე. და სხე.



უწყება მკითხველთა და მწიგნობართათჳს

ვინაჲთგან ყოველივე წარმავალ არს სოფელსა ამას და დაშთების უკუდავად მხოლოდ ღვაწლი კეთილი, ამისთვის განვიზრახე, რათა დაუტევო მეცა შრომანი სადიდებელად სამშობლოსა ქვეყანისა ჩემისა და მოსახსენებელად ხულისა ჩემისა. ვითარცა ილუწიდენ მამანი ჩვენნი, ვგრეთცა ჯერ არს ვილუწიდეთ ჩვენცა და გარდაესცეთ შთამომავალთა ჩუენთა ღვაწლი ესე წარმართებად გზათა მათთა. ხოლო ნაწერნი ჩვენნი იქმნენ საუნჯედ და მოძღვრებად მწერლობისათვის ქართველთა და განძად მემატიანეთა ანუ მეისტორიეთა. დაკვირვებანი ჩემნი მშვიდობასა ზედა აქა მოიხსენებიან, ხოლო მათზე და დამყარებულნი ფილოსოფიურნი სჯანი იქმნებიან დროთა ვითარების დახედვით.



იანერის შ დღესა, მყავს მე ნაცნობი კაცი ვინ-
 მე, რომელსა უვის ცოლი სამოც დაწათისა
 წლისა; თვით არს ოთხშეოც წელს გარდა-
 სრული. იყო კაცი ესე ხელოვანი, შრომის
 მოყვარე, ინახედა სახლეულობასა. ხოლო
 ჟამსა სიბერისასა ვერღა ძალ-ედვა შრომა
 და მოაკლდა სახლსა მასსა მშვიდობა. წამის-
 წამ შეუღლე მისი საყვედურითა აღაესებდის
 ქმარსა თვისსა: რაჟსათვის ჯეროვნად არა იზრუ-
 ნეედი ჟამსა სიჭაბუკისა შენისასა, რომე აწ
 ესე დავშითთ უქონელ და უბოვარ. და ვი-
 თარცა უწყებულ არს, რომელ დიაცი ჟამსა სი-
 ბერისასა უგუნურდების უმაღლესსა ხარის-
 ხაღმდე, განამრავლა საყვედური, ჩხუბი ვგრედ,
 რომელ განსდევნა მოხუცი ქმარი თვისი
 სახლითჲ მივიდა მოხუცი იგი მწუხარებითა
 დიდითა მიროი სუდიასა წინაშე, რომელ არს
 მომრიგებელი მსაჯული ქალაქისა მის და
 აუწყო მას ყოველნი ჭირნი თვისნი. ჟამსა
 მასშინა დიაცი მისი დიდისაბ ირ მოხეულობითა
 წინააღმდეგა კეალად დაბრუნებასა ქმრისასა

თვისთანა, რამეთუ არა უწყიო, რომლითა
 ღონისძიებითა ეირჩინოთ თავნი ჩვენნი, რო-
 მელნი ვართ ორნი სულნიო. ხოლო ქმარმან
 მიუგო მსაჯულსა მომრიგებელსა და ჰრქვა,
 ვითარმედ სძევს ოჯახსა ჩემსა ორი სამი ხა-
 ლიჩა, ორი ნაბადი, ორი ვეცხლის ქიჭილა,
 ერთი ყურმოტეხილი ნაანდერძევი პაპისა ჩე-
 მისა და ერთი უყელო, ჩემი ნაშოენი და
 ოფლით მონაგარიო, ხუთი ჩალის კოვზი და
 ოთხი თიხის ჯამი, და ესე ყოველი არის ჩე-
 მის ოფლით მონალეაწიო. დიაკი იგი გაკა-
 პასდა და დაისაკუთრა. მაყურებელნი მუნ
 იტყოდენ: ხედავთა უგევანთა ამა თქამსა სიბერე-
 სასა, ვითარ შეურყევესთ მშვიდობაჲ სახლსა
 თვისსა, რომელი დამკვიდრებულ იყო სიკა-
 ბუკით ვიდრე აქამომდე და ვითარ შესაძლო
 არს აწ დამკვიდრება მშვიდობისა მათ შორის.
 ხოლო მსაჯულმან აღაღო ენა თვისი და
 ევედრა მათ შერიგებასა. ხოლო იგინი წუწუ-
 ნებდენ და უკანასკნელ ესმათ ყოველთა პი-
 რისაგან მომრიგებელის მსაჯულისა, რომელ
 იქნას მშვიდობა თქვენ შორის.

აწ ვზრახავ: იქმნების მათ ორთა მოხუცთა
შორის მშვიდობა.

საქონებელი
მშვიდობისა

იანერისა კ-სა დღესა, ეზილღე მე ხილვა
სამსჯაეროსა შინა მომრიგებელისასა. მოვი-
დეს ორნი მოხუცნი ცოლ-ქმარნი და ძე მათი
შუა ხნისა. ღიაცი დრტეინვიდა ძესა თვისსა
ზედა და ევედრებოდა მსაჯულსა, რათა და-
საჯოს ძე იგი მათი და ბრძანოს საცხოვრე-
ბელისა მიცემა. ძე მათი აბეზარს მოსული
დედისაგან თვისისა განშორებიეს მშობელთა
თვისთა, ცოლითა და შვილებითა დასახლე-
ბულარს ცალკე, რამეთუ მშვიდობისა მოყვარე
არს და აღესრულებიეს წმიდანი სიტყვანი საღ-
მრთოჲსა წერილისა, რომელი იტყვის: დაუ-
ტევოს ქმარმან დედაჲ თვისი და მამაჲ თვისი
და შეეყოს ცოლსა თვისსა, და იყუნენ იგი-
ნი ერთ ხორც. ხოლო დედა მისი სჩიოდა წი-
ნაშე მსაჯულისა და დამსწრეთა, ვითარმედ
შესწყვიტა ძემან კავშირი ოჯახისა, დაადო
მოხუცებულნი უსარჩოდ, იქმნა ესრედ ჩა-
მომგდები შფოთისა და შემარყეველი მშვი-

და შიშსა შინა ლუთისასა, ძმა იგი ხელოვან
 არს და უნებიეს ცოლისა შერთვა და მრავ-
 ეალგზის აღირჩევს სა ეუღლოსა და ჰკითხავს
 დასა თვისსა, რათა გაშინჯოს ქალი სა-
 ცოლო. ვერცა ერთ გზით ვერღა გამოსჩნდა
 ქალი, რომელსა არა უპოენა სინჯი და ნაკ-
 ლულევენება დამან ამა კაცისამან; რომელსა-
 მე ჰქონდის ცხვირი მწვეტი, რომელი ნიშან
 არს ასპიტობისა და გველობისა; რომელსამე
 ჰქონდის ფრიად აწეული წარბები, რომელი
 აღნიშნავს შიდრეკილებასა ფეხ-რბილობისასა
 რომელთამე აქუნდათ თქო ფართეს, და ვიეთ-
 თამე პირბაგე განიერ, ანუ ყურნი დიდნი!
 და იყო მწუხარებასა შინ. დიდსა კაცი იგი,
 რამეთუ გვარისაგან დაშთენილიყო იგი მხო-
 ლოდ და იშიშვოდა, რათა არა განჰქრდეს
 პირისაგან ქრესიანისა გვარი მისი და არა დაშ-
 თეს მომხენებელი თვისი. ხოლო კაცსა მას
 შთააგონა ვინმე დიაცმან, ვითარმედ დაჲ იგი
 არს მიზნუ ყოელისა მწუხარებისა ძმისა და
 ჯერ არს რათა განათხოვოს ძმამან იგი და

შემდგომად მისსა შეერთოს მეუღლე. და აღუ-
 თქვა მოპოება კაცისა ვისმე საქმროდსა და
 მსწრაფელ მოუპოვა. განიხარა გულისა შინა
 თვისსა ძმამან და ჰძრქვა: მოუელონოს მშეი-
 დობა სულსა ჩემსა. აუწყა ძმამან დასა თვის-
 სა, რამეთუ საქმრო მოგველინა შენ ნებითა
 განგებისათა და ჯერ არს მოჩილებად ბე-
 დისა შენისა. ოდეს ეუწყა დასა ეინობა საქ-
 მროდსა, განრისხნა ფრიად და უარ ჰყო იგი.
 ხოლო ძმამან განუცხადა, ვითარმედ უკეთუ
 ნებითა თვისითა არა წარჰყევება საქმროსა, იგი
 ძალითა მისცემს. აღალო პირი თვისი დამან და
 უშეგრებითა მოიხსენა ძმა თვისი, რამეთუ არა
 ძალუძს მას ძალის დატანება, ვითარმედ თა-
 ნამდებ არს ძმამან არჩინოს დაჲ თვისი და
 უკეთუ არა იქმს ესრედ, ვითარცა იგი ჰქვის,
 წარვალს იგი მომრიგებელისა მსაჯულისასა
 და მან დაადგინოს მშეიდობა და მორიგება
 მათშორის. დადუმდა ძმა იგი, რამეთუ არა
 ენება მშეიდობისა მოსპობა. თუმცალა დლი-
 თა მით არა დაწყნარებულა მდურვა ერთა-

შორის, ხოლო მშვიდობიანობა მათ შორის
 არა შერყეულა.

ვზრახავ აწ დროსა ამის მშვიდობისათვის, ვი-
 თარმედ მხოლოდ მოხსენება მხოლოდ ერ-
 თისა სახელისა მომრიგებელისა მსაჯულისა
 შეიქმნა მიზეზად მშვიდობიანობისა, არამცა
 თუ თვით მსაჯული. განიხარეთ მოყვარეთა
 მშვიდობისათა!

თებუელის იბ-სა დღესა. სამაგალითო არს
 მშვიდობა ოჯახსა შინა მეზობლისა ჩვენისა
 სოლომონისასა, რომელი ეტევის დარბაზსა-
 შინა სახლეულობითა. ჰყავს მას მამა მოხუცებუ-
 ლი წლისა ოთხმეოცდაათისა ვგრედ, ვითარმედ
 არღა აქუნ მეხსიერება და სიტყვა სათქმელად
 ავიწყდების, და უმეტეს ყოველთა ვერღა და-
 უმაგრებდის... მიზეზითა ამით უჭირს სოლო-
 მონს შენახვა მამისა თვისისა და არს ოჯახსა
 მას უშეერება და სიმურტლე. გარნა არა არს
 ხსნა. ამისათანა არს მოხუცებული იგი თვით
 ნებისა, რამეთუ კვირანი განვლენ და საცვალ-
 სა არა იცელის და ინახავს ვიდრე ნება მო-

ველინების. ძალით ჩაეკმისას მართობს ძრი-
 ელსა ყვირილსა, რომელ ემსგავსებინს ხმასა
 ძროხის ბლაგილისასა: არა მნებაესო გამოცე-
 ლა თქვენისა ხელითაო, და შშვიდობისათვის
 უტევებენ ეიღრე მეორეს ჟამამდე გამოცე-
 ლისა დრო მოვალს, დრო ომიანობისა, ხო-
 ლო ოდესცა სოლომონ განრისხდების და
 დაუყვირებს მამასა თვისსა გამოიციკალო, თო-
 რემ აქედამ გადაგისერიო, იგი უმეტესის მალ-
 ლისა ხმით დაუყვირებს „კიტეროზო!“ და
 ძე იგი სიცილით გადამბრუნდების და წყრომი-
 საგან დასცხრების.

ვზრახე და ვჰსჯი: რაჲ არს მნიშვნელობა
 სიტყვისა ამის „კიტეროზო“? არ ეუწყი, ხოლო
 ძალა სიტყვის ეგრეთ მოქმედებს, ვითარცა
 სიტყვა: „დაჩუმიდი, თორემ მომრიგებელ მსა-
 ჯულთან ეიჩაელებო“ გარნა ევეედრები ჩვენ-
 სა ფილოლოგოსსა პლატონს აღსნას მნიშვნე-
 ნელობა ამა სიტყვისა, რამეთუ მას ძალუძს
 აღგვიხსნას ვითარცა მეცნიერსა, რომელმან

ფრიად ბეჯითად უწყის ქართული ენა, გან-
საკუთრებით ძველი.

თებერვლის იე-დღესა. ვჰ'ცან დღესა ჰამბა-
ვი, რომელი მომხდარ არს მშეიდობისათვის
კაცსა ერთსა მოუკლავს თავი თვისი, რამეთუ
ვერღა მოუთმენიეს სიღარიბე თვისი, ცოლი-
სა თვისისა და შიმშილი წერილთა ძეთა და
ასულთა თვისთა. დიდხანს ჰქონია შფოთება
გულსა შინა თვისსა და მოსპობისათვის ამი-
სა და დამყარებისათჳს მშეიდობისა სახლეუ-
ლობისა, მოუკლავს თავი: განუზრახავს, ეი-
თარმედ უკეთუ ცხოვრება ჩემი განგრძელდა
საწუთროსა ამასა შინა, შეიღნ'ში და მეუღლე
ჩემი საყვედურითა ამავსებენ და იტყვიან:
რაჲსათვის იღე უღელი ქედ აზედა შენსა, აწ
გვარჩინე და გვეცხოვრეო. უცალებელ არს,
რომელ მოხდებოდა შებაასება და შუღლი
ოჯახობასა შინა და რათამცა უცხო კაცი
არაფინ შემოერიოს ცოლ-შვილი და თვით
ხსენებაცა მომრიგებელისა მსაჯულისა არა იქ-

მნეს, სიკედლითა თვისითა დაუმყარებია მშვი-
დობა.



ვჰა ვითარსა თ-ვეგანწირულებასა ვიხილავთ
მშვიდობისათჳს.

აგებრელის კ-სა დღესა. ვჰსცან კჳალად ჰამ-
ბავი, ვითარმედ ქმარსა მოეკლას ცოლი
თვისი საყვარელი გულისა, რომლისა თანა
ექვ'ის თვისა დაქორწინებული ყოფილა. ესე
საქმე მოხდენილა ესრედ, ვითარმედ ცოლისა
მის ზელს გდება უნებიეს კაცს ვისმე გამიჯ-
ნურებულსა და შარი ქურდობისა უგდიეს
ქრმისათვის. დატუსაღებისა ჭამსა ცოლი მოხ-
ვევნია ქმარსა და შევედრებია, მოჰკლას იგი
თვისითა ხელითა, რათამცა არა იქმნას შერც-
ხენილ და ბიწიერ წინაშე წმიდისა ცოლ-
ქრმობის ერთგულობისა, რამეთუ სიყვარული
ჰქონია შთანერგული მხოლოდ ქმრისა თვი-
სისა და არცა ჰსურებია, რათა მშვიდობა
შერყეულ იქმნას მიზეზითა მით მეუღლეო-
ბისა სიყვარულისა და გულსა შინა ქმრისასა.
მოხვევნია ქმარი ცოლსა თვისსა და ხანჯლი-

თა მოუკელავს ცოლი თვისი, რათა იხსნას სირცხვილისაგან იგიცა და თავიცა თვისიცა და მისცეს მშვიდობა სულსა მისსა.

თებერელის კდ-სა დღესა. კუალად მოხდენილ არს მკურნელობა დედაკაცისა ერთისა. უბნობენ, ვითარმედ ესე არს საქმე ქმრისა მისისა, რომელსა არა ჰყვარებიეს იგი, ხოლო ჰყვარებიეს სხვა დედა-კაცი, რომელსა ეგეთსა პატივსა სცემდა, ვითარცა მეუღლესა კანონიერსა; ხოლო ცოლი თვისი ჰყვანდა ვითარცა მოახლე, რომელსა აიძულებდა ქმარი, რათა პატივი ჰსცეს და ჰმსახუროს ხასასა თვისსა, ვითა უფალსა სახლისასა. უკანასკნელად, ოდეს იხილა ქმარმან მან ვითარმედ შიმშილით შეწყუბებული ცოლი განვიდოდის ქუჩათა და მიადგებოდის კართა მეზობელთათა, რათა ეძლიათ პური ჭამადი, და ოდესცა შეირყა მშვიდობა სახლსა მისსა, არჩია, რათა იქმნას მსხვერპლად ერთი მათგანი დამკარებად მშვიდობისა. და შესწირა მშვიდობასა თანამემცხედრე თვისი.

თებერვლის კმ სა დღესა. არს კაცი ეინმე მდი-
 დარი ქონებითა და ვეცხლითა; ^{და კონსულს} ^{უფლის მას}
 ცოლი მშვენიერი და ჰაეროვანი. გარნა დღე-
 ნი მისნი გამწარნეს დღეთაგან ქორწინებისა,
 რამეთუ იქვიან არს ფრიად თანა მემცხედრე-
 სა ზედა თვისსა. უნებნ კაცსა მას რათა მე-
 უღლე მისი იქმნეს მზეთა უნახველ და ოთხ-
 თა კედელთა შუა შეკეტილ, რამეთუ უკეთუ
 მფრინველსა ცისასა და შავალთა ოთხთა ფეხ-
 თა ზედა შეჭხედის ქალმან მან, გულოსა კა-
 ცისასა განჰგმირვიდის მახილი იქვისა: ნუ
 უკუტს შემძულა მე ცოლმან ჩემმან და შეი-
 ყვარა იგი. და იყო სატანჯველსა დიდსა ქა-
 ლი იგი, რამეთუ მარად ჟამ მიხვრა-მოხვრასა
 შინაცა საძაგელ მზრახველ ეგულეობადის ქმარ-
 სა, ხოლო უკანასკნელ ჰშუა შვილი ქალმან
 და უაღრესად აღმატნეს სატანჯუტლნი მის-
 ნი, რამეთუ ნებითა ლჷთისათა მიეცა შვილ-
 სა სახე დედისა. და წამისწამ უსაყვედურებდის
 ქმარი ცოლსა: უკეთუ იყავნ, შენ ში დიაცო,
 მართალ, შვილსა შენსა ექმნეცა მსგავსება



ჩემი. და განრისხდებოდის თრიად სიტყვასა
 მართალსა ზედა მეუღლისა თვისისასა და მი-
 იწევდის კნინლა ცემაღ. ხოლო დღეთა უკა-
 ნასკნელთა დიაცმან მან ხშირად სიტყვანი
 უკუუბრუნის ქმარსა თვისსა და ეტყოდის: უკე-
 თუ შტარვალობაჲ შენი განაგრძენ, წარვე-
 მართო მომრიგებელისა მსაჯულისადმი, რათა
 განგვაშოროს უთიერთსა. ხოლო მიუგის ქმარ-
 მან: ჰოი უბადრუკო, უწყია, რამეთუ არა
 მოგეცეს მოსვენება ჩემმიერ, უკეთუმცა წარ-
 ხვიდე საცხოვრებელად ცხრათა მათთა მიერ?
 ეაჲ შენ, რამეთუ განიზრახე შერყევად მშვი-
 დობისა ქმრისა შენისა და თავისა შენისა.
 სადა თქმულ არს განდგომაჲ ურთიერთისა,
 უკეთუ არა მტერთა? ხოლო უწყია, რამეთუ
 მე ხელმეწიფების, რათა ვევედრო მომრიგე-
 ბელსა მსაჯულსა, რათა დაბრუნებულ მექმნას
 საკუთრება ჩემი, მემცხედრე ჩემი, მეუღლე
 ჩემი და დამიბრუნოს მშვიდობა სახლსა ჩემ-
 სასა?

დასტურდა ესე წიგნი და დაწერილ იქნა

და არა განეყარნეს ურთიერთსა და ჰგინ
აწცა მშვიდობასა ამასა შინა.

საქონის
განაწილება

მარტსა ვ-სა დღესა. ში საკვირველებათ ქა-
თათა! დიაცი ერთი გამოჰქცევიეს ქმარსა
თვისსა. ქმარმა სთხოვა მსაჯულსა მომრიგე
ბელსა, რათა ცოლ-ქმარნი მოერიგებინა და და-
ემყარებინა მათ შორის მშვიდობა. ხოლო ცო-
ლი სთხოვდა, რათა არ მოეშალა მათ შორის
მშვიდობა და არ დაემყარებინა სიძულვილი.
მე გონების თვალი ამემღერა და ვერა ვჰცან,
რომელი მათგანი იყო მართალი, ხოლო საქმე
შესანიშნველ არს მით, რამეთუ რათა მათ
სურდათ მშვიდობა და ორნიცა იგინი სთხოვ-
დნენ მსაჯულსა მის დამყარებას.

მარტის იდ-სა დღესა. არს სახლეულობა, რო-
მელი სცხორებს განცხრომითა, რამეთუ
მიუნიჭებიეს მათთვის უფალსა საცხოვრებე-
ლი. თაჲი სახლეულობისა მის იღწვის დღე
ყოველ ცოლთა და შვილთა თვისთათვის,
მოუტანის საზრდო, აღაშენის და უზრუნველ
ჰყოფს მათა. გარნა კაცი იგი გულფიცხელ

არს და მრავალნი ყვედრებანი მიაყენის ცოლ-
 სა და შეილთა. არა უნებნ მას, რამეთუ არცა
 რა ჭიქა ერთი შემუსრვილ იქმნას სახლსა
 მისსა, ხოლო შემუსრვასა მას მისსა ზედა
 განცოფნის, ვითარცა მხეცი ტყისა და დაუ-
 ლეწის ძვალნი გვერდსა და ნაწევრი გვამისათა
 მსახურთა და წევრთა სახლეულობისათა. ანუ
 უკეთუ ჟამსა ბინდისასა შეილნი და ცოლი
 მისნი განვლენ სახლისაგან და ისურვებენ სე-
 არნობასა ქუჩათა, ფოლორცთა ანუ წალკოტ-
 თა შინა, ასტყდების ბრძოლა სახლსა მას კაცი-
 აა მის მიერ, და არს კაცი იგი მტკიცისა ხა-
 მათისა, უკეთუ სთქვის „აღსდევინ“ ხამს ყო-
 ველთა აღვომა, უკეთუ სთქვის „დასჯედინ“,
 ხამს ყოველთა დაჯდომა. ხოლო ვინაჲდგან
 შეილთა და ცოლისა ვალოდებულება არს მორჩი-
 ლება, რათამცა არსებდეს მშვიდობა ოჯახობასა
 შინა, იგინი მორჩილებენ და არს მშვიდობა სახ-
 ლსა მას. ხოლო თუმცა ყოველნი წევრნი იტ-
 ყვიან, რამეთუ ოჯახი ჩვენი არს საფლაფი, რომ-
 მელსა შინა ესაფლაფე ვართ ცოცხალნი, გარნა



რამ წამალი დაედების მას, რამეთუ არა მო-
იშლის მამა ჩვენი ხასიათსა თვისსა და არა
ჯერ არს ჩვენ მიერ მშვიდობისა შერყევა.
ხოლო ცოლიცა იტყვის: რამ ეკმნათ, ნუ
არა მოვსწყვიდოთ ქმარი ჩემი საწამლაფითა,
ანუ დარჩობითაჲ ჯერ არს მორჩილება, რათა
არა შეფოთი იქმნეს ოჯახსა, და არა მოაკლდეს
მშვიდობა.

მარტის კ-სა დღესა. მოვიხსენე აწ თქრსა ში-
ნა ჩემსა კაცი შეშლილი, რომელი, სცხოვ-
რებდა ქალაქსა ამას ტფილისსა და სცნობდენ
მცხოვრებნი კაცი იგი სცხოვრებლის კრწა-
ნისსა (სადა არს საბაჟე) და გამოვიდოდის დღე
ყოველ ჯოხითა ვეცხლის თაფიანითა, ამო-
იელიდის შეითან ბაზარსა, თათრის მიედან-
სა, ბაზაზხანასა, შუა ბაზარსა ეიდრე ქარვას-
ლამდე თამამშაანთთა და კეალად უკუბრუნ-
დებოდის. ხოლო ჰქონდის ჩვეულებად, რა-
თამცა ყოველსა წინა დამხდომსა მოეხადნის
ქუდი და ეთქვის: „კნიაზს ეახლაეარ“, და იგი
კნიაზი მსწრაფელ ამართამდის ჯოხსა თვისსა

ვითარცა ხმალსა და კვალად ჩამოიღებდრის. ხოლო უკეთუ წინამხდომსა არა ემოშელათაჲ, მსწრაფლ ჯოხითა თვისითა მშვიდად გარდაუხდის თაჲიდგან, და სელასა მისსა არა გაიგონის კაცმან ადამიანმან არცა ერთი სიტყვა მისი; ეგრედ ჩვეულ იყო თაყვანებასა, რომელ ყოველი მის წინა მსვლელი და არ მხედველიც მისი ვალდებულ იყო ქუდის მოხდად და ვინაჲდგან არა აქუნდეს თვალნი უკანით, ჯოხი მისი მუშაობდის. ხშირად აღიმართებოდის და დაეშვებოდის დამოიფინებოდის ზგა იგი სელასა მისსა ფურაქკებითა და შლიაპებითა, ჩაჩითა და ბუხრის ქუდითა, ფაფანაკითა და ყაბალახითა და თვით კამილაგკითა და ბარტყულ-კუნკულათი. ხოლო ხედვიდეს რა წინა მხდომნი, ვითარმედ აღეშართა ჯოხი, იშიშვიდეს მშვიდობისათვის თაჲისა თვისისა და მსწრაფლ იშიშვლიდეს თაჲთა და აღერსისა ღიშითა განვლიდეს. ეგრეთ მშვიდობისათვის თაჲთა თვისთა ჰმართებდათ ყოველთა მოჩილებად კაცისა მის უგუნურისა.

აწ განიზრახეთ, ვითარსაყვარელ არს მშვი-
დობა! სახე ესე არს ისტორიისა რვა კუთხედი.

მარტის კვ-დღესა. ვისმინე დღეს შუა ბაზარ-
სა ხმაურობა. მოსდევდა საპალნესა ნახშირი-
სასა „გროშო“, (რომელ არს ნახშირის წამლე-
ბი და დამცლელი). კაცი ესე იყო ფრიად
კოჭლი, ცალ თვალა, ძონძებში შეხვეულ და
უბედური სახისა. მიუძლოდა ჯორსა კიდებულ-
სა და შესდგა იგი და ჰკითხა კაცსა მას მსყი-
დველსა: აწ სადა წარმიყვანებ? შენ არა ჰსთქვი,
ვითარმედ აქა ახლოსა ოქრო მჭედელთა ქუ
ჩასა შინა ჯერ არს დაცლა ნახშირისა. მიუგო
მსყიდველმან, რამეთუ აელაბარსა ჯერ არს
წალება და დაცლა მუნ; ჰკიცხვედის გროშო
იგი ტყუებასა და უპირობასა მსყიდველისასა
და უნებნ დაბრუნება; გარნა მსყიდველი არა
უთმობდის ჯორსა და ასტყდის ქიშპობა. ხო-
ლო მუნ გამოსტყერის ბაყალი, კაცი მოქა-
ლ აქე, სქელ მუცლიანი, ვითარცა გოდორი და
დაუწყის ტუქსეა და გინება გროშოსა მას, ვი-
თარმედ ხარბ არს იგი ასეთი და ისეთი (არა

ძალმიძს მოხსენება სიტყვათა მათ უშვერთა),
 იგი არს აყალ-მაყლობისა მომხდენი ქუჩათა
 შინა და მშვიდობისა მომშლელი ხოლო
 ჩაგრვა იგი გროშოსა მის ვერა მოითმინა კაც-
 მა ვინმე და ჰრქვა მას ბაყალსა: რაჲსათვის
 ლანძღავ საბრალოსა გროშოსა მას, უმეცარო
 და უბადრუკო! ესმინა რა სიტყვანი ესე ბა-
 ყალსა, ამხანაგთა თვისთა ეგრეთვე ბაყალთა
 რქვა: ნახეთა, ვითარ ესე კაცი უპატიურ მყოფს,
 მემოწმენით, რამეთუ ვიჩიელო მე წინაშე
 მსაჯულისა მომრიგებელისა და მან დაამშვი-
 დოს კაცი ესე. სცნა რა კაცმან მოსარჩლე-
 მან გროშომან სახელი მომრიგებელისა და
 თვით გროშოსა აღედრათ გულსა შინა მშვი-
 დობისა სურვილი და განერივნენ მუნით.

აჩილის იგ-დღესა. დაძმანი სცხოვრებენ
 მშვიდობასა შინა და ჰყავსთ მსახური ყრმა
 ათისა წლისა, რომელი სოფლით არს მოყვა-
 ნილ. დაძმანი არა იყენეს მდიდარ, ხოლო
 არცა თუ ლუკმისა ნატრულ, არამედ დღიუ-
 რად მცხოვრებნი. მსახური იგი სჩიოდის დღე

მუდამ შიმშილსა, რამეთუ არა აძლევდენ ჰურსა საკმაოსა. დღესა ერთსა მათ შინაგანებად, ხოლო დედმამან მოჰგვარის კვალად სახლსა დისა და ძმისა მის და სთხოვდის, რათა შეაჩვიონ დაუდევარი იგი მშვიდობასა. გარნა ვითარცა არა დაივიწყის ჩივილი და დაძმათა მათ არა ესიამოვნებოდის ტირილი და შფოთი მსახურისა მის, რამეთუ მშვიდობის მოყვარენი იყუნეს, ამისათვის ხშირად ჰსციან, რათა შეაჩვიონ მშვიდობის ყოფნასა.

პრილის იხ სა დღესა. დედაკაცსა ერთსა ჰყავს შვილი წლისა ექვსისა. დაუტ ვა იგინი ქმარმან და სადაწარვიდა არა უწყიან. ხოლო დიდსა შეჭირებებსა შინა იყენეს დედაკაცი ესე და შელო მისი, რამეთუ არა აქუნდათ ლუკმა, რომლითა დაემშვიდებინათ ძლიერი შფოთი მუცელთა თვისთა შინა და ყრმა დედითურთ იყუნეს ტირილსა და ვაებასა შინა დღე ყოველ. ხოლო მრავალ არიან კაცნი, რომელთა მუცელთა შინა დაშკარებიეს მშვიდობა, ხოლო მოკლებულ არიან მშვიდობა-

სა ენებათაგან (მხურვალებათაგან) და სკნობ-
 დნენ, რამეთუ მშვიდობა ენებათაგან მშვიდ-
 ნიკებისთ, უკეთუ მიანიჭეს დედაკაცსა მას
 მშვიდობა მუცლისა. და ეგრეთ იქმნა კავში-
 რი დედაკაცისა მის კაცთა მათთა თანა და და-
 იმკვიდრა უმსაჯულოდ მშვიდობამან ყოველ-
 შორის.

აწ ეხრახაე გულსა ჩემსა: ემა კავშირი სა-
 კვირველი, რომლისაგან წარმოვალს მშვი-
 დობა.

აპრილის კთ-სა დღესა. ეაქარმან ერთმან იყო-
 ღია თანაშემწედ ეაქრობისათვის ჭაბუკი ერთი
 სამ წელ და თხოვსა ზედა ჯამაგირისა,
 სტანჯეედის და არ მისცის. ჭაბუკმან მრავალ
 ეამ მოითმინის, ხოლო უკანასკნელ გასტენის
 ყუთი მისი ფულისა და აღმოიღის მუნით ფუ-
 ლი სრულად, რადცა დებულ იყო, და აუწყა
 ეაქარსა მას, ეითარმედ უკეთუ არა მომცე
 ჯამაგირი ჩემი, არა მიიღო საკუთრება შენი.
 ესე ეჭქმენ მისთვის, რათა დაეიმშვიდო ცხოვ-
 რება ჩემი, რამეთუ მონაგარსა ჩემსა მიკლებ,

ხოლო ჭაჭარი იგი განრისხდა ფრიად; აცნობა მსაჯულსა მამრიგებელსა. მსაჯულსა იუწყა ჭაბუკისაგან ყოველი ნამდვილი, რამეთუ არა რაჲ დამალის. ხოლო ჭაბუკი იგი მიეცა სამსჯავროსა, რომელსაცა სთხოვდა ეაჭარი, რათა დაესაჯათ მშვიდობისა მისისა დარღვევისათვის, რომლისათვისცა დატყვევებულ იქმნა ჭაბუკი თვეთა რამდენთამე და მოეცა მშვიდობა ყოველთა.

აპრილსა ლ-დღესა. აწ მოხდა ჰამბავი ესე: კაცსა მდიდარსა ჰყვა თანაშემწე, მრავლად მომჭარნე, ხოლო მცირისა ჯამაგირისა მიმღები, რომელსა არა მოუმატის სასყიდელი წელთა მრავალთა. უკანასკნელსა ჟამსა ევედრა თანაშემწე იგი, რამეთუ მრავალი მიღწიეს შენთვის და აწ ჯერ არს შრომათამებრ ჩემთა სასყიდლისა მომატება. უარჰყო მდიდარმან მომატება და ჰრქვა: უკეთუ არა გინებნ ყოფა ჩემთანა, წარეედ სადა უმეტესი მოგცენ შენ. ხოლო მან თანაშემწემან არა დაუტევა მდიდარი იგი და მცირე ოდენთა შემდეგ ჟამთა,

უკუაგდის ხუთი ათას თუმნამდე ეგრედ, რომელ არცა რა საბუთი აქენდის მდიდარსა მას დასჯისათვის. გარნა უნებნ მას ჩივილი წინაშე მომრიგებელისა მსაჯულისა და თანაშემწესა აგინის მდიდარმან. ხოლო თანაშემწემან უთხრის კაცსა მას: არა მნებავნ ჩივილი თქვენისა გაუბატოურებისათვის, არამედ განვმორდეთ ურთიერთსა მშვიდობით და არა მოაკლდეთ ურთიერთისაგან მშვიდობასა. დამშვიდდა მდიდარი იგი და დაუტევნეს ურთიერთ. ხოლო კვალად ჟამ ისინი შეხვდებოდნა ვითარცა მეგობარნი და წვეულებათა შინა სევმდენ ურთიერთისა სადღეგრძელოსა.

აწ ეზრახავ: კეთილ არს ჩვეულება ვაჭართა, რამეთუ მშვიდობის მოყვარენი არიან იგინი.

მაისის ბ-დღესა. სოფელსა ერთსა სცხოვრებდის გლეხი ვინმე, რომელსა აქუნდის ვალი ვაჭრისა. ვალი თვისი ვერა გადებადნის გლეხსა, რამეთუ წელსა ყოველსა ხუთ კეცად შეიმქნის ვალი წინა წლისა და იყო შეჭირვება-

სა დიდსა და იტყოდის გლეხი იგი: „რამ
 ექმნათ, რამეთუ მოსავალი არა გვაქუნს; პუ-
 რი შეგვექმნა საყიდველ, წყარო არა სდის მი-
 წასა ჩვენსა, ყოველი განხმა და მოვაკლდით
 სასუმელსა; ყურძენი ჩვენი განხმეს, ტყე შე-
 გვექმნის საფასურ, არა არს ღებინება ჩვენდა
 და აწ ეალსა და ეახშა შინა მოესწყვიდნეთ.“
 და იყო მშვიდობასა მოკლებულ ვაქართა
 მათ ვეცხლისა პატრონთაგან. სურვილმან მშვი-
 დობისამან აიძულა გლეხი, რათა გარდმო-
 ხეწილიყო ქალაქსა ამას, სადა არს განცხრო-
 მა და სავანე მშვიდობისა.

მაისის ე-ღესა. წარვიკითხე გაზეთსა შინა,
 რომელ სოფელსა ერთსა ჟამსა შიმშილისასა
 მამულისა მეპატრონემან განსცა პური, მიწა
 ნაკმაზიანი, იმა პირობითა, რომე ერთი იმო-
 დენი დაებრუნოს პატრონსა შემდგომად ოთ-
 ხის-ხუთის თვისა. მამწონს ესე ვითარი გან-
 წყობილება მათშორის, რამეთუ არს სახილ-
 ველ, ვითარმედ დამყარდა მათ შორის მშვი-
 დობა.

მაისის იბ-სა დღესა. მესმა დღესა ჰამბავეი, რა-
 მეთუ დაუყენებებს მცველნი ზემო ქართლსა,
 რათა დამკვიდრდეს მშვიდობა მუნ. მამულისა
 მეპატრონესა ერთსა დაუდგია მამულისთვის
 გლეხთათვის გადასახადი იგი, ვითარცა სხვა-
 თა ადგილთა არს: ვითარმედ მეოთხედი პუ-
 რისა და სხვა ეგრეთვე ხოლო გლეხთა სდო-
 მებებს, რათა ძველი წესი დარჩეს, ვითარმედ
 ერთი ბატკანი ანუ ცხვარი სააღდგომო, და
 ორიოდე შოთი, ვარია და კვერცხი. არა უწყ-
 ყიან უგუნურთა ჟამთა ვითარება, რამეთუ ესე
 ვითარი გარდასახადი არა არს შესაფერ აწინ-
 დელისა ხარჯისა. მეპატრონესა მამულისასა
 გარდაუსახლებებს იგინი. ხოლო სამნი მათ-
 განნი გამოსულან, მოუკლავთ მეპატრონე
 იგი და აწ თულობენ. ხოლო ვითარცა მო-
 ვიხსენეთ, მალიად დამყარდება მუნცა მშვი-
 დობა.

აგვისტოს კზ-დღესა. უბნობენ გაზეთთაშინა, ვი-
 თარმედ კოჯორსა და მანგლისსა შუა თულობენ
 კაცნი ბორჩალოელნი. დაუყენებებს მცველ-

ნი გზისანი; გარნა უკანასკნელთა წამთა ეგრეთ დამშვიდებულან, რომე სოფლისაგანგებულთა თანა შეექცევიან სადილსა და იტყვიან თქვენ გლახთა არას გერჩით.

აგვისტოს კზ. უბნობენ, რამეთუ მიუღიესთ ორთა მდიდართა კოჯორსა შინა თულთა თანისაგან თაშთემურას შეილისა ფაშასაგან, ვითარმედ ამა და ამა წყაროსთანა თეითვეულმან თქვენგანმან უნდა მოიტანოს ორას-ორასი თუმანი და უკეთუ არა მოიტანოთ გარდაესწვათ ყოველნი სახლნი თქუცნნიო.

აწ ეხედავ აქა სურვილსა მშვიდობისასა, რამეთუ არა ნებავენ სისხლისა ღვრითა წართმევა.

სექტემბერსა ა-სა დღესა. წარეიკითხე დღეინდელსა გაზეთსა შინა, ვითარმედ ფაშასა მანგლისის გზასა ზედა ჰყავნ თანა ორმეოცი კაცი. ხოლო მომესმა სხვა ჰამბაეი, ვითარმედ ჰყავს ორმეოცდაშვიდი. აწ ესე არს ნიშანი მშვიდობისა, რამეთუ არა ძალუძს ფაშას თა-

ვისა დაქერა მარტოდ და ამისთვის გაუაზნა
გების სხვანიცა.

საუწყებელ არს ვითარმედ ორმოცის კა-
ცის მოთავეობა ფრიად მალე მიიყვანს მშვი-
დობაღმდე კაცსა.

სექტემბერს ბ-სა დღესა. წელსა წარსულსა ვი-
ხილე ბაზარსა შინა ქალაქისასა ძონძთა გა-
ხვეულნი მთისა კაცნი ჩაჩანნი და ქიშტნი,
ხანლეულობითა უკუდაბრუნებულნი სტამბო-
ლით და ლუკმისა მათხოვარნი. არა აქენდათ
მათ არა რაჲ საჭურველნი სამხედრონი და
რეცა თუ დანანი, ვითარმედ საზამთროსა გაქ-
რად არა აქუნდათ იარაღნი, ხოლო დაახეთ-
ქიან საზამთროს მიწასა ზედა, განაპიან და თი-
თებითა დასთხრიან ჭამად.

განიხარა გულმან ჩემმან რამეთუ დაუტე-
ვებიათ ყოველი საჭურველი სისხლისა მღვრე-
ლი. და დიდებისათვის ღვთისა ვეც მათ ერ-
თი ბისტნი, რომელ არს ოთხი გროში.

სექტემბერსა გ-სა დღესა. ბაზარსა შინა ერთისა
ქალაქისასა წარმოედგინა თვალსა ჩემსა ხილვა

კეთილი, რამეთუ ადგილსა ერთსა ჯგუფადა
 ვიხილე გლეხნი მსყიდველნი კირანსტლისა:
 ხოლო გლეხნი იგინი უწყითა ვინ იყენეს?
 ქართველნი, ხომეხნი, ოვსნი, ჩაჩანნი, ყაბარ-
 თოელნი, ინგუშ-ლილენი (ქიშტნი). იყო მათ
 შორის ბაასი და შექიშპება, ვითარმედ ლან-
 ძღვედეს და აგინებდეს ურთიერთსა: ქართვე-
 ლი ოსსა, ქიშტსა და სომეხსა, სომეხი სხვა-
 თა და ეგრეთ სხვანიცა და ჰნერწყვიდიან ურ-
 თიერთსა და აღიმართიან მუშტნი ცხვართა
 და პირთა კერძოდ მოსაუბრისა. განეკვირდი
 ფრიად, რამეთუ არა იყო ტრიალი ხლმისა
 მათ შორის, ვითარცა მამათა და წინაპართა
 მათთა უკმნიეს. სჩანს მათთა შორისცა მშვი-
 დობა.

მ პეტრიძე.



წიგნი რედქტორთან

უფ. რედქტორო! რათგან ყოველი სინი-
დისიერი ბრძოლა თხოულობს თანასწორ ია-
რალს, ამისგამო, გთხოვთ, რომ ეს სტატია
დაჰბეჭდოთ ისე, რომ შენიშვნები არ გაუკე-
თოთ, რათგან მე მაგგვარი რაღალი არა მაქვს
ხელში. პასუხი, თუ გნებავთ, შეგიძლიანთ
შემდეგს ნომერში დაჰბეჭდოთ.

უკეთუ „კრებულში“ არ მოხერხდეს, გთხოვთ
ადგილი მისცეთ „დროებაში.“ ა. ფ.

უკანასკნელი სიტყვა (*)

უფ. რედქტორო! თქვენს ჟურნალში გამოითხოვა უფ.
სკანდელმა, რომ დამემტკიცებინა მაგისტის ის ლაპა-

(*) მე ამ პასუხს დიდი ხანია მოვამზადებდი, მაგ-
რამ კაცი, რომელთაც პასუხებოდათ მცირეც არის დაწე-
რილებით სიტყვები უფ. ნიკოლაძისა, აქამდის არაფერ
შეძებდა. რათგან ეხლაც არ არის გვიან თავის გამართ-
ლებისა, ამისგამო ვალად ვრაცხე ეხლა მაინც პასუხი
უფ. სკანდელის გადაფიცვაზედ.

რაკი, რომელიც მე მქონდა მაგის ხასიათის საჩვენებლათ მოყვანილი „მნათობში“. მე არასოდეს ვიფიქრებდი, რომ საგანი ჩვენი პოლემიკისა სრულიად არა უფილა არც მაგისი და არც ჩემი მაგასთან კერძო ლაპარაკი. იმიტომ იყო კიდევ, რომ როდესაც ეს მოჰყვა ბეჭდვით ტრაბახსა, რომ ესა და ეს უთხარ მე ფურცელაძესაო, მე იმაზედ მხოლოდ გაკვირით, კერძოთ გავეცი პასუხი. თქვენ, რასაკვირველია, კარგათ გეხსომებათ, რომ თქვენმა ჟურნალმა გამამიტხადა ბრძოლა, რომლითაც აღიარა, რომ ან უნდა დავამტკიცოთ ფურცელაძის სრული უსინიღისობა და მით მოვკლათ ის წინაშე პატიოსანი საზოგადოებისა, ან, თუ ვერ დავამტკიცეთ ისა, მაშინ ჩვენა ვართ მკვდარი წინაშე ამ საზოგადოებისაო. ვინ ვის დაუმტკიცა ნამუსზედ ხელის აღება და ვინ ვინ მოჰკლა წინაშე პატიოსნის საზოგადოებისა, ეს, შემდეგ ჩემის სტატიისა „საწყალი კუდაბიკა“, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ. მაგრამ უფ. სკანდელი არ დაგიდევს: მინამ ენას მაგისას აქვს მოძრაობა, მინამ მაგისთვის არ არსებს არავითარი პირობა, არავითარი აღთქმა, არავითარი კარონნი საქმის წალმართობისა. მაგას გაუკრეს თავი მაგრათ საბუთებში, სადაც აღარა

აქვს საოტობა, ვე დაიწყებს ღობე ყორეს დებასა და სრულიად უმნიშვნელო საქმეს მისცემს ისეთს მნიშვნელობას, თითქო ქვეყანა ამაზედ იყვეს დამყარებული. ვინ არ იცის, რომ მაგისი პირად ჩემთან ნალაპარაკები იყო მხოლოდ მისთვის მოყვანილი, რომ მოგვეგონებინა მაგისთვის, რომ პირადი ლაპარაკი თუ საბუთი იყვეს, ჩვენ უფრო ნამდვილს ნალაპარაკებს მოვიყვანთო; რომ პირათ კერძოთ ლაპარაკი არ არის არავითარი საბუთი სალიტერატურო ასპარეზზედ ლიტერატურულს საქმეში. მაგრამ, ვითომც იოსტატა უფ. სკანდელმა და პოლემიკური სხლიკუდი გამიკეთა: მითომ უმთავრესი საგანი არაფერი და არა საგანზედ იქნება მაინც კისერზედ გადვიგდოვო.

მე, შემდეგ სტატიისა „საწყალი კუდაბზიკა!“ აღარ შემართა პასუხი, რათგან უფ. სკანდელი ეკუთვნის იმგვართ კაცთა, რომელთაც სწეულებას სამკურნალო მეცნიერებაში უწოდებენ *Mania ambitiosa*, ანუ, როგორც რუსები იტყვიან, *Амбициозное помѣшательство, горделивое помѣшательство*. ამგვართ სწეულთათვის მათთა პირად შესახებ საქმეში არ არის არავითარი საბუთი, არავითარი გონებაში ჩასაგდები



ლონისძიება გარდა წამლობისა. ესენი, სხვის თვალში მასხარანი, თავის თვალში არიან შეუდარებელნი, სწულნი, და სავსენი და უძლეველნი. ეველა ამათგანი არის თავის ხელობაზედ შემცდარნი. შემცდარან კი ესენი ამ ხელობაზედ მიტომ, რომ ჰქონიათ მეტათ დიდი სურვილი ამ ხელობაში უპირატესობისა, მაგრამ მის მიხვედრის გონება ღმერთს არ მიუხიციებია და მაშინ, საქმის მაგიერათ გასცხოველებიათ წარმოდგენა, რომლის შემდეგაც ჰხდებიათ ესენი თავის თვალში შეუდარებელნი. ამგვარი სწულება დაეშართა უფ. სკანდელს მის ლიტერატურულს წარმართობაზედ. აიღეთ მაგისი ლუი ბლანთან ლაპარაკი. ლუი ბლანი, ერთი უპირველესი მეცნიერთაგანი, გამოჰყავს მაგას თავისთან ლაპარაკში კაცათ, რომელიც მაგასთან ნარცხათ არ ვარგა, და აქ კი იაკინთე უიფიანმა, რომელსც თავის დღესი სამწერლობათ კალამი ხელში არ აუღია, სულ ტყავი გააძრო. მაგრამ შე მაიძულლებს პასუხს ისა, რომ არაეის ეგონოს ვითომც შე მართლაცა და უფ. სკანდელის დასამცირებლათ მქონდეს მოგონილი მაგისი ნალაპარაკები, თუმცა, ვინც წაიკითხაედა მაგის ლუი ბლანთან ლაპარაკს, დაიჯერებდა ჩემ სიტყვებსაც.

უფ. სკანდელს კარგათ ახსოვს, რომ მაგისი სიტყვები, რომელნიც მე მოვიყუანე „მნათობში“, იყვნენ დიდის ხნის ნათქვამნი, და, მაშასადამე, ძნელი საფიქრებელია, რომ დახსომებოდეს ეისმე; მეორეც ახსოვს კარგათა, რომ მაგისთანაებს ლაპარაკობდა უფრო იმგვარ კაცებთან; რომელნიც მაგისგნით გამოვლიან დიდსა და მრავალსა წყალობასა, რომლისგამო არ იჩვენებიან მაგის წინააღმდეგსა. ამისგამო, უფიქრია, ეგება ბა ამ მხრით მაინც გავხდე რასმეო: თუ დიდში მკედარი ვარ, ამ პატარაში ეგება მაინც გავება და მაშინ ამ პატარას ისე გავებრამ, რომ უმთავრესი ეს ეგონოთო. თუ არა და, რაც დამეშართა, უარესი ხომ არ დამეშართებო.

სადამდის არის მიღწეული მაგისი სნეულება, *mania ambitiosa*, ამტკიცებს ისა, რომ ვითომც მე დავმალოდე მაგის საშინელს პოლემიკურს ძალასა და გამამეცხადებინოს „მნათობში“, რომ სკანდელს აღარ გამოვეპასუხები მეტქი. ძნელი არ არის ეგ ოხერი სნეულება! პირიქით, აი მკითხველო მე რას ვანობდი „მნათობში“: მშვიდობით ახლად შეერამდის, თუ კი მელირსება თქვენთან კიდევ ლაპარაკი, მაგრამ მაგას თა-

ვას ხნეულების გამო სხვათაგან მოსჩვენებია, რომ მაგას, იაკინთე ყიფიანისაგან გაუკანასკნელეზღოს, უმაღლებიან. საწამლებელია, უფ. სკანდელი, თქვენი საქმე.

ეთომ სასაცილოთაც აგვიგდო და დამტკიცა ჩვენი უშეერება. მე ხომ ანტონ ფურცელაძე არ ვიყავ, რომ არა მცოდნოდა, რომ საფრანგეთში კანონი სიკვდილია დასჯისა არ არის, რომ მე მერჩია ვეღუ ფაერისა და იმის ამხანაგების ჩამოხრჩობაო.*

აი მეცნიერი! რა ლამაზათ იმახვილა და! როგორი კარგათ მომასწრო და დამტკიცა ჩემი უშეერება! შვერცხვი, მკითხველო შენთანა!... ვაი ლაფის დასხმას!...

არ არის განა, უფ. სკანდელი საფრანგეთში კანონი სიკვდილით დასჯისა?!... აბა ერთი ნახევარი წელიწადი მაინც მიუბარეთ დოქტორს პავლეცკის, თუ მაშინ ეგა სთქვათ. არ არის სიკვდილით დასჯა!... მაგრამ როსხელი?! ბურჯუა?! ათასობით სხვა კომუნის მომხრეები?! განა ისინი შაქარლამის ქამით დაიხოცნენ?! რანკი?! ბაზენი?! განა ამათაც შაქარლამის ქამა გადუწვევითა საფრანგეთის მმართველობამ?! საკვირველია! ხო იცით რომ აგრეთი ნახევარი კაცი ბრძანდებით, რაღათ უყადრებთ თავს ჩვენისთანა უშვერს ხალხს პოლემიკაში? მე

რომ ფურცელაძე არა ეყოფილეიყავ და თქვენთანა მეცნიერი ეყოფილეიყავ, არამც თუ არ ვისთან არ ვიკადრებდი ლაპარაკს, არამედ მწერლობაზედაც ხელს ავიღებდი...

მაგრამ მე მაგას როგორ შეგკადრებდით, რომ ვითომც თქვენ იქამდის დაგემცროთ თავი, რომ ნაპოლეონის მმართველობისთვის გერჩიოთ, ან თქვენ, რომელმაც არ იკადრეთ ლაბულეს გაცნობა მის დაფარდნილ აზრების გამო, როგორ დაიმცრობდით თავს, რომ გულაპარაკნათ, ვითომც ქულ ფაერის ჩამორჩობას ურჩევდით დაფარდნილი აზრების პატრონს ნაპოლეონის მმართველობას?!... არა, ეს ლეგალური წესი თქვენ მოიყვანეთ, რომ გეოხუჯნათ ჩემს უშვერებაზედ. მაგითი უფრო ცხადათ გინდოდა დაგემტკიცებინათ, რომ თქვენთანა მეცნიერი კაცი არ შესცდებოდა ისე, რომ ეგ ეთქვა... მაგრამ, რა გამოვიდა? ისა რომ სიკვდილით დასჯა საფრანგეთში უოფილა. მაშასადამე ამგვარი კვებნა, რომ თქვენ ფურცელაძე ხომ არა ხართ, რომ არ გცოდნოდათ, ვითომც საფრანგეთში სიკვდილით დასჯის კაკონი არ იუფეს, ამტკიცებს თქვენს უშვერებას, და ამგვარი თქვენი თავის გამართლება, ამტკიცებს თქვენს სიმტყუნეს.

მაგრამ, რომ აქაც არა გქონდეთ თავის განძრევის სახსარი, არ დაგაჯერებთ მართა მაგ საბუთსა და მოვიყვან იმ კაცის წიგნსაც, რომელთანაც თქვენ ესეები გითქვამთ.

* უფ. ნიკოლაძემ ჩემთანა სთქვა სვიმონ წერეთლის სახლში, რომ ურჩევდა ფრანცუზებს ჟულ-ფაერისა და იმის ამხანაგების ჩამობრჩობას, როგორც უმაჟნისთ. ეს იყო 1871 წელსა. ვასილ თარხანოვი.*

ახლა უფ. სკანდელი? განა რომ ფურცელაძე არა ყოფილხართ?! (რამეთუ ფურცელაძე არ იკადრებს თავის სიტყვების გადათქმას.)

თქმა აღარ უნდა, რომ, თუ მცოდნოდა, რომ უფალი სკანდელი (ნიკოლაძე) გადასთქვამდა თავის სიტყვებს, მე იმ გვარს მოწმებს დავისწრებდი იქ, რომელნიც არ დაშთარაუდნენ ზოგიერთა თავაზიანი ხალხივით, ან თვით უფ. სკანდელს მოვაწერინებდი თავის სიტყვებზედ ხელს. მაგრამ, ჯერ ერთი არ მეგონა, რომ ამაზედ ლაპარაკი მოგვიხდებოდა და მეორეც არ ვიცოდი, რომ უფ. ნიკოლაძე იკადრებდა თავის სიტყვების გადათქმას.

რაც შეეხება ემიგრანტების კასხის გაცარცვას და გაქცევას, მაგის დარღვევა ჩვენთან კი არ არის საჭი-

რო, იქ უნდა დაარღვიოს, სადაც მაგან გახსნარა მაგ
 გცევით თაეისი სახელი მაგან უნდა დასაქმდეს
 თაეი გაიმართლოს რუსის საზოგადოების წინაშე, რომელთა
 გაზეთებშიაც იყო მაგისი გცევა აწერილი. გამართლებაც
 იმგვარი უნდა იყოს. მაგან უნდა წარმოადგინოს სია
 კასის შემრდგენი ამხანაგობისა და ეველა იმათი ხელ-
 წერილი, რომ მაგას არასოდეს არ გაუცარცვამს ემიგ-
 რანტების კასსა და არ გაგცეულა. ეს უნდა დაბეჭდოს
 იმ გაზეთში (Моск. Вѣд. 1872 г. № № 13 II
 14), სადაც იყო აწერილი და სადაც აღგვითქვამდა
 ავტორი ამ სიტყვების სიმართლედ პასუხის გებას.
 როდესაც ეს ავტორი ველარ გასცემს ჯეროვან პასუხს,
 მაშინ გვეცოდინება ნიკოლაძის სიმართლე. თუ არა,
 მინამ ჩამდენიც უნდა ილაპარაკოს, ეს ჩირქი მაგას
 არ მოშორდება.

ანტონ ფურცელაძე.